

მართლმადიდებლობასა და
ლათინო-პაპიზმს (კათოლიციზმს)
შორის არსებული განსხვავებანი
(კითხვა - მიგება)

თბილისი
2004 წელი

იბეჭდება ბათუმისა და სხალთის
მთავარებისკობოს დიმიტრის
ლოტკა-კურთხევით

წიგნი შეადგინა – მღვდელმა ღაპით ქვლივიძემ

თარგმნა – თამარ კაატაშვილმა

რედაქტორი – ნინო კვანტალიანი

„ერიდე, შვილო, ჭეშმარიტი სწავლებისაგან განდგომილებთან ყოველგვარ საუბარს. თუკი ვინმე ცხონდება, მხოლოდ მართლმადიდებელ სარწმუნოებაში მცხოვრები... სხვისი სარწმუნოების ქება არ შეიძლება, ვინაიდან ეს საკუთარი სარწმუნოების შეურაცხყოფაა.

თუ შიშველი, მშიერი ან უბედურებაში ჩავარდნილი იუდეველი, მუსლიმანი ან კათოლიკე დაინახო, ყველას მიმართ იყავი მოწყალე, როგორც შეგიძლია დაიხსენი გაჭირვებისაგან დაღმერთი გადაგიხდის, ვინაიდან თვით უფალიც წყალობს არა მხოლოდ მართლმადიდებლებს, არამედ შეცდომილებსაც. თუკი ვინმე გეტყვის, ჩვენი და თქვენი სარწმუნოება უფლისაგანააო, ასე უპასუხე: შეხედე რას ამბობს წმიდა წერილი: „ერთ არს უფალ, ერთ არს სარწმუნოება, ერთ ნათლისღება“ (ეფეს. 4.5)

ღირსი **თეოდოსი კვიროელი**

წინათქმა

ურწმუნო ადამიანი საკუთარ თავს ხშირად უსვამს კითხვას: რისთვის გააჩინა ის ღმერთმა? დღევანდელი მძიმე ყოფიდან გამომდინარე პასუხი თითქოს ცალსახაა — ღმერთმა ადამიანი გააჩინა ტანჯვისა და წამებისათვის. ამ აზრით დამძიმებული კაცი ხშირად სასოწარკვეთილებაში ვარდება, რადგან ვერ ხვდება, რომ ცდება.

წმიდა წერილის თანახმად, დასაბამიდან „ღმერთმა შექმნა ცა და მიწა“ (დაბ. 1.1). წმიდა მამათა სწავლებით, მიწაში მოიაზრება ხილული სამყარო, ხოლო ცაში — უსხეულო ზეციური სამყარო ანგელოზების სახით.

უფალმა როდესაც სამყაროს შექმნა განასრულა, ერთ-ერთმა, უფალთან ყველაზე ახლოს მდგომმა ანგელოზმა (რომელსაც ლუციფერი ერქვა, რაც ნათლის ანგელოზს ნიშნავს), თავად მოინდომა ღვთის ნამოქმედარის მისაკუთრება, საკუთარი თავი ღმერთად წარმოაჩინა და გარშემო მყოფ ანგელოზებს მოსთხოვა, მისთვის ღვთაებრივი პატივი მიეცოთ. მაშინ ზეცაში დიდი ომი მოხდა. აჯანყებული ანგელოზი და მთელი ზეციური ანგელოზების მესამედი, ვინც ლუციფერს გვერდით დაუდგა, უფალმა მთავარანგელოზ მიქაელის ხელით ზეციდან გადმოყარა. (მიწაზე გადმოგდებულთ დაცემული სულები — დემონები ეწოდებათ, ხოლო მთავარ მოჯანყეს — სატანა — რაც ღმერთის მოწინააღმდეგეს, ანუ წინააღმდეგოს ნიშნავს.)

ზეციურ არსებათა რიცხვი რომ შევსებულიყო, უფალმა ადამიანი შექმნა და დედამიწაზე დაარსებულ ედემის (ადამის) ბაღში დაასახლა. ღმერთი ადამსა და ევას უშუალოდ ეცხადებოდა, სამყაროს შესახებ ესაუბრებოდა და ადამი ნელ-ნელა იძენდა სამყაროს ცოდნის სიბრძნეს. მის მთავარ დანიშნულებას წარმოადგენდა ღმერთთან საუბარი და მისი დიდება, ანუ ლოცვა. ერთადერთი, რაც ადამს ეკრძალებოდა — ეს „ცნობადის ხის“ ნაყოფის ჭამა იყო. ამით უფალმა ზღვარი

დადო საკუთარ თავსა და ადამიანს შორის, რათა ადამიანი არ გაამპარტავნებულყო და ღმერთად გახდომის სურვილი არ გასჩენოდა, ანუ ის არ მოსვლოდა, რაც ლუციფერს დაემართა. ადამის ნეტარი მდგომარეობით გაბოროტებულმა ეშმაკმა, გველის სახე მიიღო, ადამს გამოეცხადა და მას ლიქნით საუბარი დაუწყო. კითხვაზე, თუ რატომ არ ჭამდა იგი აკრძალულ ხილს, ადამმა უპასუხა, რომ ეს ყოველივე ღვთის ბრძანებით ხდებოდა. მაშინ ადამის დასაღუპავად აღძრულმა ეშმაკმა, ღმერთს ცილი დასწამა და ადამს უთხრა, რომ უფალმა ეს მხოლოდ და მხოლოდ იმისთვის გააკეთა, რომ მას ყველაფერი არ სცოდნოდა და ღმერთივით ყოვლისმცოდნე არ გამხდარიყო. ეშმაკისაგან ცდუნებულმა ადამიანმა მართლაც შეჭამა აკრძალული ხილი, რითაც ღმერთობის სურვილი გამოხატა, ანუ იმავე ცოდვით დაეცა, რითაც დაეცა ზეცაში ანგელოზი. ამის გამო უფალმა ადამიანი სამოთხიდან გამოაძევა, ხოლო სამოთხის შესასვლელში დააყენა ქერუბიმები ცეცხლოვანი მახვილებით, რათა ამიერიდან იქ არავინ შესულიყო (დაბ. 3.24). უფალმა ადამს უთხრა, რომ ამიერიდან მიწა მას აღმოუცენებდა ეკალსა და ბარდს და იგი საზრდოს ოფლით მოიპოვებდა, ანუ დიდი შრომით შეჭამდა პურს; ხოლო ევას მიმართა: სატანჯველს გაგიძრავლებ, ორსულობას გაგიძნელებ და ტკივილით შობ შეილებს; გველს კი უთხრა, რომ ამიერიდან მტრობას ჩამოაგდებდა მასსა და ადამიანს შორის და დედაკაცის ნაშობი მას თავს გაუჩქქვავდა.

ის, ვინც დედაკაცისაგან უნდა შობილიყო, ვისაც გველისათვის თავი უნდა გაეჩქქვა, ეშმაკი დაემარცხებინა და ამით ადამიანი კვლავ სამოთხეში დაებრუნებინა, იქნებოდა მხსნელი, აღთქმული მესია, კაცთათვის მარადიული ცხოვრების მომნიჭებელი, ანუ მაცხოვარი იესო ქრისტე.

ძველი აღთქმის ეკლესია ელოდებოდა ქალწულისაგან ნაშობ მესიას, რომელიც ადამიანს სამოთხეში დააბრუნებდა; ეს მართლაც აღსრულდა და ბეთლემში ქალწულისაგან ნაშობმა

მაცხოვარმა გოლგოთაზე დაღვრილი სისხლით მთელი კაცობრიობის ცოდვები გამოიხსნა – გამოისყიდა. განკაცებული ღმერთი ჩვენთვის ჯვარზე ევნო და თავისი დაღვრილი სისხლით მთელი კაცობრიობის ცოდვა იტვირთა, ადამის ცოდვა აღზოცა და ამით სამოთხის კარი გაგვიღო; ამ დროს იერუსალიმის ტაძარში კრეტსაბმელი, რომელიც წმიდათაწმიდას უშუალოდ ტაძრისაგან გამოყოფდა, ორად გაიპო, ე. ი. სამოთხის კარი გაიღო, და ჩვენ – ადამიანებს, ვინც გოლგოთის მსხვერპლის თანაზიარი გავხდებით, საშუალება მოგვეცა ზეციურ სახლში დაბრუნებისა, იქ მარადიულად ღვთის წინაშე ცხოვრებისა, ანუ ცხოვნებისა.

იესო ქრისტეს გარეშე სამოთხეში დაბრუნება შეუძლებელია, სხვა „არავინაა არს სხვთ ცხორება და არცაღა არს სახელი სხუად ცასა ქუეშე მოცემული კაცთა, რომლითამცა ჯერ-იყო ცხორება და ჩუენდა“ (საქმე მოციქულთა 4.12). მაცხოვარი ბრძანებს: „მე ვარ გზად და მე ვარ ჭეშმარიტება და ცხორება; არავინ მოვიდეს მამისა, გარნა ჩემ მიერ“ (იოვ. 14.6). ზემოთქმულიდან ჩანს, რომ ცხოვნება, ანუ მარადიული ცხოვრების მოპოვება – ეს არის ღმერთთან ადამიანის მიერ დაკარგული კავშირის აღდგენა. ეს ყოველივე კი მხოლოდ იესო ქრისტეს, მესიის, განკაცებული ღმერთისა და მაცხოვრის საშუალებით არის შესაძლებელი: ვერც ბუდა, ვერც მუჰამედი, მით უფრო ვერც მრავალღმერთიანობის პანთეონის კერპები, რომლებიც თავისი არსით დემონები არიან (რაც ვერ შეძლო ყოფილმა ნათლის ანგელოზმა ზეცაში – საკუთარი თავის ღმერთად გამოცხადება და ზეციურ არსებათაგან პატივის მიღება, ის მოახერხა დედამიწაზე გადმოგდებულმა და კერპებში ჩასახლებულმა ეშმაკმა, რომელიც კაცთაგან ღვთაებრივ პატივს იღებს. ამიტომაც ბრძანებს წმიდა წერილი, რომ, „წარმართთა ღმერთნი ეშმაკნი არიან“ (ფს. 95.6)) ვერ შეძლებენ სამოთხეში ჩვენს შეყვანას, ანუ ჩვენს ცხოვნებას. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე ადამიანის მთავარი საზრუნავი უნდა იყოს

ცხონება, ანუ სამოთხეში დაბრუნება, რაც არა მხოლოდ არაქრისტიანულ რელიგიებშია შეუძლებელი, არამედ თვით ქრისტიანებიც კი, რომლებიც არასწორი სარწმუნოების მიმდევარნი არიან, ვერ შეძლებენ სასუფევლის დამკვიდრებას, გადარჩენას, ანუ ცხონებას.

დასმულ კითხვაზე, სასუფევლის დამკვიდრებისათვის თუ რომელია პირველი მცნება, მაცხოვარი უპასუხებს: „შეიყუარო უფალი ღმერთი შენი ყოვლითა გულითა შენითა და ყოვლითა სულითა შენითა და ყოვლითა გონებითა შენითა და ყოვლითა ძალითა შენითა. ესე არს პირველი მცნებაჲ. და მეორე, მსგავსი ამისი: შეიყუარო მოყვასი შენი, ვითარცა თავი თვისი. უფროჲს ამათსა სხუაჲ მცნებაჲ არა არს“ (მარკ. 12.30-31). ამ ორ მცნებაზეა დამყარებული მთელი სჯული და წინასწარმეტყველება. ქრისტეს სიტყვებიდან გამომდინარე, ცხონებისათვის აუცილებელი ყოფილა პირველი მცნების (რომელიც ერთგვარად აღმატებულიც კია მეორეზე) ზედმიწევნით შესრულება. ღმერთთან მისული ადამიანი თავდაპირველად გულით შეიყვარებს ღმერთს. დროთა განმავლობაში სიყვარული გადადის სულში, ხოლო ამის შემდეგ ადამიანი იწყებს ღმერთის შეყვარებას გონებით, რაც გულისხმობს ღმერთის გონებით შეცნობის სურვილს, ანუ ადამიანი იწყებს ღმერთის შესახებ სწორი სწავლების მოძიებას. მხოლოდ ამის შემდეგ ხდება შესაძლებელი ღვთის შეყვარება „ყოვლითა ძალითა“. ამ ჯაჭვიდან ერთ-ერთი რგოლის ამოვარდნაც კი იწვევს პირველი მცნების შეუსრულებლობას, რაც თავისთავად ცხონების გარეშე დარჩენას მოასწავებს. ადამიანი ვერ გახდება ბინადარი სასუფევლისა, ანუ ვერ ცხონდება, თუ ღმერთის შესახებ სწორ ცოდნას არ შეიძენს, ანუ არ შეიყვარებს ღმერთს მთელი გონებით — „ყოვლითა გონებითა“. ამგვარად, ადამიანები, რომლებიც თავიანთ თავს ქრისტიანებს უწოდებენ, მაგრამ ბიბლიას არასწორად განმარტავენ და თვითონაც არასწორი სარწმუნოების მიმდევარნი არიან, ღვთის მკაცრი განაჩენის ქვეშ

დგებიან. ამასთან, ჩვენ ვიცით, რომ წმიდა წერილი დაწერილია სულიწმიდის მადლით განბრძნობილ მოციქულთა და წინასწარმეტყველთა ხელით. ის ადამიანები, რომლებიც არასწორად განმარტავენ წმიდა წერილს და არასწორად ასწავლიან მას, ეწინააღმდეგებიან და გმობენ სულიწმიდას. სახარებაში კი წერია, რომ ყველა ცოდვა ეპატიება ადამიანს, სულიწმიდის გმობა კი არ ეპატიება არც აქ და არც მომავალ სოფელში (მათ. 12.31). (აქ იგულისხმება ამ მძიმე ცოდვით ამა სოფლიდან წასულები. ვინც სიცოცხლეში შეინანებს ამ ცოდვას, მას ბუნებრივია ყოვლადმოწყალე ღმერთი მიუტევებს).

ამგვარად, ცხოვნებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს სწორი სარწმუნოების პერობა — აღმსარებლობა.

დღეს მსოფლიოში სამასამდე ქრისტიანული მიმდინარეობა არსებობს. თითოეული მათგანი საკუთარ ჭეშმარიტებას ამტკიცებს. საინტერესოა, როგორ შეიცნობა წმიდა წერილით ჭეშმარიტი რელიგია. ქრისტეს სიტყვების თანახმად სარწმუნოების ჭეშმარიტების უმთავრესი ნიშანია მისი უწყვეტი არსებობა მოციქულთა დროიდან, ვიდრე მეორედ მოსვლამდე. მაცხოვარი ეუბნება პეტრე მოციქულს: „შენ ხარ კლდე, და ამას კლდესა ზედა აღვაშენო ეკლესიაჲ ჩემი, და ბჭენი ჯოჯოხეთისანი ვერ ერეოდინ მას“ (მათ. 16.18). აქ მაცხოვარი პეტრე მოციქულის სარწმუნოებას გულისხმობს. ცრუ ეკლესიისა და ცრუ მოძღვრებისათვის დამახასიათებელია მოციქულთა შემდეგდროინდელი წარმომავლობა და მის სათავეში ამ ცრუ მოძღვრების შემქმნელი პიროვნების არსებობა. უკანასკნელ ჟამს გაჩნდებიან ცრუ მოძღვარნი, რომლებიც ცრუ, სულისწარმწყმედელ მოძღვრებას მოიგონებენ და ადამიანთა სულებს დაღუპვისაკენ წაიყვანენ (მათ. 24.4-11). მართლმადიდებელი ეკლესია სწორედ ზემოთქმული ჭეშმარიტი სარწმუნოების უმთავრესი ნიშნის მატარებელია. სხვა ქრისტიანული რელიგიებისაგან განსხვავებით მას ახასიათებს მოციქულთა დროინდელი სიძველე, არ გააჩნია ცრუ მოძღვარი, ანუ ამ მოძღვრე-

ბის დამწყები, რადგან უცვლელად მისდევს იმ სწავლებას, რომელიც მოციქულებმა იქადაგეს და იესო ქრისტემ აკურთხა.

მონოფიზიტობა, ანუ ის სწავლება, რომელსაც სომხური ეკლესია მისდევს, გაჩნდა V საუკუნეში კონსტანტინოპოლელი არქიმანდრიტის – ევტიხის მიერ; რომის კათოლიკური ეკლესია ოფიციალურად ჩამოაყალიბა 1054 წელს რომის პაპმა ბენედიქტე VIII-მ; პროტესტანტობა ჩაისახა XVI ს-ში მარტინ ლუთერის, ცვინგლისა და სხვათაგან.

საქართველოს ეკლესია ის ერთადერთი ეკლესიაა, რომელიც 2000 წლის მანძილზე არასოდეს მიდრეკილა მწვალებლობისაკენ. რუის-ურბნისის კრების ძეგლისწერაც ამასვე ბრძანებს: „გარნა არათუ უბიწოებასა ქართველთა სარწმუნოებისასა ბიწი რაამე შეჰხებოდა, ნუ იყოფინ ესე! არა გეცრუვნეთ შენ, სიწმიდით მშობელო ჩუენო კათოლიკე ეკლესიო (სიტყვა – კათოლიკე ნიშნავს საყოველთაოს); არცა განგცეთ შენ, სიქადულო ჩუენო მართლმადიდებლობაო, რომლისა არცა განმცემელქმნულ ვართ, ვინაფთვან შემეცნებასა შენსა ღირსქმნილ ვართ – მოწამე არს ჭეშმარიტებაჲ“. სწორედ ეს იყო ჩვენი გადარჩენისა და დღევანდელ დღემდე მოღწევის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი. ამიტომაც შევთხოვთ უფალს, რომ ყველაზე მთავარში – სარწმუნოების საკითხში არ შევცდეთ და ამით სულიწმიდის მგმობელთა რიგებში არ აღმოვჩნდეთ, განვერიდოთ სულიერ სიკვდილს, ანუ საუკუნო ჯოჯოხეთს.

ღმერთო შენ დაგვიფარე! უფალო შენ მოგვმადლე სიბრძნე ბოროტისა და კეთილის გარჩევისა, მოგვანიჭე სულიერი ძალა ჭეშმარიტების ქადაგებისა და შენი ერთგულად მსახურებისა, რათა ღირს გავხდეთ მარადიული ნეტარებისა!

შესაგალი

კითხვა: რას წარმოადგენს წინამდებარე გამოცემა?

მიგება: წინამდებარე გამოცემა XX საუკუნის მეორე ნახევრის რომაულ-კათოლიკური რწმენის განმასხვავებელ თავისებურებებს წარმოგვიდგენს, კითხვა-პასუხის სახით გვაწვდის ამ თავისებურებათა მართლმადიდებლურ კრიტიკას.

კითხვა: რამდენად არსებითია მართლმადიდებელ და რომაულ-კათოლიკურ სარწმუნოებათა შორის განსხვავება?

მიგება: განსხვავება ეხება ქრისტიანული სარწმუნოების დედაარსს და იმდენად არსებითია, რომ თანამედროვე რომაული კათოლიციზმი და მართლმადიდებლობა ორ სხვადასხვა რელიგიად წარმოგვიდგება.

კითხვა: რატომ წარმოიშვა მართლმადიდებლობასა და რომაულ კათოლიციზმს შორის ასეთი დიდი განსხვავება?

მიგება: განსხვავებულ მიმართულებათა გამო, რომელთაც მართლმადიდებლები და ლათინო-პაპისტები მიჰყვებიან. მართლმადიდებლობა რწმენას იმ სახით ინახავს, როგორი სახითაც უფალმა იესო ქრისტემ მოგვცა, იქადაგეს მოციქულებმა, განმარტეს მსოფლიო კრებებმა, წმიდა მამებმა და ეკლესიის მოძღვრებმა; ლათინო-პაპისტები კი სხვა გზით მიდიან — თავის სარწმუნოებაში დამატებების, ცვლილებებისა და ახალ სწავლებათა შეტანის გზით. ეს სიახლეები მოციქულთა დროინდელ ქრისტიანულ სარწმუნოებას ეწინააღმდეგება.

კითხვა: თუ შეიძლება ქრისტიანობის მოდერნიზება და შეცვლა ან მორგება ისტორიულ, საზოგადოებრივ, რელიგიურ, ფილოსოფიურ და სხვა სწავლებებზე?

მიგება: არა, არ შეიძლება. ქრისტიანობა ღვთივგამოცხადებულ რელიგიად გვევლინება და ადამიანთა მოსაზრებებით მასში ცვლილებების შეტანა ცვლის ღვთის ბოძებულ ჭეშმარიტებას; ამა თუ იმ პიროვნების ან ხალხის მიერ შექმნილი აზროვნება ჭეშმარიტ რელიგიას ცრუ რელიგიად აქცევს. იესო

ქრისტემ მოწაფეებს თავისი მოძღვრების უცვლელად დაცვა უანდერძა. უფალმა ხალხში საქადაგებლად წარგზავნილებს უბრძანა: „ასწავებდეთ მათ დამარხვად ყოველი, რაოდენ გამცენ თქვენ“ (მათ. 28.20). ხოლო მოციქული პავლე ბრძანებს: „არამედ დაღათუ ჩუენ, გინა თუ ანგელოზი ზეცით გახარებდეს თქვენ გარეშე მისსა, რომელი-იგი გახარეთ თქვენ, შეჩვენებულ იყავნ“ (გალ. 1.8).

კ ი თ ხ ვ ა : რა მიზეზით აიღო რომმა კურსი ქრისტიანული სარწმუნოების ცვლილებებზე?

მ ი გ ე ბ ა : ლათინთა მიერ ახალი წესების შემოღების მთავარი მიზეზია სულიერი ამპარტავნება და რომი-ვატიკანის მისწრაფება მთელ ქრისტიანულ სამყაროში მიიღოს უპირველესი და ხელმძღვანელი როლი და დაიმორჩილოს ყველა ქრისტიანი, პირველ რიგში — მართლმადიდებლები; ხოლო XX ს-ის მეორე ნახევრიდან მისი მიზანია გახდეს მსოფლიოს ყველა ძირითადი რელიგიის მიმდევართა „სულიერი“ ბელადი, წინამძღოლი.

კ ი თ ხ ვ ა : რა ცდომილებანი აქვს დღეისათვის დასავლეთის ეკლესიას?

მ ი გ ე ბ ა : ეს ცდომილებანია: ა) კათოლიკეები ასწავლიან, თითქოსდა რომის პაპი არის ღმერთის ნაცვალ დედამიწაზე; ბ) ისინი ამბობენ, რომ რომის პაპი, როგორც ყოველი ქრისტიანის მოძღვარი არ ცდება, როდესაც სარწმუნოებასა და ზნეობაზე საუბრობს; გ) I და II მსოფლიო საეკლესიო კრებებზე მიღებული მრწამსის საწინააღმდეგოდ მათ სწამთ, თითქოს სული წმიდა გამოდის არა მხოლოდ მამისაგან, არამედ ძისაგანაც; დ) აღიარებენ ღვთისმშობლის უბიწო ჩასახვას იოაკიმესა და ანასაგან და მის სხეულებრივად ზეცად ამაღლებას; ე) აქვთ სწავლება, თითქოს წმიდანებს იმაზე მეტი ღირსება და დამსახურება აქვთ, ვიდრე ეს ერთი ადამიანის ცხოვნებისათვის არის საჭირო; ვ) ბავშვებს არ აზიარებენ და მირონს არ სცხებენ; ზ) ერისკაცებს არ აზიარებენ „სისხლით“; თ) შაბათს მარხულო-

ბენ; ი) ღვთისმსახურებისას იყენებენ ორღანს და სხვ.

ერთი სიტყვით, დაირღვა დოგმატური ერთობა — ეკლესიის ერთობის პრინციპი; სიყვარულის პრინციპი დამორჩილების პრინციპმა შეცვალა.

კ ი თ ხ ვ ა : დასავლეთის ეკლესიაში ღიდი ხანია გაჩნდა სარწმუნოებრივი დაბნეულობა?

მ ი გ ე ბ ა : სარწმუნოებრივი დაბნეულობა IX ს-ში განცხადდა და ეს პროცესი დღემდე არ შეწყვეტილა.

კ ი თ ხ ვ ა : რა მოიძოქმედა ეკლესიამ ლათინთა არასწორი სწავლების საპასუხოდ?

მ ი გ ე ბ ა : ეკლესია მათ მიუთითებდა შეცდომებსა და არასწორ სწავლებასზე, მოუწოდებდა სიწმიდის დაცვისაკენ, მაგრამ კათოლიკეები წინააღმდეგობას უწევდნენ, რითაც ფაქტობრივად თვითონ დაიყენეს თავი ეკლესიის გარეთ. ამის შემდეგ ეკლესიამ ისინი ჩამოიშორა.

კ ი თ ხ ვ ა : სწორად მოიქცა ეკლესია, როცა მოიკვეთა კათოლიკეები?

მ ი გ ე ბ ა : დიან, სწორად მოიქცა, რადგანაც ეკლესია თითქმის ერთ საუკუნეზე მეტ ხანს მოთმინებით, მაგრამ დაჟინებით მოითხოვდა კათოლიკეთაგან მათ მიერ თვითნებურად შემოღებული არასწორი სარწმუნოებრივი სწავლების უარყოფას. მაგრამ ისინი ეკლესიის სწავლებას წინ აღუდგნენ და ვინც ეკლესიას არ უსმენს - „იყავნ იგი შენდა ვითარცა მეზუერე და წარმართი“ (მათ. 18.17). პავლე მოციქული გვასწავლის: „მწვალებელსა კაცსა შემდგომად ერთისა და ორისა სწავლისა განეშორე, უწყოდე, რამეთუ გარდაგულარძნილ არს ეგევითარი იგი და ცოდავს და არს იგი თვით დასჯილ“ (ტიტე. 3. 10-11).

კ ი თ ხ ვ ა : რა შედეგები მოიტანა ქრისტიანულ სარწმუნოებაში კათოლიკეთა მიერ საუკუნეთა მანძილზე შეტანილმა ცვლილებებმა?

მ ი გ ე ბ ა : ამის შედეგად ვატიკანის II კრებაზე (1962-1965 წ.წ.) მიღებულ იქნა პრინციპულად ახალი სწავლება ეკლესი-

ის, ღმერთის ღვთიური გამოცხადებისა და ადამიანთა ხსნის შესახებ. ამ სწავლებამ რომაული კათოლიციზმი ქრისტიანული ერეტიკული სწავლებიდან ახალ, ანტიქრისტიანულ წარმართულ რელიგიად გადააქცია.

კ ი თ ხ ვ ა : რა მიზნებსა და ამოცანებს ისახავს წინამდებარე გამოცემა?

მ ი გ ე ბ ა : წინამდებარე გამოცემის ძირითადი მიზანია მართლმადიდებელი სამღვდელოებისა და ერისკაცების საყურადღებოდ ღვთაებრივ გამოცხადებაზე – წმიდა წერილზე, წმიდა გადმოცემებსა და ჩვენი ეკლესიის წმიდა მამათა სწავლებაზე დაყრდნობით აჩვენოს, თითოეულ ადამიანს მოკლედ და ნათლად დაუსაბუთოს თუ რამდენად ყალბი და მართლმადიდებლობასთან შეუთავსებელია კათოლიკური „ახალშემოღებების“ წარმართული ბუნება და ამხილოს ამ სახით ლათინო-პაპისტების მართლმადიდებელ ეკლესიასთან „შეერთების“ მცდელობის სრული უსაფუძვლობა.



თაზო I

ლათინთა უმნიშვნელოვანესი ახალსწავლებები ვატიკანის II კრებამდე (1054 წლიდან 1962-65 წლებამდე)

კითხვა: **ლათინთა მიერ ვატიკანის II კრებამდე მიღებულ სიახლეთაგან რომელი იყო ყველაზე მნიშვნელოვანი?**

მიგება: ყველაზე არსებითია შემდეგი ღოგმატები და სწავლებანი:

1. პაპის პირველობა და ეკლესიის სათავეში ღგომა;
2. პაპის უცდომელობა;
3. სულიწმიდის ძისაგან გამომავლობა;
4. სწავლება პირველქმნილ ცოდვაზე;
5. წმინდანთა აღმატებული დამსახურებები და ინდულგენციები;
6. ქალწული მარიამის უბიწო ჩასახვა და სხეულებრივი ამალლება;
7. „წმიდა საიდუმლოებათა“ აღსრულებაში არსებითი გაღახვევები:
 - ა) ჩვილ ბავშვთა „წმიდა მირონცხების“ უარყოფა;
 - ბ) ჩვილ ბავშვთა „უზიარებლობა“;
 - გ) ერისკაცთა „სისხლით უზიარებლობა“;
8. წმიდა ზიარებაში ხმიადის გამოყენება;
9. ღვთისმსახურებაში ორღანის გამოყენება.

ქვეთაზო 1

რომის პაპის პირველობის თაობაზე

კითხვა: **სწორია თუ არა კათოლიკეების მტკიცება, თითქოს რომის პაპი არის ეკლესიის თავი და ღედამიწაზე ღმერთის მოადგილე?**

მ ი გ ე ბ ა : არა. ეკლესიის თავია თვით უფალი ჩვენი იესო ქრისტე; წმიდა მოციქული პავლე ბრძანებს, რომ ღმერთმა „ყოველივე დაამორჩილა ქუეშე ფერჯთა მისთა და იგი მოსცა მთავრობად ზეშთა ყოველთა ეკლესიასა, რომელ-იგი არს გუამი მისი, აღსავსებაჲ იგი, რომელმან ყოველივე ყოველსა შინა აღავსო“ (ეფეს. 1. 22-23).

კ ი თ ხ ვ ა : **იესო ქრისტემ მოციქულთაგან ვინმე ხომ არ დაადგინა დედამიწაზე ეკლესიის მეთაურად?**

მ ი გ ე ბ ა : არა, არ დაუდგენია; პირიქით, მაცხოვარმა მოციქულებს აუკრძალა კიდევ ფიქრი პირველობასა და უფროსობაზე: „რომელსა უნდეს დიდ ყოფად თქუენ შორის, იყოს თქუენდა მსახურ; და რომელსა უნდეს თქუენ შორის პირველ ყოფაჲ, იყოს ყოველთა მონაჲ“ (მარკ. 10. 43 - 44).

კ ი თ ხ ვ ა : **როგორღა ამტკიცებენ კათოლიკეები, თითქოს უფალმა პეტრე მოციქული დაადგინა ეკლესიის მეთაურად და დედამიწაზე ღმერთის მოადგილედ?**

მ ი გ ე ბ ა : კათოლიკეები ძალიან ცდებიან, რადგან პეტრე მოციქულის მიმართ მაცხოვრის მიერ თქმული სიტყვები არასწორად ესმით: „შენ ხარ კლდე, და ამას კლდესა ზედა აღვაშენო ეკლესიაჲ ჩემი, და ბჭენი ჯოჯოხეთისანი ვერ ერეოდინ მას“ (მათ. 16.18).

კ ი თ ხ ვ ა : **რას ნიშნავს სიტყვები „ამას კლდესა ზედა“?**

მ ი გ ე ბ ა : წმიდა იოანე ოქროპირი მათეს სახარების შესახებ თავის 53-ე საუბარში ამბობს: „ამას კლდესა ზედა“, ანუ ჭეშმარიტ რწმენაზე აღვაშენო. იმავე აზრის არის ნეტარი ავგუსტინე: „კლდეს“ უწოდებს მაცხოვარი არა პეტრე მოციქულს, არამედ მის რწმენას ძე ღვთისას მიმართ: „შენ ხარ ქრისტე, ძე ღმრთისა ცხოველისა“.

კ ი თ ხ ვ ა : **როგორ ამტკიცებენ წმიდა სახარებიდან კათოლიკეები, თითქოს პეტრე მოციქული უფალმა დააყენა ეკლესიის მეთაურად და თავის მოადგილედ დედამიწაზე?**

მ ი გ ე ბ ა : კათოლიკეებს მოჰყავთ მაცხოვრის სიტყვები:

„სიმონ, სიმონ, აჰა ესერა ეშმაკმან გამოგითხოვნა თქუენ აღ-
ცრად, ვითარცა იფქლი. ხოლო მე ვეკედრე მამასა ჩემსა შენ-
თვს. რაფთა არა მოგაკლდეს სარწმუნოებაჲ შენი, და შენ ოდესმე
მიიქეც და განამტკიცენ ძმანი შენი“ (ლუკ. 22.31-32). კათო-
ლიკეები ასკვნიან, თითქოს პეტრე მოციქულს დაევალა დანარ-
ჩენი მოციქულების განმტკიცება, სხვა მოციქულებზე უფრო-
სობა და მათზე ბატონობა.

ისინი ასევე ამბობენ, თითქოს სიტყვები: „დამწყსენ ცხო-
ვარნი ჩემნი“ (იოვ. 21. 16-17), ნიშნავს პეტრე მოციქულის უფ-
როსობას თვით მოციქულებზე.

კ ი თ ხ ვ ა : როგორ უნდა ვუყურებდეთ მაცხოვრის სიტყვების კათოლიკეებისეულ განმარტებას?

მ ი გ ე ბ ა : ზემოთ მოყვანილი განმარტება თავისთავად არასწორია და მცდარი. ერთი მხრივ, არავითარი საფუძველი არა გვაქვს „ცხოვართა“ შორის ვიგულისხმით მოციქულები; მეორე მხრივ, მოციქულებს თავად არასდროს ჩაუთვლიათ პეტრე თავიანთ გამგებლად.

კ ი თ ხ ვ ა : ეს საიდან ჩანს?

მ ი გ ე ბ ა : ეს ჩანს თორმეტი მოციქულის მიმართ მაცხოვრის ნათქვამიდან, საიდანაც ცხადია, რომ მოციქულთათვის იესო ქრისტეა ერთადერთი მოძღვარი და არა რომელიმე მოციქულთაგანი: „ხოლო თქუენ ნუ იწოდებით რაბბი, რამეთუ ერთი არს მოძღუარი თქუენი — ქრისტე, ხოლო თქუენ ყოველნი ძმანი ხართ, და მამით ნუვის ხადით ქუეყანასა ზედა, რამეთუ ერთი არს მამაჲ თქუენი, რომელ არს ცათა შინა“ (მათ. 23. 8-9).

კ ი თ ხ ვ ა : იქნებ ეს სიტყვები გარდა მოციქულებისა ყველა ქრისტიანს ეხება?

მ ი გ ე ბ ა : არა, რადგან მოციქულები ქრისტიანებს თავიანთ შვილებს უწოდებდნენ: „რამეთუ დაღათუ ბევრ მხარდულ გესხნენ ქრისტეს მიერ, არამედ არა მრავალ მამა, რამეთუ ქრისტე იესუჲს მიერ სახარებისა მისგან მე გშვენი თქუენ“ (I კორ. 4.15). ან სხვა: „შვილნი ჩემნი, რომელთათვის კუალად

მელმის, ვიდრემდე გამოიხატოს ქრისტე თქვენ შორის“ (გალ. 4.19).

კითხვა : კიდევ საიდან ჩანს, რომ მოციქულები პეტრეს არ თვლიდნენ თავიანთ წინამძღვრად?

მიგება : ეს ჩანს თუნდაც იქიდან, რომ იერუსალიმში მოციქულთა კრებას წარმართავდა არა პეტრე მოციქული, არამედ იაკობი (საქმე მოც. 15.13).

კითხვა : რა მიზანი ამოძრავებთ კათოლიკეებს, როდესაც ცდილობენ მტკიცებას, რომ მოციქულთაგან პეტრე იყო უფროსი, ანუ მათი წინამძღვარი?

მიგება : კათოლიკეთა აზრით, პეტრე მოციქული იყო არა მხოლოდ თავი ეკლესიისა, არამედ ქალაქ რომის ეპისკოპოსიც და აქედან გამომდინარე ასკვნიან, რომ რომის პაპი როგორც პეტრე მოციქულის მემკვიდრე არის თავი მთელი ეკლესიისა.

კითხვა : ძველი ქრისტიანები ცნობდნენ თუ არა მსოფლიო ეკლესიაში რომის პაპის განსაკუთრებულ ძალაუფლებას?

მიგება : არა, არ ცნობდნენ. ცნობილია, რომ მოციქულთა გარდაცვალების შემდეგ (მათ შორის პეტრე მოციქულისაც) იოანე ღვთისმეტყველმა კიდევ დიდხანს იცოცხლა. შეუძლებელია იმის დაშვება, რომ პირველი ქრისტიანები რომის პაპს უფრო წინ აყენებდნენ, ვიდრე იოანე მოციქულს.

კითხვა : იქნებ შემდგომ პერიოდში (იოანე ღვთისმეტყველის გარდაცვალების შემდეგ) ცნობდნენ პირველი ქრისტიანები რომის პაპს მსოფლიო ეკლესიის წინამძღვრად?

მიგება : არა, რომის პაპს არც შემდგომ პერიოდში თვლიდნენ მსოფლიო ეკლესიის წინამძღვრად. მსოფლიო საეკლესიო კრებებზე, რომლებიც წარმოადგენდა მთელი ეკლესიის ხმას (და არა მხოლოდ რომელიმე ერთი ეკლესიის ხმას), რომის პაპს პატრიარქების თანაბარი უფლებები განესაზღვრა.

კითხვა : რომელ მსოფლიო საეკლესიო კრებებზე იქნა ეს განსაზღვრული?

მ ი გ ე ბ ა : პირველმა მსოფლიო საეკლესიო კრებამ (325 წ.) თავისი მე-6 კანონით დაადგინა: ძველი წესი იყოს დაცული, რომელიც მიღებულია ეგვიპტეში, ლიბიასა და პენტაპოლისში; რომ ყველა ამათზე ვრცელდებოდეს ალექსანდრიის ეპისკოპოსის ხელისუფლება. ასეთივე ჩვეულება არის რომის ეკლესიაშიც, ანტიოქიასა და სხვა სამთავროებშიც. ამ კანონის საფუძველზე სხვა ეკლესიებს საკუთარ ტერიტორიაზე ისეთივე უფლებები აქვთ, რაც რომის ეკლესიას თავის ტერიტორიაზე.

ის, რაც განისაზღვრა პირველ ორ მსოფლიო კრებაზე, შემდგომში დაამოწმეს მომდევნო მსოფლიო კრებებმა.

მე-4 მსოფლიო კრების 28-ე კანონით დადგენილია: „ძველი რომის საყდარს მამებმა სამართლიანად მიანიჭეს უალრესი პატივი, რადგან იგი სამეფო ქალაქია. ამავე ფიქრით აღძრულმა ასორმოცდაათმა ღვთისმოყვარე ეპისკოპოსმა თანასწორი პატივი დაუწესა ახალი რომის — კონსტანტინოპოლის უწმინდეს საყდარს. სამართლიანად განსაჯეს, რომ თუ კონსტანტინოპოლი და ძველი რომი ტოლია იმით, რომ ორივე სატახტო და სინკლიტის (სენატის) ქალაქია, საეკლესიო საქმითაც განდიდდეს კონსტანტინოპოლი, როგორც რომი და მეორე იყოს მის შემდეგ“...

იგივე დაამტკიცა 36-ე კანონით მე-6 მსოფლიო კრებამ: „კონსტანტინოპოლის საყდარს ძველი რომის საყდრის სწორი პატივი უნდა ჰქონდეს და როგორც საეკლესიო საქმეებში განდიდებული, მეორე იყოს მის შემდეგ. შემდეგ იყოს დიდი ქალაქის — ალექსანდრიის საყდარი და მის შემდეგ — იერუსალიმის საყდარი.

ამგვარად, ყველა სამთავროთა პატრიარქებსა და ეპისკოპოსებს, მსოფლიო კრების დადგენილებით, ჰქონდათ თანაბარი ძალაუფლება.

კ ი თ ხ ვ ა : ჰქონდათ თუ არა სამთავროთა ეპისკოპოსებს და მათ შორის რომის პაპს უფლება — გაეგრძელებინათ თავიანთი ძალაუფლება სხვა სამთავროთა ეკლესიებზე?

მიგება : არა, ასეთი უფლება მათ არ ჰქონდათ. ამის თაობაზე მეორე მსოფლიო კრების (381 წ.) მე-2 კანონში ნათქვამია: „ეკლესიათა კეთილად განგებისა და მშვიდობისათვის არც ერთ ეპისკოპოსს არა აქვს უფლება გასცდეს თავისი ეკლესიის საზღვრებს და შეიჭრას სხვა ეკლესიის საზღვრებში, რათა არ მოახდინოს ეკლესიათა აღრევა“.

კითხვა : როგორ უყურებდა მსოფლიო საეკლესიო კრება პაპების მიდრეკილებას სხვა ეკლესიებზეც გაევრცელებინათ თავიანთი ძალაუფლება?

მიგება : მსოფლიო საეკლესიო კრებები გამოხატავდა ასეთ მიდრეკილებას, ხოლო ავტოკეფალურ ეკლესიათა ეპისკოპოსებს, რომელნიც სიმართლის გასარკვევად პაპების სასამართლოს მიმართავდნენ, სასჯელი ედებოდათ. კართაგენის კრების 125-ე კანონი განაჩინებს: „მღვდელთა და სხვა სასულიერო პირთა შესახებ, რათა მათ არ იჩივლონ არსად სხვაგან, აფრიკის კრებების გარდა... ვინც ზღვის გადაღმა წასვლას მოინდომებს საჩივრებად, მას აფრიკის ნურც ერთი ეკლესია ნუ შეიწყნარებს საზიარებლად“ (საქ. ეკლ. კალენდ. 1987, გვ. 292-293).

კითხვა : კიდევ რითი ცდილობდნენ ლათინები თავიანთი აღმატებულობის დამტკიცებას?

მიგება : ისინი, სხვათა შორის, ამბობდნენ, რომ ძველი ალექსანდრიის ეკლესიაში ყველა მორწმუნისათვის იყო ერთი მღვდელმთავარი, რის გამოც, ახალი ალექსანდრიის ეკლესიაშიც ქრისტიანებს ერთი სულიერი გამგებელი უნდა ჰყავდეს, რომელიც მათ ღვთის წინაშე უწინამძღვრებს.

კითხვა : შეიძლება თუ არა ამის მტკიცება წმიდა წერილში მოინახოს?

მიგება : არა, შეუძლებელია, რადგან ასეთი მტკიცება არ არსებობს. ამის საწინააღმდეგოდ პავლე მოციქული ნათლად ბრძანებს, რომ ახალი ალექსანდრიის მღვდელმთავარნი არ არიან ძველი ალექსანდრიის მღვდელმთავართა მემკვიდრენი; არამედ ახალი ალექსანდრიის მღვდელმთავარია თვით უფალი იესო ქრისტე — ძე

ღვთისა (ებრ. 7. 21-28).

კითხვა: რა შეიძლება ითქვას ლათინთა საპასუხოდ, როცა ისინი ამბობენ, რომ იესო ქრისტეს არ შეუძლია მართოს ეკლესია იმის გამო, რომ იგი ზეცად ამაღლდა; ხოლო ჩვენ გვჭირდება ხილული მღვდელმთავარი და შუამავალი ღმერთსა და ადამიანს შორის?

მიგება: ამაზე შეგვიძლია ვუპასუხოთ პავლე მოციქულის სიტყვებით, რომ ჩვენ გვყავს „ქრისტე იესუ, რომელ მოკუდა, უფროჲს-ღა აღდგა; რომელი-იგი არს მარჯუენით ღმრთისა, რომელიცა-იგი მეოხ არს ჩუენთვის“ (რომ. 8.34). გარდა ამისა, სხვა ადგილას ქრისტე ბრძანებს: „სადაცა იყვნენ ორნი გინა სამნი შეკრებულ სახელისა ჩემისათვის, მუნ ვარ მე შორის მათსა“ (მათ. 18.20). იოანეს სახარებაში ქრისტე ბრძანებს: „და არავინ აღვდა ზეცად, გარნა რომელი-იგი გარდამოვდა ზეცით - ძე კაცისაჲ, რომელი არს ზეცათა შინა“ (იოვ. 3.13). ე.ი. ზემოთ მოყვანილი მუხლებიდან გამომდინარე ღმერთკაცი იესო ქრისტე, როგორც განკაცებული ღმერთი, ერთდროულად ყველგან და ყველასთან მყოფია, მას არავითარი ნაცვალი და მოადგილე დედამიწაზე არ სჭირდება, რადგან თვითონაა ეკლესიის თავი.

კითხვა: ზემოთქმულიდან რა დასკვნის გაკეთება შეიძლება კათოლიკეთა სწავლების შესახებ, თითქოს რომის პაპი არის თავი ეკლესიისა და დედამიწაზე ღმერთის მოადგილე?

მიგება: დასკვნა ერთია: ეს სწავლება ეწინააღმდეგება წმიდა წერილს, არის ამბიციური, ამპარტავნული (ამპარტავნების გამო ანგელოზი ეშმაკად იქცა, ხოლო ადამმა სამოთხე დაკარგა), ადამიანის სულისათვის დამღუპველი და ეწინააღმდეგება საეკლესიო გარდამოცემას.

ქვეთავი 2

დოგმატი პაპის უცდომელობის (შეუმცდარობის) თაობაზე

კითხვა: რას წარმოადგენს კათოლიკეთა სწავლება პაპის უცდომელობის თაობაზე?

მიგება: გთავაზობთ თვით დოგმატს:

„წმიდა კრების თანხმობით ვასწავლით და ვადგენთ ღვთისაგან განცხადებულ დოგმატს, რომ როდესაც რომის პაპი საუბრობს ex cathedra, ე.ი. როდესაც ყოველ ქრისტიანს მოძღვრავს და ასწავლის თავის მოვალეობებს და ზეგარდმო მომადლებული მოციქულებრივი ძალაუფლების საფუძველზე განსაზღვრავს სარწმუნოებრივი და ზნეობრივი საკითხების სწავლებას, რომელიც აუცილებელია მთელი ეკლესიისათვის, ის ფლობს წმიდა პეტრეს სახით დანაპირებ ღვთაებრივ შეწევნას, უცდომელობას, რომელიც ღვთაებრივმა მხსნელმა მიმადლა თავის ეკლესიას. ამის შედეგად, რომის პაპის დადგენილებები, მინიჭებული ძალაუფლების საფუძველზე, ეკლესიის წინააღმდეგობის მიუხედავად, არავითარ ცვლილებას არ ექვემდებარება. ვინც გაკადნიერდება და დადგენილებას შეეწინააღმდეგება, რისგანაც დაგვიფაროს უფალმა, დაე დაიწყევლოს და განიკვეთოს ეკლესიისაგან.“

1870 წლის ივლისში პაპ პიუს IX მიერ მოწვეულმა კრებამ მიიღო ეს დოგმატი „პაპის უცდომელობის შესახებ“ (533 ხმით ორის წინააღმდეგ). ამ დოგმატის მოწინააღმდეგეებმა კრება დატოვეს.

კითხვა: როდის გაჩნდა ეს სწავლება?

მიგება: რომის მღვდელმთავრის უცდომელობას კათოლიკეები ყოველთვის იმ სწავლების ბუნებრივ შედეგად განიხილავდნენ, რომლის თანახმად პაპი იყო პეტრე მოციქულის მემკვიდრე, ქრისტეს მოადგილე და ეკლესიის მეთაური. პაპის უცდომელობის შესახებ სწავლება ოფიციალურ დოგმატად 1870

წელს ვატიკანის I-მა კრებამ მიიღო და განმეორებულ იქნა 1962-1965 წ.წ. ვატიკანის II კრების მიერ.

კათოლიკურ სამყაროში ამ დოგმატის გამოცხადებამ პროტესტი გამოიწვია. მათ გამოეყვნენ მორწმუნეები, რომლებიც თავიანთ თავს ძველ კათოლიკეებს უწოდებენ. ისინი ახალ დოგმატს არ აღიარებენ. მათ რიგებში იყვნენ პროფესორები: დელინგერი, შულტე, რეინკენსი და სხვები. „ძველ კათოლიკეთა“ ეკლესია დღესაც არსებობს და მისი ხელმძღვანელი უტრეხტის მთავარეპისკოპოსის ტიტულით მოიხსენიება.

კ ი თ ხ ვ ა : ცნობდა თუ არა განუყოფელი მართლმადიდებელი ეკლესია რომის პაპების შეუმცდარობას?

მ ი გ ე ბ ა : არა, არ ცნობდა. სარწმუნოების უმნიშვნელოვანესი საკითხების გადასაწყვეტად იკრიბებოდა მსოფლიო საეკლესიო კრებები, რომლებსაც პაპის ლეგატები ზოგჯერ არც კი ესწრებოდნენ (მაგ. II მსოფლიო კრება ქალაქ ეფესოში 381 წელს).

კ ი თ ხ ვ ა : დასავლეთის ძველი ეკლესია აღიარებდა პაპების შეუმცდარობას?

მ ი გ ე ბ ა : არა, არ აღიარებდა. დასავლეთის ეკლესიის მსოფლიო ეკლესიიდან გამოყოფის შემდეგაც რომის ეკლესია და მათი კრებები არ აღიარებდნენ პაპების შეუმცდარობას. მაგ.: პაპი ადრიანე VI (1522-1523წ.წ.) ამტკიცებდა, რომ პაპი შესაძლოა შეცდეს სარწმუნოების საკითხებში და თავისი დეკრეტებით გაავრცელოს მწვალებლობა. მისი ბრძანებით დაიხურა ვატიკანის Pelveder-ი, რომელიც პაპის ამაღლის დროსტარების ადგილი იყო. კრებები ასამართლებდნენ და განკვეთდნენ რომის პაპებს: პიზის კრებამ 1409წ. გადააყენა პაპი გრიგოლ XII და ბენედიქტე XIII. კონსტანტინის კრებამ (1414-1418წ.წ.) ხარისხი აჰყარა პაპ იოანე XXIII-ს.

კ ი თ ხ ვ ა : იქნებ რომის პაპები ნამდვილად ფლობდნენ სარწმუნოების საკითხებში შეუმცდარობას?

მ ი გ ე ბ ა : არა, არ ფლობდნენ. მრავალი შემთხვევაა ცნო-

ბილი, როცა პაპები ერეტიკულ სწავლებასა და სჯულგანდგომილებაში ვარდებოდნენ, აუქმებდნენ ან ცვლიდნენ თავიანთი წინამორბედების სწავლებებს. ასე მაგალითად: პაპი ვიქტორი (192წ.) იწონებდა მონტანისტურ მწვალებლობას; პაპი მარცელინი (296-303წ.წ.) დიოკლეტიანეს და წმიდა გიორგის თანამედროვე — შევიდა ვესტას ტაძარში და მსხვერპლი შესწირა ცრუ-ღვთაებას, ანუ ეშმაკს, (წმიდა გიორგი კი მხოლოდ იმიტომ აწამეს, რომ კერპებს მსხვერპლი არ შესწირა); ლიბერიუსი (358წ.) ათანასე დიდის ეკლესიიდან განკვეთასა და არიანობის მიღებას დაეთანხმა მხოლოდ იმიტომ, რომ გაეთავისუფლებინათ გადასახლებისგან და დაებრუნებინათ წინანდელ კათედრაზე; ზოსიმე (414-418წ.წ.) იწონებდა პელაგიანურ მწვალებლობას, რისთვისაც VI მსოფლიო კრებამ ის დაგმო. ლეონ III-მ (809წ) „ფილიოკვეს“ შესახებ სწავლება დაგმო და რომის ეკლესიას მცნებად დაუწესა — იგი არასოდეს მიეღოთ. ბენედიქტ VIII-მ (1014) შემოიღო „ფილიოკვე“ რწმენის სიმბოლოდ; რომის პაპი წმიდა გრიგორი დიდი (590-604წ.წ.) გმობდა პაპის უპირატესობას; ამტკიცებდა, რომ მთელი ეკლესიის ძალაუფლებისაკენ ეკლესიის ერთ-ერთი წინამძღოლის მისწრაფებამ, მსოფლიო ეკლესია შეიძლება საფუძველში შეარყიოს. იგი ანტიქრისტეს უწოდებდა მას, ვინც სამყაროს ეპისკოპოსის ტიტულს მიისაკუთრებდა; ბონიფაცი VIII (1302 წ.), ევგენი IV (1432წ.), პავლე IV (1559წ.) პაპის ბულებში განამტკიცებდნენ ამ მისწრაფებას; სიქსტ V-მ (1585-1590წ.წ.) გამოსცა მისი უშუალო ხელმძღვანელობით შესწორებული ლათინური ბიბლიის თარგმანი, რომელშიც უამრავი შეცდომა იყო და მისი გამოყენება ყველასათვის სავალდებულო გახდა; ამისათვის მან გამოსცა სპეციალური ბულა ანათემის მუქარით. მემკვიდრე პაპს სასწრაფოდ მოუწია ამ ბიბლიის ხმარებიდან ამოღება. პაპი პიუს VIII (1800-1823წ.წ.) კიცხავდა ბიბლიის მკითხველთ. კლიმენტი XIV-მ (1769-1774წ.წ.) გააუქმა იეზუიტთა ორდენი — ორი საუკუნის განმავლობაში პაპის დასაყრდენი ძალა, რომე-

ლიც ნებადართული იყო პავლე III-ის (1534-1549წ.წ.) მიერ. პაპმა პიუს VII-მ 1814 წელს ეს ორდენი აღადგინა.

ეს სია არასრულია.

კ ი თ ხ ვ ა : კიდევ რატომ არ შეიძლება სარწმუნოებრივ საკითხებში ვალიართ რომის პაპის შეუმცდარობა?

მ ი გ ე ბ ა : იმიტომ, რომ უფალმა ჩვენმა იესო ქრისტემ მხოლოდ მთელ ეკლესიას მიანიჭა უცდომელობა. ცალკეული ადამიანი კი ყოველთვის შეიძლება შეცდეს და გამოთქვას არასწორი შეხედულება.

კ ი თ ხ ვ ა : საიდან ჩანს, რომ უფალმა სარწმუნოების საკითხებში შეუმცდარობა მიანიჭა მთელ ეკლესიას და არა რომელიმე ცალკეულ პიროვნებას?

მ ი გ ე ბ ა : როგორც პავლე მოციქული ბრძანებს, ეკლესია არის „სუეტი და სიმტკიცე ჭეშმარიტებისა“ (I ტიმ. 3.15). „საქმე მოციქულთადას“ ჩანს, რომ მოციქულებმა მნიშვნელოვანი საკითხების გადასაწყვეტად კრება მოიწვიეს, რომელზეც ერთობით (და არა ცალკეული პიროვნებების ავტორიტეტით) დაამტკიცეს ეკლესიის სწავლება.

თუკი სულიწმიდით აღვსებულ მოციქულებს სჭირდებოდათ ერთმანეთის აზრის გაზიარება, რაღა უნდა ვთქვათ რომის პაპებზე, რომლებიც ჩვეულებრივი ადამიანები იყვნენ.

ისეთი დანაშაული არ არსებობს, რომის პაპებს რომ არ ჩაედინოთ: მკვლევლობები, დალატი, ასობით ქალწულის შეცდენა, მიცვალებულთა გასამართლება, სოდომური ცოდვა, სისხლის აღრევა, ვაჭრობა, რითაც კი შეიძლება — სინდისით, ტიტულებით, ინდულგენციებით; კოცონზე დაწვა — ადამიანის, წიგნის, ნათელი აზრის; ინკვიზიცია, ჯვაროსნული ლაშქრობები და მრავალი სხვა, ერთიმეორეზე უფრო ზარდამცემი.

მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითს:

სიქსტ IV-ის (1471-1481წ.წ.) ცხოვრება პაპობის საბრალდებო აქტად გამოდგებოდა. იგი სოდომურ ცოდვაში იყო, ძარცვავდა ხალხს. მისი ჩადენილი ყველა ბოროტება დაჩრდილა

პურის საკითხში გატარებულმა ღონისძიებამ — ნახევარ რუბიოდ ნაყიდ პურს სამ რუბიოდ ჰყიდდა. ადამიანები შიმშილით წყდებოდნენ, ხოლო პაპი ხალხს ინდულგენციებით უკანასკნელ გროშებს სტყუებდა.

ინოკენტი VIII-ის (1484-1492წ.წ.) მსოფლიო ისტორიაში ერთ-ერთი პირველი ადგილი უჭირავს მის მიერ დაღუპულ ადამიანთა რაოდენობით. 1484 წელს მან გამოსცა ცნობილი ბუღა, რომლითაც გამოაცხადა „კუდიანებზე ნადირობა“.

პაპი ალექსანდრე VI (1492-1503წწ) თვითონ იყო სისხლის აღრევის ნაყოფი. ალექსანდრეს ბრძანებით ინკვიზიციამ 1498წ. 23 მაისს კოკონზე დაწვა სავონაროლო - ფლორენციელი მქადაგებელი, რომელიც მისი გარყვნილების წინააღმდეგ ილაშქრებდა.

ალექსანდრე VI-ის გადაწყვეტილი ჰქონდა კარდინალების მოწამვლა (მათი ქონების მითვისების მიზნით). ნადიმზე, სადაც კარდინალები ჰყავდა მიწვეული, შეცდომით სწორედ მას დაუსხეს საწამლავიანი ღვინო, ხალხმა როგორც კი გაიგო პაპის გარდაცვალების ამბავი, ქალაქში არნახული ზეიმი დაიწყო. ყველა წმიდა პეტრეს ტაძრისაკენ მიიჩქაროდა, რათა საკუთარი თვალთ ეხილა პაპის გვამი.

ლეონ X-ის (1513-1521წ.წ.) ბრძანება ასე იწყებოდა: მღვდელმთავარს, როგორც წმიდა პეტრესა და იესო ქრისტეს მოადგილეს მინიჭებული აქვს უფლება... მიუტევოს ყოველგვარი დანაშაული და ყველა ცოდვა შეუწოდოს მონანიების საიდუმლოთი, **ხოლო სასჯელს ცვლის ინდულგენციებით.**

პაპმა გრიგოლ XIII-მ (1572-1585წ.წ.), რომლის სახელთანაა დაკავშირებული „**კალენდრის შესწორება**“ (ე.წ. გრიგორიანული კალენდარი), ბართლომეს ღამის ხოცვა-ჟლეტას „ქრისტიანობის უნეტარესი დღე“ უწოდა; ღვთის სამადლობელი პარაკლისი გადაიხადა და ამ სამარცხვინო დღის აღსანიშნავად სამახსოვრო მედალი მოაჭრევინა, რომლის ერთ მხარეს გამოსახულია თვით გრიგოლ XIII, ხოლო მეორე მხარეს ანგე-

ლოზი ჯვრითა და მახვილით მუსრავს პროტესტანტებს (ბართლომეს ღამის მსხვერპლთა რაოდენობას 30.000-მდე ვარაუდობენ). ეს იყო ე.წ. ქრისტიანთაგან ქრისტეს სახელით მოყვასთა ჟლეტა.

კლიმენტი VIII-მ (1592-1605წ.წ.) კოცონზე დაწვა ჯორდანო ბრუნო.

პაპლე V-მ (1605-1621წწ) „აკრძალულ წიგნთა ინდექსით“ გააკიცხა კოპერნიკის წიგნი „ციურ სფეროთა მოძრაობის შესახებ“. პაპის ინიციატივით ინკვიზიციური პროცესი დაიწყო გალილეო გალილეის, იმ დროის ყველაზე დიდი მეცნიერისა და კოპერნიკის შრომათა პროპაგანდისტის, წინააღმდეგ. განსაკუთრებით იკრძალებოდა თეზისი, რომ დედამიწა ბრუნავს მზის გარშემო და არა — პირიქით; რომ დედამიწა არ არის სამყაროს ცენტრი, რადგანაც გეოცენტრიზმი იყო გრიგორიანული კალენდრის შემოღების მოტივი.

ურბან VIII-მ (1623-1644წ.წ.) ტრიბუნალში თვითონ გააგზავნა გალილეო გალილეის შრომა და 70 წლის ჯანმრთელობაშერყეული მეცნიერი ინკვიზიციის სამსჯავროზე წარდგა. ტრიბუნალმა მოხუცი გავარვარებული შანთებით აწამა. ამის შემდეგ სახელგანთქმულმა მეცნიერმა მუხლი მოიყარა თავისი მოსამართლეების წინაშე დაადო ხელი სახარებას და ფიცით უარყო თავისი აღმოჩენა. ლეგენდის მიხედვით — გალილეიმ ამის შემდეგ მიწას ფეხი დაჰკრა და შესძახა „დედამიწა მაინც ბრუნავს!“ იგი ერთხანს საპატიმროში ჰყავდათ, ხოლო შემდეგ, სიკვდილამდე, ინკვიზიციის მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდა.

ცალკე უნდა ითქვას ჯვაროსნული ლაშქრობების შესახებ. პაპმა ინოკენტი III-მ (1198-1216წ.წ.) მოაწყო 4 ჯვაროსნული ლაშქრობა, აიღო და დაანგრია კონსტანტინოპოლი. 1212 წელს მოაწყო ბავშვთა ჯვაროსნული ლაშქრობა - 30000 ბავშვს საფრანგეთიდან შეუერთდა 20000 ბავშვი გერმანიიდან. მათი უმრავლესობა დაიღუპა ალპებში, დაიხრჩო ზღვაში, გადარჩენი-

ლები კი ეგვიპტეში მონებად გაიყიდა.

პაპი გრიგოლ IX (1227-1241წ.წ.) - მისმა არმიამ მარტო ერთ სოფელში დახოცა 6000 ქრისტიანი გლეხი (ამასაც ჯვაროსნული ლაშქრობა ერქვა). პაპმა დალოცა ეს „გამარჯვება ემ-მაკზე“.

კათოლიციზმის ისტორიაში განსაკუთრებული ადგილი უკავია ინკვიზიციას — საგანგებო საეკლესიო საგამომიებო სასამართლოს. ინკვიზიცია XIII-ს-ში დაიწყო. 60-იანი წლებიდან წამება შემოიღეს. ეპისკოპოსთა მთავარ ამოცანად „მწვალებელთა“ ძებნა და დასჯა გამოცხადდა. ევროპაში ინკვიზიციის ცეცხლი გიზგიზებდა. დიდი ინკვიზიტორის — ტორკვემადას დროს ცოცხლად დაწვეს 10000-ზე მეტი ადამიანი. ესპანეთში ინკვიზიციის პირველსავე წელს 1000-ზე მეტი ადამიანი ცოცხლად დაწვეს, აიყვანეს ეშაფოტზე ან ნაჯახით მოჰკვეთეს თავი. 1492 წელს გადაასახლეს ყველა ებრაელი — 170000 ოჯახი — მილიონამდე კაცი, დაახლოებით, 3 მილიონი ზანგი და ებრაელი.

ლუთერის სიკვდილის შემდეგ დაიწყო პროტესტანტების დევნა. ცეცხლითა და მახვილით დაარბიეს მათი მომხრეებით დასახლებული პუნქტები. არბევდნენ დევიზით: გაწყვიტეთ ყველა, ღმერთი თვითონ გაარჩევს თავისიანებს!

ინკვიზიციის ტრიბუნალის გენერალური ინსპექტორის ინსტრუქცია ასე თავდებოდა: გასრისეთ ყველა, ვისაც თქვენი ჯაშუშები მიგითითებენ — დამნაშავენი და უდანაშაულონი, რადგან ჯობს ასი უდანაშაულო დაახრჩო, ვიდრე ცოცხალი დატოვო თუნდაც ერთი დამნაშავე.

კ ი თ ხ ვ ა : რას ამბობს ამის შესახებ წმიდა წერილი?

მ ი გ ე ბ ა : წმიდა წერილი გვამცნობს: „ბოროტის მოქმედსა სულსა არა შევიდეს სიბრძნე და არცა დაიმკვიდროს ვორცსა შინა განკაფულთა ცოდვათა“ (სიბრძნე სოლ. 1.4).

კ ი თ ხ ვ ა : მართლმადიდებელ ეკლესიაშიც ხომ შეიძლება როდღაც ყოფილიყვნენ ასეთივე ცოდვილები?

მ ი გ ე ბ ა : რა თქმა უნდა, შეიძლება იყვნენ, მაგრამ ეკლესია კიცხავდა და გმობდა მათ. კათოლიკურისაგან განსხვავებით, მართლმადიდებელი ეკლესია არის კრებითი საკრებულო: ანუ აქ ერთი პიროვნება — პატრიარქი ან ეპისკოპოსი ვერ ცვლის ეკლესიის სწავლებას და საერთო სწავლების საწინააღმდეგოდ ვერ იქადაგებს. აქ ყველაფერი საეკლესიო კრებაზე წყდება. თუკი რომელიმე ეპისკოპოსი ან სამღვდელო პირი არა-ეკლესიურ სწავლებას იქადაგებს ან უღირს საქციელს ჩაიდენს, მას სასჯელს დაადებენ ან მღვდელმსახურებისაგან განაყენებენ. ამასთან მართლმადიდებელი ეკლესია არ ქადაგებს რომელიმე ეპისკოპოსის ან თუნდაც პატრიარქის შეუმცდარობას, არამედ, პირიქით, მათგან ითხოვს ეკლესიისა და წმიდა მამათა სწავლებისადმი მორჩილებას.

ჩვენს ეკლესიას ამის არაერთი მაგალითი მოეპოვება. სწორედ ასეთი მიდგომაა იმის მიზეზი, რომ მართლმადიდებელი ეკლესია პირველი საუკუნეებიდან მოყოლებული უცვლელად მისდევს მოციქულთა და წმიდა მამათა სწავლებას.

კ ი თ ხ ვ ა : იქნებ მსოფლიო კრებებს ხელმძღვანელობდნენ რომის პაპები?

მ ი გ ე ბ ა : არა, პაპები არასოდეს დასწრებიან მსოფლიო კრებას. ისინი წარმომადგენლებს აგზავნიდნენ, რომლებიც სხვებთან შედარებით არანაირი უპირატესობით არ სარგებლობდნენ. ეფესოს კრებას პაპის ლეგატიც კი არ დასწრებია. მიუხედავად ამისა, რომის პაპები უსიტყვოდ ემორჩილებოდნენ მართლმადიდებლობის განმსაზღვრელი კრების საბოლოო დადგენილებას.

კ ი თ ხ ვ ა : ვინ იყვნენ მსოფლიო კრებების თავმჯდომარეები?

მ ი გ ე ბ ა : პირველ მსოფლიო კრებას, რომელიც 325 წელს ქ. ნიკეაში გაიმართა, თავმჯდომარეობდა ეპისკოპოსი ოსია კორდუბელი;

მეორე მსოფლიო კრებას, რომელიც 381 წელს ქ. კონსტან-

ტინოპოლში გაიმართა, თავმჯდომარეობდნენ: მელეტი ანტი-ოქელი, წმიდა გრიგოლ ღვთისმეტყველი, ტიმოთე ალექსანდრიელი და ნექტარიოს კონსტანტინოპოლელი;

მესამე მსოფლიო კრებას, რომელიც ქ. ეფესოში 431 წელს გაიმართა, თავმჯდომარეობდა წმიდა კირილე ალექსანდრიელი;

მეოთხე მსოფლიო კრებას, რომელიც 451 წელს ქალკედონში გაიმართა, თავმჯდომარეობდა წმიდა ანატოლი კონსტანტინოპოლელი;

მეხუთე მსოფლიო კრებას, რომელიც 533 წელს ქ. კონსტანტინოპოლში გაიმართა, თავმჯდომარეობდა ევტიქი კონსტანტინოპოლელი;

მექექსე მსოფლიო კრება, რომელიც 680-681 წ.წ. კონსტანტინოპოლში გაიმართა, მოწვეულ იქნა იმპერატორ კონსტანტინე პოგონატის მიერ (668-685 წ.წ.).

მეშვიდე მსოფლიო კრებას, რომელიც 783-787წ.წ. ქ. ნიკეაში გაიმართა, თავმჯდომარეობდა წმიდა ტარასი, კონსტანტინოპოლის პატრიარქი.

კ ი თ ხ ვ ა : როგორი დამოკიდებულება ჰქონდათ პაპის უც-დომელობის მიმართ კათოლიკე ეპისკოპოსებს?

მ ი გ ე ბ ა : ღოგმატმა დიდი კამათი გამოიწვია. იგი ვატიკანის I-მა კრებამ მხოლოდ პაპის მხრიდან კრების მონაწილეებზე ზეწოლის შედეგად მიიღო. კრებაზე ღოგმატის გამანადგურებელი კრიტიკით გამოვიდა კათოლიკე არქიეპისკოპოსი შტროსმაიერი, (რომელმაც ღოგმატის წინააღმდეგ მისცა ხმა და ბოლოს დატოვა კიდეც კრება). მან მრავალი მაგალითი მოიყვანა, როცა პაპები კათედრიდან იღებდნენ და აუქმებდნენ თავიანთ თუ წინამორბედთა გადაწყვეტილებებს; პაპთა მიერ უმძიმესი ცოდვების ჩადენის უამრავი მაგალითი მოიყვანა. მან თქვა: „სულიწმიდით შთაგონებული იქნება ის პაპი, რომელიც ტაძრის კარებთან ვაჭრობს? შეძლებს კი ის ეკლესიის უშეცდომოდ დამოძღვრას? შეგიძლიათ დაამტკიცოთ, რომ ანგარებისმოყვარე, სისხლის აღმრევი, მკვლეელი, სიწმიდეებით მო-

ვაჭრე პაპები ქრისტეს ნაცვლები იყვნენ? დროა მოციქულთა სწავლებას დაკუბრუნდეთ, რამეთუ მის გარეშე მხოლოდ დაბნეულობა და სიბნელე შემოგვრჩა“.

კ ი თ ხ ვ ა : **ზემოთქმულიდან გამომდინარე, როგორი შეფასება უნდა მიეცეს კათოლიკეთა სწავლებას პაპის უცდომელობის შესახებ?**

მ ი გ ე ბ ა : **ეს ერეტიკული, ამპარტავნული, სულის წარმწყმედელი სწავლებაა, ეწინააღმდეგება წმიდა წერილს, წმიდა გადმოცემასა და ისტორიულ სინამდვილეს.**

ქვეთავი 3

სწავლება სულიწმინდის გამომავლობის თაობაზე

კ ი თ ხ ვ ა : **რას ამბობს წმინდა მამათა სწავლება სულიწმიდის გამომავლობის თაობაზე?**

მ ი გ ე ბ ა : ნიკეა-კონსტანტინოპოლის სარწმუნოების სიმბოლო (325 და 381 წ.წ.)-მართლმადიდებელი სარწმუნოების ურყევი საფუძველი, მრწამსი, გვეუბნება: „მრწამს... და სულიწმიდა, უფალი და ცხოველს-მყოფელი, რომელი მამისაგან გამოვალს“. სულიწმიდის მამისაგან გამომავლობის სწავლება ეკლესიას თვით იესო ქრისტემ აუწყა, მოციქულებმა დაამოწმეს და მსოფლიო კრებებმა დაამტკიცეს.

კ ი თ ხ ვ ა : **როგორ აღიარებს სულიწმიდის გამომავლობას ლათინო-პაპიზმი?**

მ ი გ ე ბ ა : კათოლიკური ეკლესია გვაუწყებს, რომ სულიწმიდა „მამისაგანაც და ძისაგანაც“ გამოვალს. დამატება „ძისაგანაც“ - „ფილიოკვე“ მრწამსში პაპმა ბენედიქტ VIII-ემ 1014 წელს, მსოფლიო საეკლესიო კრებაზე განხილვის გარეშე ოფიციალურად თვითნებურად შეიტანა.

კ ი თ ხ ვ ა : **რა იყო რომის მიერ „ფილიოკვეს“ — სულიწმიდის გამომავლობის შესახებ ახალი სწავლების მიღების მი-**

ზეზი?

მიგება : ეს დამატება „და ძისაგან“ (filiogue) პირველად მიიღეს 589 წელს ტოლედოში ესპანეთის ეკლესიის ადგილობრივ კრებაზე. ამის მიზეზი იყო შემდეგი: ამ კრებაზე გადაწყვიტეს ვესტ-გუთების (გერმანული წარმოშობის ტომები) არიანული წვალებიდან მართლმადიდებელ სარწმუნოებაზე მოქცევა. არიანული მწვალებლობის მთავარი სწავლება რაკი არ იზიარებს მამისა და ძის თანასწორობას, ესპანელმა ღვთისმეტყველებმა გადაწყვიტეს დაემატებინათ „და ძისაგან“, რათა მამა და ძე მათი აზრით თანასწორნი ყოფილიყვნენ; ამით კი დაამდაბლეს სულიწმიდა, რითაც მეორე მწვალებლობაში ჩავარდნენ. კარლოს დიდის მოთხოვნის მიუხედავად რომის პაპმა ლეონ III-მ ეს დამატება არ მიიღო. იმპერატორ კარლოს დიდს ამ მოქმედებით სურდა ბიზანტიისაგან თავისი ქვეყნისა და ეკლესიის დამოუკიდებლობისათვის განსაკუთრებულად გაესვა ზეზი.

კითხვა : **რითი ასაბუთებენ კათოლიკენი თავიანთ სწავლებას?**

მიგება : „ფილიოკვეს“ მომხრენი თავიანთ მოძღვრებას იმით ამართლებენ, რომ ძე ერთარსია მამისა და შესაბამისად ყველაფერი, რაც მამისათვის ჩვეულია, ძესაც ახასიათებს.

კითხვა : **მაგრამ, თუ ყველაფერი, რაც მამას ეკუთვნის, ეკუთვნის ძესაც, არ შეიძლება ითქვას, რომ სულიწმიდა გამოდის როგორც მამისაგან, ასევე ძისაგანაც?**

მიგება : არანაირად არ შეიძლება, რადგან ძეს მამასავით აქვს ყველაფერი, გარდა უშობელობისა (ძე შობილია უწინარეს ყოველთა საუკუნეთა) და სულიწმიდის გამომავლობისა; ისევე, როგორც სულიწმიდას მამასავით აქვს ყველაფერი, გარდა ძის შობისა. ამიტომაც, როგორც შეუძლებელია ითქვას, რომ ძე შობილია მამისაგან და სულიწმიდისაგან, ასევე შეუძლებელია ითქვას, სულიწმიდა გამოვალს მამისაგან და ძისაგან.

კითხვა : **კიდევ რა არგუმენტები მოჰყავთ კათოლიკე-**

ებს?

მიგება: მკვდრეთით აღდგომილი მაცხოვარი მიმართავს მოციქულებს: „შეჰბერა მათ და ჰრქუა: მიიღეთ სული წმიდაჲ. უკუეთუ ვიეთნიმე მიუტევნეთ ცოდვანი, მიეტევნენ მათ; და უკუეთუ ვიეთნიმე შეიპყრნეთ, შებყრობილ იყვნენ“ (იოვ. 20.22-23).

კითხვა: იქნებ ამ სიტყვებიდან მართლაც ჩანს სულიწმიდის ძისაგან გამოძავლობა?

მიგება: არა, არ ჩანს. მკვდრეთით აღდგომილი მაცხოვარი ამ სიტყვებს აღდგომიდან ამაღლებამდე წარმოთქვამს. ხოლო ჯვარცმამდე საუბარში ქრისტემ ბრძანა: „უკუეთუ მე არა წარვიდე, ნუგეშინის-მცემელი იგი არა მოვიდეს თქუენდა“ (იოვ. 16.7). „და მე ვკითხო მამასა ჩემსა, და სხუაჲ ნუგეშინის-მცემელი მოგივლინოს თქუენ“ (იოვ. 14.16). „ხოლო რაჟამს მოვიდეს ნუგეშინის-მცემელი იგი, რომელი მე მოვავლინო თქუენდა მამისა ჩემისა მიერ, სული ჭეშმარიტებისაჲ, რომელი მამისაგან გამოვალს, მან წამოს ჩემთჳს“ (იოვ. 15.26). მოყვანილი მუხლებიდან ჩანს, რომ სულიწმიდა მოციქულებზე გარდამოვლენილ იქნება თვით მამის მიერ, მხოლოდ ქრისტეს ამაღლების შემდეგ.

კათოლიკეთა მიერ მოყვანილი მუხლით კი სინამდვილეში მოციქულებმა მიიღეს ძალი და ხელმწიფება სულიწმიდის ერთი ნიჭისა, სულიერი ნიჭებიდან ერთ-ერთისა — მადლი ცოდვათა შენდობისა, რადგან სულიწმიდის მადლი მრავალია და აქ მათ მიიღეს ერთი მადლი. მანამდე ქრისტემ მოციქულებს მიჰმადლა მკვდართა აღდგინებისა და სნეულთა კურნების მადლები; ისევე, როგორც ძველ აღთქმაში წინასწარმეტყველთ — წინასწარმეტყველებისა და წმიდა წერილის წერის ნიჭები.

მთელი სისავსით კი სულიწმიდა აღდგომიდან ორმოცდამეათე დღეს გარდამოვიდა და მოციქულებს დაადგრა ცეცხლის ენების სახით. ამ დღეს მოციქულებმა „ყოველთა სასწაულთა და ძალთა და ენათა მადლი მიიღეს, რამეთუ მიუწვდომელ არს

მადლი სულისა წმიდისა და მრავალსახენი არიან ნიჭნი მისნი“ (იოანე ოქროპირი, † 407 წ.).

კითხვა: რას ამბობს წმიდა წერილი სულიწმიდის გამოძავლობაზე?

მიგება: სულიწმიდის მხოლოდ მამისაგან გამოძავლობაზე პირდაპირ ბრძანებს თვით იესო ქრისტე, როდესაც აუწყებს მოციქულთ: „ხოლო რაჟამს მოვიდეს ნუგეშინის-მცემელი იგი, რომელი მოვავლინო თქუენდა მამისა ჩემისა მიერ, სული ჭეშმარიტებისაჲ, რომელი მამისაგან გამოვალს, მან წამოს ჩემთჳს“ (იოვ. 15. 26).

კითხვა: როგორ უნდა ვასწავლოთ სულიწმიდის გამოძავლობის თაობაზე?

მიგება: უნდა ვასწავლოთ, რომ სულიწმიდა გამოდის მამისაგან, და გადმოდის ადამიანზე მის საშუალებით, როგორც თვითონ უფალმა ბრძანა მოციქულებთან საუბარში: „ხოლო ნუგეშინის-მცემელი იგი სული წმიდაჲ რომელი მოავლინოს სახელითა ჩემითა მამამან“ (იოვ. 14.26).

კითხვა: როგორ ასწავლიდა ძველი ეკლესია სულიწმიდის გამოძავლობას?

მიგება: ძველი ეკლესია ასწავლიდა, რომ სულიწმიდა მხოლოდ მამისაგან გამოვალს. მეორე მსოფლიო კრების წმიდა მამებმა დაადგინეს: „და სულიწმიდა, უფალი და ცხოველს-მყოფელი, რომელი მამისაგან გამოვალს“. ასევე შევიდა სარწმუნოების სიმბოლოში – მრწამსშიც.

კითხვა: შეეძლოთ თუ არა ქრისტიანებს მსოფლიო კრების ამ დადგენილებაში რაიმე დამატება შეეტანათ, როგორც ეს ლათინებმა გააკეთეს, როცა დაუმატეს სიტყვები – „და მისაგან“?

მიგება: არა, არ შეეძლოთ. „ხოლო ვინც პირველთქმული კეთილმსახურების სჯულს არ შეიტკობს და არ შეუდგება, იქადაგებს და ხელს მიჰყოფს მის შებრუნებასა და უკუღმა შემოტრიალებას, შეჩვენებულ იყოს ზემოთ მოხსენებული წმი-

და ღმერთშემოსილი მამებისა და ქრისტიანთა კრებული საგან და ისინი, როგორც უცხოები, გაძევებულ და გაგდებულ უნდა იქნენ, რადგანაც ჩვენ არც არაფრის შემატებასა და არც არაფრის დაკლებას ვიღებთ ჩვენს თავზე; ნუ გადავალთ სარწმუნოების პირველ განჩინებულ საზღვარს ან რომელიმე სიტყვას“ (მეექვსე მსოფლიო კრების პირველი კანონი).

კ ი თ ხ ვ ა : ქრისტიანული სწავლებისათვის „ფილიოკვეს“ შემოტანა რამდენად მნიშვნელოვანი ცვლილებაა?

მ ი გ ე ბ ა : „ფილიოკვე“ არა მარტო იმის პრეცედენტია, რომ კარი გაუვლთ ღვთაებრივი სწავლების საწინააღმდეგო ცვლილებების შემოტანას ქრისტიანული სარწმუნოების არსში, არამედ მას აქვს აგრეთვე საყურადღებო დოგმატური მნიშვნელობაც:

ა) კათოლიკური სწავლებით, თუკი სულიწმიდა გამოდის როგორც მამისაგან, ასევე ძისაგან, მაშინ მას ჰქონია ორი მიზეზი: ღვთაებრივი ბუნება კი არის მარტივი და სამების ერთ პირს არ შეიძლება ჰქონდეს ორი საწყისი. მათ შემთხვევაში კი გამოდის, რომ ყოფილა ორი სულიწმიდა: ერთი მამისაგან გამოსული და ერთი ძისაგან. აქედან გამომდინარე, ყოფილა არა სამება არამედ ოთხება: მამა, ძე და ორი სულიწმიდა, რაც ეწინააღმდეგება წმიდა წერილს და არის მკრეხელობა.

ბ) „თუკი ვაღიარებთ მამისაგან და ძისაგან სულიწმიდის გამოსვლას, მაშინ გამოდის, რომ მამისაგან იშვება ძე და გამოდის სულიწმიდა, ძისაგან გამოდის სულიწმიდა, ე.ი. წმიდა სამებაში მამა და ძე იქნებიან აღმატებული მოქმედებისანი, სულიწმიდა დაკლებულ იქნება ერთპატივისაგან, რადგან მამა და ძე გამოავლენს სულსა, სულიწმიდა კი ვეღარას მოქმედებს, ეს არა არის რა, თუ არა სულიწმიდის დამდაბლება და მისი გმობა“.

გ) ისინი, ვინც წმიდა წერილს ეწინააღმდეგებიან, სულიწმიდას ეწინააღმდეგებიან და გმობენ, რადგან წმიდა წერილი წმიდა წინასწარმეტყველთა და მოციქულთა მიერ, სულიწმი-

დის ნიჭით დაიწერა. ამგვარად, როდესაც წმიდა წერილში კათოლიკეებს შემოაქვთ სახარებისათვის უცხო სწავლება, ეწინააღმდეგებიან მას და გმობენ მის ავტორს — სულიწმიდას.

სახარების მიხედვით კი: „ყოველი ცოდვაა და გმობაა მიეტეოს კაცთა, ხოლო სულისა წმიდისა გმობაა არა მიეტეოს კაცთა“ (იოვ. 12.31). „ხოლო რომელმან თქუას გმობაა სულისა წმიდისათვის, არა აქუს მიტეებაა უკუნისამდე, არამედ თანამდებ არს საუკუნოხსა სასჯელისა“ (მარკ. 3.29) (აქ სულიწმიდის გმობით გარდაცვლილები იგულისხმებიან, რომლებიც ამ ცოდვის მოუნანიებლად გარდაიცვალნენ).

კითხვა: რა პრაქტიკული შედეგები მოუტანა ქრისტიანობას კათოლიკეთა მიერ „ფილიოკვეს“ მიღებამ?

მიგება: „ფილიოკვე“ გახდა 1054 წელს მართლმადიდებლობისაგან დასავლეთის ეკლესიის ჩამოშორების ერთი უმთავრესი მიზეზი. ქრისტიანების მიერ „ფილიოკვეს“ მიღება და აგრეთვე პაპის მეთაურობის აღიარება აუცილებელი პირობა იყო უნიათა შედგენასა და პრაქტიკულ საქმიანობაში (უნიები აღმოსავლეთისა და დასავლეთის ეკლესიათა „გაერთიანების“ ხელშეკრულებებია).

კითხვა: ზემოთქმულიდან გამომდინარე, რა შეიძლება ითქვას კათოლიკეთა სწავლების — სულიწმიდის მამისაგანაც და ძისაგანაც გამომავლობის შესახებ?

მიგება: იგი ეწინააღმდეგება ღვთაებრივ ჭეშმარიტებას და წარმოადგენს ცრუ — ღვთისმგმობ და ერეტიკულ სწავლებას; გამოუსწორებელ ზიანს აყენებს ადამიანის სულს. ქრისტეს სიტყვების თანახმად მისი მიმდევარი თანამდებია ჯოჯოხეთის „საუკუნოხსა სასჯელისა“ (მარკ. 3.29), რადგანაც არის სულიწმიდის მგმობელი.

ქვეთავი 4

სწავლება პირველქმნილ ცოდვაზე

კითხვა: როგორია პირველქმნილ ცოდვაზე მართლმადიდებლური სწავლება?

მიგება: წმიდა წერილის თანახმად და მართლმადიდებელი ეკლესიის სწავლებით, ღმერთმა ადამიანი შექმნა თავის ხატად და მსგავსად, უცოდველი ბუნებითა და თავისუფალი ნებით. დაცემამ, რომელიც ღვთის ნების უარყოფის გამო მოხდა, გამოიწვია მისთვის მადლის ჩამორთმევა და კაცთა ბუნების წახედენა: ადამიანის სულის დაზიანება (დაბ. 3.7-13), მისი ბუნების შეცვლა, მასში ღმრთის სახის დაბინდვა. გონიერ არსებათა (ადამიანისა და დაცემულ სულთა) მხრიდან ღვთის ნებისა და მცნებათა უარყოფის შედეგად სამყაროში ცოდვა და ბოროტება შემოვიდა.

კითხვა: როგორია კათოლიკეთა სწავლება პირველქმნილ ცოდვის თაობაზე?

მიგება: კათოლიკეებმა დაიწყეს სწავლება, რომ ღმერთმა ადამიანი შექმნა ორი ერთიმეორის მოწინააღმდეგე ნაწილისაგან – სხეულისა და სულისაგან. ადამიანის არსება დაცემამდე იყო ღვთისაგან მინიჭებული მადლიანი, კურთხეული მფარველობის ქვეშ. ადამიანმა დაცემით დაკარგა მადლი და ჰარმონია, მაგრამ მისი ბუნება დაუზიანებელი დარჩა. კათოლიკეები არ განმარტავენ, მინიჭებული ზებუნებრივი მადლის მიუხედავად, დაცემულმა ძალებმა როგორ აჯობეს უზენაეს, ღვთაებრივ ძალებს (იხ. ლიტურატურის სია პ.5. გვ.46-47), ვინაიდან თუკი ადამიანის გონიერი, სულიერი ნაწილი ცოდვას არ დაეთანხმებოდა, არც დაცემა იქნებოდა, ხოლო რამაც ცოდვის ჩადენა გადაწყვიტა, როგორ დარჩებოდა დაუზიანებელი, როგორ დაისჯებოდა მხოლოდ ის ნაწილი, ანუ სხეული, რომელსაც გადაწყვეტილების მიღება არ შეუძლია.

კითხვა: კათოლიკეთა სწავლებიდან რა გამომდინარე-

ობს?

მ ი გ ე ბ ა : კათოლიკური სწავლებიდან გამომდინარეობს, რომ ღმერთს ან არ შეეძლო თავისი მაღლით გადაერჩინა ადამიანი ან ეს მაღლი მას დაცემამდე წაართვა. მაშასადამე, ღმერთი ან ყოვლისშემძლე არ არის ან თვით გვევლინება სამყაროში ბოროტებისა და ცოდვის წყაროდ, რაც ღმერთის შესახებ ქრისტიანულ სწავლებას ეწინააღმდეგება.

კ ი თ ხ ვ ა : **რა შეიძლება ითქვას პირველქმნილი ცოდვის ლათინო-პაპისტურ სწავლებაზე?**

მ ი გ ე ბ ა : **ეს სწავლება ეწინააღმდეგება ღვთაებრივ ჭეშმარიტებას, არის ცრუ, ღვთის შეურაცხყოფელი და მწვალებლური.**

ქვეთავი 5

წმინდანთა ზეჯეროვანი დამსახურებებისა და ინდულგენციების თაობაზე

კ ი თ ხ ვ ა : **რას წარმოადგენს კათოლიკეთა სწავლება წმინდანთა ზეჯეროვან დამსახურებათა თაობაზე?**

მ ი გ ე ბ ა : კათოლიკეთა სწავლებით, რომელიც XIII-XIV საუკუნეებში აღმოცენდა, ადამიანის გადარჩენისათვის საჭიროა კეთილ საქმეთა გარკვეული რაოდენობა; გასათვალისწინებელია ისიც, თუ რა რაოდენობისა და სიმძიმისაა მისი ცოდვები. წმინდანებს იმაზე მეტი კეთილი საქმეები აქვთ გაკეთებული, ვიდრე ეს მათი სულების ხსნისათვის იყო საჭირო. ისე რომ, მათი მეტობა ქმნის გარკვეულ „კეთილ საქმეთა საგანძურს“ და პაპს უფლება აქვს ჩაუთვალოს ეს მეტობა იმ ადამიანებს, რომელთაც კეთილ საქმეთა ნაკლებობა აქვთ.

კ ი თ ხ ვ ა : **რა არის ინდულგენცია?**

მ ი გ ე ბ ა : ეს არის ცოდვილთა გათავისუფლება სასჯელი-საგან წმინდანთა ზეჯეროვანი დამსახურებების ხარჯზე მათი

ცოდვების დაფარვით.

კ ი თ ხ ვ ა : ვის და რისთვის მიეცემა ინდულგენცია?

მ ი გ ე ბ ა : თავდაპირველად ინდულგენცია ეძლეოდათ ჯვაროსნულ ლაშქრობათა მონაწილეებს, ხოლო შემდეგ იმ პირებს, რომელთაც ეკლესიის წინაშე რაიმე დამსახურება ჰქონდათ; შემდგომში ინდულგენციები ფულზე იყიდებოდა და პაპების შემოსავლის წყაროს წარმოადგენდა. ინდულგენციები იყიდებოდა, როგორც უკვე ჩაღწეული, ასევე მომავალში ჩასადენი ცოდვების გამოსასყიდად. ასე მაგალითად, ადამიანს შეეძლო წინასწარ გადაეხადა თანხა, ხოლო შემდეგ ჩაეღწა ცოდვები, რასაც ეს თანხა ეყოფოდა. ამისათვის შუა საუკუნეებში კათოლიკურ ეკლესიას შემუშავებული ჰქონდა სპეციალური ნიხრები:

მოვიყვანთ ამ ნიხრის ზოგიერთ მუხლს:

1. კლირიკოსი მკვლელი შენდობას იღებს 27 ლირის გადახდით;

2. მამის, დედის ან დის მკვლელობისათვის შენდობის მისაღებად ცოდვილმა უნდა გადაიხადოს 17 ლირა, 14 სოლდი და 6 დინარი;

3. საკუთარი შვილის დამღრჩობი მამა ან დედა შენდობის მისაღებად იხდის 17 ლირას და 14 სოლდის;

4. ეპისკოპოსის მიერ განკვეთა გამოისყიდება 45 ლირად;

5. პაპის ანათემა გამოისყიდება 45 ლირად;

6. მკრეხელი, ქურდი, ხანძრის გამჩენი, მძარცველი და სხვა – შენდობას იღებენ 136 ლირად და 6 სოლდად;

7. მონასტრის სიწმინდის „დაცვის მიზნით“ მამრობითი სქესის წარმომადგენლებს ეკრძალებოდათ მონასტერში შესვლა, მის ახლომახლო საკრავების დაკვრა. დამრღვევი 25 ოქროს იხდის;

8. მრუშობაში დაჭერილი მონაზონი 500 ლუკატს იხდის.

(უკანასკნელი ორი პუნქტი ამოღებულია პაპი იოანე XXIII-ის, ბალთაზარ კოსას ბრძანებულებიდან);

ინდულგენციები XVI საუკუნეში კათოლიკური ეკლესიის

განხეთქილებისა და პროტენსტანტიზმის აღმოცენების უშუალო მიზეზი გახდა. ამჟამად ინდულგენციები ეძლევათ მოწყალების საქმეებში მონაწილეობისათვის, გარკვეული რაოდენობის ლოცვათა წაკითხვისათვის და ა.შ. აგრეთვე ეკლესიისათვის და ეკლესიის სხვადასხვა საჭიროებებზე ტარიფიცირებული შემოწირულობებისათვის.

კითხვა : სწორია თუ არა ეს სწავლება?

მიგება : არა, ეს სწავლება პრინციპულად მცდარია; კეთილი საქმეების კეთება ქრისტიანის განუყოფელი მოვალეობაა და აუცილებელ ანაზღაურებას არ ექვემდებარება. მაცხოვარი ასე მოძღვრავს მოციქულებს: „ეგრეცა თქუნენ, ოდეს ჰყოთ ბრძანებული თქუნდა, თქუთ, ვითარმედ: მონანი ვართ უცმარნი; რომელი თანა-გუედვა ყოფად, ვყავთ“ (ლუკა 17.10). მოციქული პავლე კი ბრძანებს: „რამეთუ მისნი შექმნულნი ვართ და დაბადებულნი ქრისტე იესუმს მიერ საქმეთათვის კეთილთა, რომელთათვის წინააღმდეგ ვინააღმდეგ ვართ, რაფთა მათ შინა ვიდოდით“ (ეფეს. 2.10). ვენახის მუშაკთა იგავში იესო ქრისტე ბრძანებს ყველა მომუშავესათვის ერთნაირ ანაზღაურებას, იმისაგან დამოუკიდებლად, ვინ რამდენი იმუშავა (მათე 20.1-15). ეს მოწმობს, რომ ცათა სასუფეველი ენიჭება არა როგორც კეთილ საქმეთა რაოდენობის მიხედვით სავალდებულო მისაგებელი, არამედ, როგორც ღვთის მიერ ნაბოძები წყალობა. აი, ამიტომ ბრძანებს პავლე მოციქული: „რამეთუ საგზალი ცოდვისაჲ სიკუდილი არს, ხოლო ნიჭი ღმრთისაჲ — ცხოვრებაჲ საუკუნომ ქრისტე იესუმს მიერ უფლისა ჩუენისა“ (რომ. 6.23).

კითხვა : დასაშვებია თუ არა ხსნის მისაღებად კეთილ საქმეთა გადანაწილება?

მიგება : არა, შეუძლებელია, რადგან იესო ქრისტე ათი ქალწულის შესახებ იგავში გვიამბობს: „ხოლო სულელნი იგი ეტყოდეს ბრძენთა მათ: მეცით ჩუენ ზეთისაგან თქუენისა, რამეთუ ლამპარნი ჩუენნი დაშრტებთან. მიუგეს ბრძენთა მათ და ჰრქუეს : ნუუკუე ვერ კმა-გუეყოს ჩუენ და თქუენ, არამედ უფ-

რომელა წარვედით სავაჭროდ და იყიდეთ თავისა თქუენისა“ (მათ. 25.8-9).

თვითოეული ქრისტიანი თავისი ძალ-ღონისა და შესაძლებლობათა მიხედვით მუდმივად უნდა აკეთებდეს კეთილ საქმეებს.

კითხვა: ქრისტიანს ჩადენილი ცოდვების გამო სასჯელისაგან რა გადაარჩენს?

მიგება: ქრისტიანს ცოდვათათვის სასჯელის მიგებისაგან იხსნის წრფელი გულით ნათქვამი აღსარება და ჩადენილ ცოდვათა გამო ღრმა სინანული იმ მტკიცე გადაწყვეტილებით, რომ შემდგომში მათ აღარ ჩაიდენს.

კითხვა: უწყობს თუ არა ხელს მორწმუნის აღსარებას წმინდანთა ზეჯეროვანი ღვაწლისა და ინდულგენციების შესახებ სწავლება?

მიგება: არა, არ უწყობს ხელს. პირიქით, აღსარების დროს ყურადღებას უფანტავს, რადგან თავისი კეთილი საქმეებისა და ცოდვების ფორმალური ბუღალტრული აღრიცხვის დაანგარიშებაში ჩაითრევს, რაც ხსნისათვის არაფრისმომცემია. კეთილ საქმეთა აღსრულების დროს ანგარიშიანობას უვითარებს, უქმნის კეთილი საქმეებით (ამასთან — სხვისი კეთილი საქმეებით) ცოდვების გადაფარვის ილუზიას, ცოდვათა მიტევებისათვის ტარიფიცირებული შენატანების რაოდენობათა ანგარიშიანობას, მით უმეტეს, რომ მდიდარს ღარიბთან უპირატესობა აქვს.

კითხვა: როგორ უნდა შევაფასოთ წმინდანთა ზეჯეროვანი დამსახურებებისა და ინდულგენციების შესახებ კათოლიკური სწავლება?

მიგება: სწავლება ერეტიკულია და მორწმუნეთათვის დიდი სულიერი ზიანი მოაქვს, ვინაიდან ღვთაებრივ ჭეშმარიტებას ყველაფერში ეწინააღმდეგება, მიჰყავს ადამიანი სიყალბის გზით, უქარწყლებს მას სინანულისა და აღსა-

რების სურვილს, აგდებს ხიბლის მდგომარეობაში, რაც მის სულიერ ხსნას აბრკოლებს.

ქვეთავი 6

დოგმატები ქალწული მარიამის უბიწო ჩასახვისა და მისი სხეულებრივი ამაღლების თაობაზე

კითხვა: რას წარმოადგენს სწავლება ქალწული მარიამის უბიწო ჩასახვის თაობაზე?

მიგება: 1854 წელს კათოლიკურმა ეკლესიამ მიიღო დოგმატი: ყოვლადწმიდა ქალწული მარიამი თავისი ჩასახვისთანავე ყოვლისშემძლე ღმერთის განსაკუთრებული მაღლის წყალობით, იესო ქრისტეს დამსახურებათა განჭვრეტით — დაცული იყო პირველქმნილი ცოდვის ყოველგვარი სიბილწისაგან.

კითხვა: სწორია თუ არა ეს სწავლება?

მიგება: არა, არ არის სწორი. წმიდა წერილიდან ჩვენ ვიცით, რომ ჩვენი წინაპრის — ადამის ცოდვა გადადის ყველა ადამიანზე: „ვითარცა-იგი ერთისა მის კაცისათვის ცოდვაჲ სოფლად შემოვდა და ცოდვისა ძლით — სიკუდილი, და ესრეთ ყოველთა კაცთა ზედა სიკვდილი მოიწია, რომლითა **ყოველთა შესცოდეს**“ (რომ. 5.12). მაშასადამე, ყველა ადამიანი, როგორც საერთოდ, ბუნებრივი გზით მოვლენილი ადამიანთა მოდგმა, ცოდვაში ჩაისახება და იშვება. „უშჯულოებათა შინა მიუღვა და ცოდვათა შინა მშვა მე დედამან ჩემმან“ (ფს. 50.7).

კითხვა: არ შეიძლებოდა ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი ამ საერთო წესიდან გამონაკლისი ყოფილიყო?

მიგება: არა, არ შეიძლებოდა. გამონაკლისია მხოლოდ ღმერთკაცი უფალი იესო ქრისტე. მასზე წმიდა წერილი ამბობს: „ცოდვაჲ მის თანა არა არს“ (1 იოვ. 3.5). „გამოცდილი ყოვლითავე მსგავსებითა, თვნიერ ცოდვისა“ (ებრ. 4.15). „რამეთუ, რომელმან-იგი არა იცოდა ცოდვაჲ“ (2 კორ. 5.21). წმი-

და წერილში ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის შესახებ მსგავსი არაფერია ნათქვამი.

კ ი თ ხ ვ ა : **ყოვლადწმიდა ღვთისმშობელს ხომ არ ვამცირებთ ჩვენ მისი უბიწოდ ჩასახვის უარყოფით?**

მ ი გ ე ბ ა : არა, ვინაიდან ყოვლადწმიდა ღვთისმშობელს ჩვენ თაყვანს ვცემთ, როგორც უპატიოსნესა ქერუბიმთასა და ალმატებით უზესთაესსა სერაფიმთასა; მაგრამ ეს პატივი მას თავდაპირველად კი არ ჰქონდა, არამედ იმის შემდეგ მიიღო, რაც უბიწოდ ჩაესახა ძე ღვთისა.

კ ი თ ხ ვ ა : **ეს საიდან ჩანს?**

მ ი გ ე ბ ა : თვით მისივე სიტყვებიდან, რადგანაც მხოლოდ იესო ქრისტეს ჩასახვის შემდეგ თქვა მან: „რამეთუ აჰა ესერა ამიერიდან მნატრიდენ მე ყოველნი ნათესაენი“ (ლუკ. 1.48).

კ ი თ ხ ვ ა : **რას წარმოადგენს კათოლიკეთა სწავლება ღვთისმშობლის ხორციელად ამაღლების თაობაზე?**

მ ი გ ე ბ ა : კათოლიკური ეკლესიის მიერ 1950 წელს მიღებული დოგმატი გვამცნობს: „უბიწო ღვთისმშობელი, მარად-ქალწული მარიამი, მიწიერი ცხოვრების დასრულების შემდეგ სულით და ხორციით აყვანილ იქნა ზეციურ დიდებაში“.

კ ი თ ხ ვ ა : **რა განსხვავებაა, ერთი მხრივ, კათოლიკეთა ამ დოგმატსა და, მეორე მხრივ, მართლმადიდებლურ მოძღვრებას შორის, რომლებიც ერთი შეხედვით, თითქოს ერთსა და იმასვე ამბობენ, რომ ყოვლადწმიდა თავისი სიკვდილის (მიძინების) შემდეგ, რაც პირველქმნილი ცოდვის შედეგია, ალყვანილ იქნა სულით და თავისი უწმიდესი სხეულით და იქ თავისი განდიდებული ხორციით იმყოფება?**

მ ი გ ე ბ ა : განსხვავება ის არის, რომ კათოლიკეები ღუმილით უვლიან გვერდს ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის სიკვდილის საკითხს. ეს მათ საშუალებას აძლევს ილაპარაკონ (რასაც აკეთებენ კიდევ) : ა) რომ, ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი არ მომკვდარა, ცოცხლად იქნა ზეცად ატაცებული, რაც წმიდა გარდამოცემას პირდაპირ ეწინააღმდეგება; ბ) რომ, მისი სიკ-

ვდილი ნებაყოფლობითი და გამომხსნელია, ისევე, როგორც მაცხოვრისა გოლგოთაზე ჯვარცმით; ისინი ღვთისმშობელს სახელდებენ, როგორც კაცთა მოღვმის „თანაგამომხსნელს“, რაც ასევე ეწინააღმდეგება ღვთაებრივ ჭეშმარიტებას, რომლის თანახმად ერთადერთი გამომხსნელი, ღმერთთან ადამიანის შემრიგებელი და კაცთათვის მარადიული ცხოვრების მომცემი, ანუ მაცხოვარი, არის ძე ღვთისა — ღმერთკაცი იესო ქრისტე.

კ ი თ ხ ვ ა : როლის გაჩნდა კათოლიკეებთან ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის უბიწოდ ჩასახვის სწავლება?

მ ი გ ე ბ ა : აზრი ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის უბიწოდ ჩასახვის შესახებ დასავლეთში XII საუკუნეში გაჩნდა. ამის წინააღმდეგ გამოვიდნენ კათოლიკური სამყაროს ისეთი ცნობილი პიროვნებები, როგორებიც იყვნენ: ბერნარდ კლერვოსელი (1090-1153წ.წ.), ანსელმ კენტერბერიელი (1033-1109წ.წ.) და თომა აქვინელი (1226-1274წ.წ.). ამ სწავლებას ეწინააღმდეგებოდა დომინიკანელთა ორდენიც. 1854 წლის 8 დეკემბერს პაპმა პიუს IX-მ განსხვავებული ბულით, კრების გარეშე, ეს სწავლება დოგმატად გამოაცხადა.

კ ი თ ხ ვ ა : რა შეიძლება ითქვას კათოლიკეთა ამ დოგმატების თაობაზე?

მ ი გ ე ბ ა : წმიდა წერილისა და საეკლესიო სწავლების მიხედვით, იესო ქრისტემ გოლგოთაზე ჯვარზე ნებსით დაღვრილი სისხლით ადამიანი საუკუნო წყევის, ეშმაკის ბატონობისა და ჯოჯოხეთში მარადიული სიკვდილისაგან იხსნა. ადამის ცოდვით დაღდასმული თითოეული ადამიანი მხოლოდ ჯვარცმასთან თანაზიარობით, ანუ ნათლობით ხდება გამომხსნის ღირსი. (ნათლობა — ჯვარცმის თანაზიარობაა, (მარკ.10.38) ემბაზში სამჯერ შთაფლვა ნიშნავს ქრისტესთან ერთად სამი დღე საფლავში ყოფნასა და აღდგომას).

ქალწული მარიამის უბიწოდ ჩასახვისა და ცოცხლად ზეცად ამაღლების შესახებ კათოლიკური დოგმატებიდან კი გამომდინარეობს, რომ ხსნა — ჯერ კიდევ ქრისტეს ჯვარცმამდე სხვა

გზითაც ყოფილა შესაძლებელი; რადგან, თუკი ღვთისმშობელს ადამის ცოდვა არ ჰქონდა, მისთვის არც გოლგოთის მსხვერპლი ყოფილა აუცილებელი, ე.ი. გამოდის, რომ მაცხოვრის გვერდის ავლით შესაძლებელი ყოფილა სასუფეველში დაბრუნება, ანუ ცხონება. ამით ქრისტეს მაცხოვრებლობა იზრდილება, კნინდება, ეჭვის ქვეშ დგება, ხდება მისი უარყოფა. სახარებაში კი უფალი პირდაპირ ბრძანებს: „და რომელმან უვარ-მყოს მე წინაშე კაცთა, უვარ-ვყო იგი მეცა წინაშე მამისა ჩემისა ზეცათაჲსა“ (მათე. 10.33).

ამგვარად, ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის უბიწოდ ჩასახვისა და ზეცად ამაღლების თაობაზე ლათინთა დოგმატები ეწინააღმდეგება ჭეშმარიტებას, არის მკრეხელური, ღვთისმგმობი და სულის წარმწყმედელი.

ქვეთავი 7

წმიდა საიდუმლოთა აღსრულებაში გადახვევების თაობაზე

მართლმადიდებელი ეკლესია, სჯულის კანონზე დაყრდნობით, კრძალავს მწვალებლებთან ერთად ლოცვას და, საერთოდ, მათ მიერ შესრულებული საიდუმლოებების (ნათლისღება, მირონცხება, ზიარება...) აღიარებას (მოციქულთა კანონები 10,45,46).

რაკი მწვალებელთა საკრებულოში აღსრულებული ყველა მოქმედება სულიწმიდის მადლსაა მოკლებული, ამიტომაც ისინი მხოლოდ გარეგნული და მოჩვენებითია: „არ შეიძლება ერეტიკოსთაგან კურთხევის მიღება, რადგან ეს უგონობა(ბუტბუტი, ცრუკურთხევა) უფროა, ვიდრე ევლოგია (კურთხევა), (ლაოდიკიის კრების კანონი, 32-33). მაგრამ, რადგანაც ლათინები თავიანთ ქმედებებს „ღვთიურად“ მიიჩნევენ, ჩვენც მხოლოდ ამ

მიზეზით მოგვყავს მათ მიერ ძველი ქრისტიანული ტრადიციებისაგან განსხვავებულად – არასწორად და სახეშეცვლილად, წმიდა საიდუმლოთა შესრულების ფაქტები.

კ ი თ ხ ვ ა : ძველი გადმოცემებიდან რა უმნიშვნელოვანესი გადახვევებია კათოლიკეთა მხრიდან წმიდა საიდუმლოთა შესრულებაში?

მ ი გ ე ბ ა : მართლმადიდებლობისაგან კათოლიკეთა ჩამოშორების შემდეგ მიღებულ სიახლეებში აღსანიშნავია:

ჩვილ ბავშვთა ჩამოშორება „მირონცხების“ საიდუმლოსაგან, რაც სრულდება ყმაწვილობის ასაკის მიღწევის შემდეგ (7-დან 12 წლამდე);

ე.წ. „ზიარების“ საიდუმლოსაგან ჩვილ ბავშვთა, ასევე ყმაწვილობის ასაკამდე, ჩამოშორება;

ქრისტეს „წმიდა სისხლით“ ზიარებისაგან ერისკაცთა განყენება;

ა) ჩვილ ბავშვთა „წმიდა მირონცხების“ უარყოფა;

კ ი თ ხ ვ ა : სწორად იქცევიან თუ არა კათოლიკეები, როდესაც ჩვილ ბავშვებს „წმიდა მირონს“ სცხებენ არა უმუშაოდ წმიდა ნათლისღების, არამედ გარკვეული დროის გასვლის შემდეგ?

მ ი გ ე ბ ა : არა, არ იქცევიან სწორად. ნათლისღებისთანავე ჩვილ ბავშვთა მირონცხების ტრადიციას წმიდა ეკლესია მოციქულთა დროიდან ინახავს.

კ ი თ ხ ვ ა : როგორ ასწავლიდნენ ამის შესახებ მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა მამები?

მ ი გ ე ბ ა : წმიდა კვიპრიანე, კართაგენის ეპისკოპოსი (III ს.) წერდა: „ნათელღებულისათვის აუცილებელია აგრეთვე მირონცხება, რათა (მიიღებს რა ქარიზმას ე.ი. ცხებას) გახდეს ზეგარდმოცხებული და ჰქონდეს ქრისტეს მადლი“. ლაოდიკიის საეკლესიო კრების (IV ს.) დადგენილებაში ნათქვამია: „ჯერ არს წმიდა ნათლისღებით განათლებულმა აგრეთვე იცხოს ზე-

ციური ცხებით, რათა გახდეს ღვთის სასუფევლის თანაზიარი“ (კანონი 48).

კ ი თ ხ ვ ა : რატომ არის საჭირო ჩვილ ბავშვთა მირონცხება მაშინვე – მონათვლის შემდეგ?

მ ი გ ე ბ ა : წმიდა მირონცხების დროს ადამიანს მიენიჭება ღვთიური ძალები, რომლებიც მას აღზრდიან და სულიერ ცხოვრებაში განამტკიცებენ. ბუნებრივია, ეს ძალები განსაკუთრებით აუცილებელია იმ ადამიანისათვის, რომელიც ახლად იწყებს ახალ (სულიერ) ცხოვრებას და დახმარებასა და განმტკიცებას საჭიროებს.

წმიდა გრიგოლ ღვთისმეტყველი წერდა: „თუ გარეშემოიზღუდავ საკუთარ თავს ბეჭდით (წმიდა მირონცხებისა), საუკეთესო და ჭეშმარიტი საშუალებით უსაფრთხოს გახდი შენს მომავალს, აღნიშნავ რა სულსა და სხეულს მირონცხებით და წმიდა სულით; როგორც ისრაელელებმა გადაარჩინეს პირველმობილი შვილები კარებზე სისხლის ნიშნით“ (გამოსვლათა 12.1-14).

კ ი თ ხ ვ ა : აუცილებელია თუ არა სულიერ ცხოვრებაში წმიდა მირონცხების ბეჭედი?

მ ი გ ე ბ ა : როგორც „საქმე მოციქულთა“ მოგვითხრობს : „ესმა რაჲ უკუე მოციქულთა, რომელნი იყვნეს იერუსალჴმს, რამეთუ შეიწყნარეს სამარიას სიტყუაჲ ღვთისაჲ, მიავლინეს მათდა პეტრე და იოვანე. რომელნი-იგი ვითარცა მივიდეს, ლოცვა-ყვეს მათთვის, რაჲთა მიიღონ სული წმიდაჲ. რამეთუ მუნამდე არა იყო არც ერთსა მათგანსა ზედა — მოწევნულ სული წმიდაჲ, გარნა ბანილ ხოლო იყვნეს სახელითა უფლისა იესუ-ქრისტისა“ (საქმე მოციქულთა, 8. 14-16).

კ ი თ ხ ვ ა : კათოლიკეებს ყოველთვის თუ ჰქონდათ ეს ჩვეულება, „წმიდა მირონი“ ჩვილ ბავშვთათვის ნათლისღებისთანავე რომ არ ეცხოთ?

მ ი გ ე ბ ა : არა, კათოლიკეები, ისევე როგორც მართლმადიდებლები, ჩვილ ბავშვებზე „წმიდა მირონცხებას“ მაშინვე,

ნათლისღებისთანავე ასრულებდნენ.

კითხვა: რა მიზეზით უარყვეს კათოლიკეებმა ეს უძველესი ტრადიცია?

მიგება: ლათინ ღვთისმეტყველთა მტკიცებით ჩვილ ბავშვთა მირონცხება უნდა მოხდეს მაშინ, როცა ისინი შეგნებულ ასაკს მიაღწევენ.

კითხვა: ეს მტკიცება სამართლიანია?

მიგება: არა, არ არის სამართლიანი. მაშინ ამ მოსაზრებით ბავშვთა ნათლისღებაც შეგნებულ ასაკამდე უნდა გადავდლოთ; მაგრამ კათოლიკეები ამას არ აკეთებენ.

კითხვა: რა შეიძლება ითქვას კათოლიკეთა სწავლებაზე, ჩვილ ბავშვთა მირონცხება შეგნებული ასაკის მიღწევამდე გადადონ?

მიგება: ეს არის ახალი წესი, იგი არაკანონიერია, რადგან ეწინააღმდეგება ძველ საეკლესიო გარდამოცემასა და სჯულის კანონს, კერძოდ ლაოდიკიის 48-ე კანონს.

ბ) ჩვილი ბავშვების უზიარებლობა

კითხვა: სწორად იქცევიან თუ არა კათოლიკეები, როდესაც ბავშვებს გარკვეულ ასაკამდე არ „აზიარებენ“?

მიგება: არა, არ იქცევიან სწორად, რადგან „ზიარების“ გარკვეულ ასაკამდე გადადებით კათოლიკეები ჩვილ ბავშვებს საუკუნო ცხოვრების საშუალებას უსპობენ. უფალმა ჩვენმა იესო ქრისტემ ბრძანა: „ამენ, ამენ, გეტყვ თქვენ: უკუეთუ არა სჭამოთ ჯორცი ძისა კაცისაჲ და სუათ სისხლი მისი, არა გაქუნდეს ცხოვრებაჲ თავთა შორის თქუნთა“ (იოვ. 6.53).

კითხვა: მაცხოვრის ეს სიტყვები იქნებ ჩვილ ბავშვებს არ ეხება?

მიგება: მაცხოვრის ეს სიტყვები თუ ჩვილ ბავშვებს არ ეხებოდა, მაშინ ძველი ეკლესია, რომელსაც თვით მოციქულები და მათი მოწაფეები მართავდნენ, ამით არ იხელმძღვანელებდა. ძველ ეკლესიაში ჩვილ ბავშვებს ყოველთვის აზიარებდნენ;

დასავლეთშიც ეს ჩვეულება მთელი თორმეტი საუკუნის მანძილზე არსებობდა.

კ ი თ ხ ვ ა : რატომ შეცვალეს კათოლიკეებმა ეს ტრადიცია?

მ ი გ ე ბ ა : ისინი ამბობენ, რომ ჩვილ ბავშვებს არა აქვთ შეგნებული რწმენა და ამიტომ მათი ზიარება არ შეიძლება.

კ ი თ ხ ვ ა : ამ მიზეზით ჩვილების უზიარებლობა შეიძლება?

მ ი გ ე ბ ა : არა, არ შეიძლება, რადგანაც ადამიანის ბუნება, როგორც დიდებისა, ასევე ჩვილთა, არის ერთნაირი. იგი ქრისტემ გამოიხსნა საკუთარი სისხლით და მისცა ჩვენს ბუნებას სულისა და ხორცის საზრდოდ საკუთარი ხორცი და სისხლი (ვინაიდან ადამიანური ბუნება არა მხოლოდ სხეული და სულია, არამედ — ორივე ერთად) და წინდად საუკუნო ცხოვრებისა ხორციელი და სულიერი ზრდა სჭირდებათ როგორც დიდებს, ასევე ჩვილებს. ასევე სიკვდილისა და საუკუნო სოფელში გადასვლის საშიშროება აქვთ როგორც მოზრდილებს, ასევე ჩვილებს. ამიტომ ყველასთვის აუცილებელია ქრისტეს წმიდა ზიარების მიღება. სწორედ ამიტომაც მოილო იესო ქრისტემ „სასუმელი და ჰმადლობდა და მისცა მათ და თქვა: **ს უთ ამი-სგანი ყოველთა:** ესე არს სისხლი ჩემი ახლისა აღთქმისაჲ, მრავალთათჳს დათხეული მისატყვევებლად ცოდვათა“ (მათე 26. 27-28).

კ ი თ ხ ვ ა : თუ ასეა, რა შეიძლება ითქვას კათოლიკეების მიერ ჩვილი ბავშვების „უზიარებლობის“ თაობაზე?

მ ი გ ე ბ ა : ამ ჩვეულებას არა აქვს არავითარი საფუძველი, საეკლესიო გარდამოცემას ეწინააღმდეგება და ამიტომ უკანონოა.

გ) ქრისტეს წმიდა სისხლით ერისკაცთა „ზიარებაზე“ უარის თქმა

კ ი თ ხ ვ ა : რამდენად მართებულია კათოლიკეთა საქციელი, როცა ერისკაცებს „ქრისტეს სისხლით არ აზიარებენ“?

მ ი გ ე ბ ა : რა თქმა უნდა, ასეთი საქციელი არ არის მართებული. ზიარებისას უნდა ვბაძავდეთ მაცხოვარს, რადგან თვით უფალი მოგვიწოდებს: „ამას ჰყოფდით მოსაჯსენებლად ჩემდა“ (ლუკა, 22.19). სახარებიდან ვხედავთ, რომ ქრისტემ აზიარა მოციქულები არა მხოლოდ ხორციით, არამედ სისხლითაც: „უკუეთუ არა სჭამოთ ვორცი ძისა კაცისაჲ და სუათ სისხლი ძისი, არა გაქუნდეს ცხორებაჲ თავთა შორის თქუენთა. ხოლო რომელი ჭამდეს ვორცსა ჩემსა და სუმიდეს სისხლსა ჩემსა აქუნდეს ცხორებაჲ საუკუნოდ და მე აღვადგინო იგი უკუანაჲსკენელსა მას დღესა“ (იოვ. 6.53-54).

კ ი თ ხ ვ ა : **კათოლიკეები ამბობენ, როდესაც ვეზიარებით ქრისტეს ხორცს, თავისთავად სისხლსაც ვეზიარებით, რადგან სადაც ხორცია, იქ სისხლიც არისო; რამდენად მართებულია მათი მსჯელობა?**

მ ი გ ე ბ ა : ასე ხდება მხოლოდ ნამდვილ სხეულში, მაგრამ ზიარებისას ქრისტეს სისხლსა და ხორცს ჩვენ ვიღებთ ღვინისა და პურის სახით. ასე დაადგინა თვით მაცხოვარმა საიდუმლო სერობის ჟამს, როცა ცალ-ცალკე მისცა მოციქულებს ხორცი თვისი და სისხლი თვისი და ამიტომაც კათოლიკე მღვდლები „ზიარებისას“ ორივეს იღებენ.

კ ი თ ხ ვ ა : **როგორ არის სახარებაში ნათქვამი?**

მ ი გ ე ბ ა : „მოილო იესუ პური და ჰმადლობდა და განტეხა და მისცა მოწაფეთა თვსთა და ჰრქუა მათ: მიიღეთ და ჭამეთ: ესე არს ვორცი ჩემი. და მოილო სასუმელი და ჰმადლობდა და მისცა მათ და თქუა: სუთ ამისგანი ყოველთა: ესე არს სისხლი ჩემი ახლისა აღთქემისაჲ, მრავალთათვს დათხეული მისატევებელად ცოდვათა (მათ. 26.26-27).

კ ი თ ხ ვ ა : **თუ თვითონ მაცხოვარმა აზიარა მოციქულნი ხორციითა და სისხლით, მაშ, კათოლიკეები მას რატომ არ ბაძვენ?**

მ ი გ ე ბ ა : ისინი ამბობენ, რომ მაცხოვრის მიერ მოციქულთა ზიარება არ ეხება საეროებს, არამედ ეხება მხოლოდ სამ-

ღვდელოებას, როგორც მოციქულთა მემკვიდრეებს.

კითხვა: ასეა ნამდვილად?

მიგება: არა. მოციქულთა ზიარების მაგალითს უნდა მიჰყვებოდნენ არა მხოლოდ სამღვდელონი, არამედ საერონიც და საერთოდ, ყველა ქრისტიანი. წმიდა მოციქული პავლე ბრძანებს: „რაოდენ-გზისცა შჭამდეთ პურსა ამას და სუმიდეთ სასუმელსა ამას, სიკუდილსა უფლისასა მიუთხრობდით, ვიდრემდის მოვიდეს“ (1 კორ. 11. 26).

კითხვა: კათოლიკურ ეკლესიაში საერო ხალხს ქრისტეს სისხლით არასდროს არ „აზიარებდნენ“?

მიგება: როგორ არა; კათოლიკურ ეკლესიაში ისევე ხდებოდა ზიარება, როგორც მართლმადიდებელ ეკლესიაში და ზიარების წესი მხოლოდ XV საუკუნიდან შეიცვალა.

კითხვა: როგორ უნდა შევაფასოთ კათოლიკეთა ეს ჩვეულება?

მიგება: როგორც თვითნებური და საწინააღმდეგო მაცხოვრის, მოციქულთა სწავლებებისა და საეკლესიო გარდამოცემისა.

ქვეთავი 8

ხმიადის გამოყენება „წმიდა ზიარებისას“
კათოლიკურ ეკლესიაში

კითხვა: რამდენად სწორია ლათინთა საქციელი, როდესაც „ზიარებისას“ იყენებენ არა გაფუებულ პურს, არამედ გაუფუებელს (ხმიადს)?

მიგება: არ იქცევიან სწორად; ზიარების შესახებ მაცხოვარი ბრძანებს: „ამას ჰყოფდით მოსაჯსენებლად ჩემდა“ (ლუკა, 22.19). აქ კი იგულისხმება, რომ მაცხოვარმა მოციქულები აზიარა გაფუებული პურით და არა — ხმიადით.

კითხვა: ეს საიდან ჩანს?

მიგება: ეს ჩანს სახარებიდან, სადაც ნათქვამია, რომ მაც-

ხოვარმა აღასრულა საიდუმლო სერობა პასექის დღესასწაულის წინ, ანუ როცა ჯერ კიდევ არ იყენებდნენ ხმიადს (იოვ. 13.1).

კ ი თ ხ ვ ა : **სახარების რა ადგილებიდან ჩანს, რომ მაცხოვრის მიერ საიდუმლო სერობის დაწესების დღეს ჯერ კიდევ არ ჭამდნენ ხმიადს?**

მ ი გ ე ბ ა : საიდუმლო სერობაზე, ზიარების დაწესების შემდგომ, უფალი ეუბნება იუდას: „... რომელი გეგულების საქმედ, ყავ აღრე“ (იოვ. 13.27). ამის შესახებ მოციქულებმა იფიქრეს, რომ უფალი თითქოს იმიტომ ეუბნება იუდას ამ სიტყვებს, რომ მოახლოვებულია პასექის დღესასწაული და ამასთან დაკავშირებით საყიდელია სანოვავე (რადგან იუდას ხელში იყო სალარო), ე.ი. პასექის დღესასწაული ჯერ კიდევ არ იყო, და რაკი ეს ასეა, მაშინ ხმიადი ჯერ კიდევ არ გამოიყენებოდა. და კიდევ: როცა, მეორე დღეს, ფარისევლებმა და მწიგნობრებმა იესო პილატეს მიჰგვარეს, ისინი არ შევიდნენ პილატეს სასახლეში, „რათა არ შებიღწულიყვნენ“ და პასექის ჭამა შეძლებოდათ (იოვ. 18.28). აქედან ჩანს, რომ ზიარების საიდუმლოს დაწესების დღეს პასექი ჯერ არ დამდგარიყო და ებრაელები ჯერ არ ჭამდნენ ხმიადს (უცმოს).

კ ი თ ხ ვ ა : **საიდუმლო სერობაზე თუ მაცხოვარს არ გამოუყენებია ხმიადი, როგორ გავიგოთ სახარებისეული სიტყვები: „ხოლო პირველსა მას დღესა უცმობებისასა... ან კიდევ - „მოიწინეს დღენი იგი უცმობებისანი“ (ლუკა, 22.7)?**

მ ი გ ე ბ ა : წმიდა იოანე ოქროპირი ამ სიტყვებს ამგვარად განმარტავს: უცმობის პირველ დღეს მახარებელი უწოდებს იმ დღეს, რომელიც წინ უძღოდა უცმობის დღესასწაულს; „მოიწინეს“ იმას გვამცნობს, რასაც წმიდა იოანე ოქროპირი განმარტავს.

კ ი თ ხ ვ ა : **მაცხოვარმა საიდუმლო სერობაზე მის მოწაფეებთან ერთად თუ გაფუებული, ე.ი. ჩვეულებრივი პური მოიღო, მაშინ რომელი პასექის შესახებ საუბრობს მოციქულებ-**

თან: „გულის-სიტყვით გული-მითქუმიდა პასექსა ამას ჭამად თქუენ თანა ვიდრე ვნებადმდე ჩემდა“ (ლუკა, 22.15)?

მ ი გ ე ბ ა : პასექი, რომლის ჭამაც მაცხოვარს თავის მოციქულებთან ერთად სურდა, ვიდრე მისი ჯვარცმა აღსრულდებოდა, რა თქმა უნდა, ახალი აღთქმის პასექია, რომელიც მაცხოვრის სისხლსა და ხორცს შეადგენს. ამასთან, გაფუებული ცოში თვით ცოცხალ ორგანიზმს წარმოადგენს, მასში მრავალი მიკროორგანიზმი და ბაქტერიაა. გაუფუებული პური (ხმიადი) კი პირიქით - არ არის ცოცხალი. წმიდა მამათა განმარტებით, როდესაც საღვთო ლიტურგიაზე პური და ღვინო ქრისტეს ხორცად და სისხლად გადაიქცევა, ლათინთაგან განსხვავებით, ჩვენ ვეზიარებით ცოცხალი ღმერთის წმიდა ნაწილებს.

კ ი თ ხ ვ ა : დასავლეთის ეკლესია ხალხს ყოველთვის ხმიადით აზიარებდა?

მ ი გ ე ბ ა : რა თქმა უნდა, არა. თავდაპირველად რომის ეკლესიაში წმიდა ზიარებას იმგვარადვე იღებდნენ, როგორც აღმოსავლეთის ეკლესიაში, მაგრამ შემდგომში ეს კეთილი წესი თანდათან დაუტევეს და აზიარებდნენ ხმიადით, რითაც ფაქტობრივად უარყვეს მაცხოვრის მიერ დაწესებული საიდუმლო და მისი საწინააღმდეგო წესი დაამკვიდრეს.

ქვეთავი 9

ორღანის თაობაზე

კ ი თ ხ ვ ა : გამართლებულია თუ არა ღვთისმსახურებისას კათოლიკეთა მიერ ორღანის გამოყენება?

მ ი გ ე ბ ა : არა, არ არის გამართლებული, რადგან მუსიკალური საკრავების გამოყენება ჩვეულებაა, რომელმაც ქრისტიანულ ღვთისმსახურებაში აზრი დაკარგა.


კ ი თ ხ ვ ა : როგორია ეკლესიაში საორღანო მუსიკის შემოტანის ისტორია?

მ ი გ ე ბ ა : ბიზანტიის იმპერატორების კარზე ორღანი დღე-

სასწაულებებისა და წვეულებების დროს გამოიყენებოდა. ბიზანტიის იმპერატორმა ორლანი საჩუქრად გაუგზავნა კარლოს დიდს და ამის შემდეგ დასავლეთის მბრძანებლებიც მას იყენებდნენ საერო დღესასწაულების დროს, როგორც გასართობ საშუალებას. მხოლოდ მოგვიანებით, ეკლესიათა გაყოფის შემდეგ, სამეფო დარბაზებიდან ორლანმა კათოლიკურ ტაძრებში გადაინაცვლა.

კ ი თ ხ ვ ა : როგორ უნდა შევაფასოთ ორლანის გამოყენება კათოლიკური ღვთისმსახურების დროს?

მ ი გ ე ბ ა : ორლანი არის დროსტარებისა და გართობისათვის შექმნილი საკრავი და შეუძლებელია ღვთის ჭეშმარიტი დიდებისათვის გამოიყენებოდეს, მლოცველს ღვთის შემეცნებაში ეხმარებოდეს. ამგვარად, **დაუშვებელია ადამიანის მიერ უფლისადმი აღვლენილი ლოცვის სანაცვლოდ საკრავი გამოიყენებოდეს. ეს წესი უცხო იყო მოციქულთა დროის ეკლესიისათვის.**



თაზი II

მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა მამათა გამონათქვამები კათოლიციზმის თაობაზე

კითხვა : როგორია მართლმადიდებელი ეკლესიის მამათა გამონათქვამები კათოლიციზმის თაობაზე?

მიგება : მართლმადიდებელი წმიდა მამათა აზრები, გამოთქმული ჯერ კიდევ ვატიკანის II კრებამდე, რომაულ-კათოლიკური რწმენის ჭეშმარიტ არსს ასახავენ. ეს გამონათქვამები ერთხმად ახასიათებენ პაპიზმს და მთლიანად რომაულ კათოლიციზმს, როგორც აბსოლუტურად ყალბს, ჭეშმარიტი სამოციქულო ეკლესიიდან მოწყვეტილს და ერეტიკულს. ამხელენ ვატიკანის ახალ წესებს, როგორც ღვთაებრივი ჭეშმარიტების საწინააღმდეგოს.

კითხვა : ამ გამონათქვამთაგან რომელია ჩვენს დროში ყველაზე უფრო აქტუალური?

მიგება : თანამედროვეობისათვის უმნიშვნელოვანესია წმიდა ეგნატე ბრიანჩანინოვის სიტყვები, რომლებიც ამხელენ კათოლიციზმის „სულიერ“ მემკვიდრეობასა და „ასკეტიკას“. მნიშვნელოვანია აგრეთვე წმიდა იოანე კრონშტადტელის გამონათქვამები, რომლებიც მრავალმხრივ ახასიათებს XX საუკუნის პაპიზმს.

წმიდა ფოტი კონსტანტინოპოლელი († 891)

„ლათინებმა არა მარტო შეიტანეს სხვადასხვა უკანონობანი, არამედ ისეთი თავხედობა გამოიჩინეს, რომ უტიფრად შეიტანეს სიცრუე მრწამსშიც კი, რომელიც ყველა კრების დადგენილებით ნაბრძანებია უცვლელად იქნეს დაცული, (ო, მზაკვრის მოხერხება!) – თითქოსდა სულიწმიდა გამოდის არა მხოლოდ მამისაგან, არამედ ძისაგანაც; ამით მათ წმიდა სამების შესახებ ძირითადი დოგმატი დაარღვიეს.

წმიდა ბრიგორი პალაჟა († 1360 წ. ახლოს).

„ჩვენ არ მივიღებთ თქვენ მანამ, სანამ ილაპარაკებთ, რომ სულიწმიდა გამოდის ძისაგანაც“.

წმიდა მარკოზ ეფესელი († 1447).

„ჩვენ ლათინები ჩამოვიშორეთ არა რომელიმე სხვა მიზეზით, არამედ იმიტომ, რომ **ერეტიკოსები არიან. ამიტომაც სრულიად არასწორი იქნება მათთან გაერთიანება. ლათინები არიან არა მხოლოდ განხეთქილების შემომტანნი, არამედ — ერეტიკოსებიც.** ამაზე ეკლესია იმიტომ ღუძღა, რომ მათი მოდგმა ჩვენზე ბევრად მეტი და ძლიერია.“

„თუკი ლათინებმა გეზს სრულიად გადაუხვიეს სულიწმიდის საკითხში, რომლის გმობა ყველაზე დიდი საშიშროებაა, ე.ი. ცხადია, ისინი ერეტიკოსები არიან და ჩვენ მათ მოვიკვეთთ, როგორც ერეტიკოსებს.“

„ასე რომ, ძმანო, გაექეცით ლათინთა სიახლეებს — მათ შემომტანებსა და დამამკვიდრებელთ და ერთმანეთთან სიყვარულით დაკავშირებულებმა თავი მოიყარეთ ჩვენს ერთიან სათავეში — ქრისტეში“ (Архим.Амвросий(Погодин).Святой МаркЕфесскийиФлорентийскаяУния.М.1994.стр.333,355).

ღირსი თეოდოსი პერიოელი († 1070)

„თავიანთი მრავალი მწვალებლობით ლათინებმა მთელი დედამიწა შეურაცხვეს... ლათინურ სარწმუნოებაში მარადიული ცხოვრება არ არსებობს.“ (Н. Н. Воейков. Церковь, РусьиРим. Джорданвилл, 1983.стр.239).

ღირსი პაისი (ვაჟიჩკოვსკი) († 1794)

ლათინები „არსით ქრისტიანები არ არიან“ (Сочинения о знамении Честнагои Животворящего Креста. Рк. БАН.13.1.24.гл.11.л.39,88об.).

წმიდა ეგნატე (ბრიანჩანინოვი) (†1867)

„პაპიზმი — ასე ეწოდება მწვალებლობას, რომელმაც მოიცვა დასავლეთი და რომლიდანაც ხის ტოტებივით წარმოიშვა სხვადასხვა პროტესტანტული სწავლებანი; პაპიზმი პაპს მიაწერს ქრისტეს თვისებებს, რითაც უარყოფს ქრისტეს, დასავლეთის ზოგიერთი მწერალი თითქმის აშკარად ადასტურებს ამ უარყოფას, რაკი აცხადებს, რომ უფრო ნაკლები ცოდვია ქრისტეს უარყოფა, ვიდრე პაპისაგან განდგომა. პაპი პაპისტებისათვის ღვთაებაა, კერპია. ამ საშინელი ცდომილების მიზეზით ღვთის მადლმა დატოვა პაპისტები; ისინი ერთგულებს მხოლოდ თავიანთ თავსა და სატანას, რომელიც ყოველი მწვალებლობის, მათ შორის პაპიზმისაც, გამომგონებელი და მამაა. არც ერთი მწვალებლობა ასე ღიად და თავხედურად არ აცხადებს თავის გულზვიადობას, ადამიანის სასტიკ უგულვებლყოფას და მის სიძულვილს.“ (Оересиирасколе, “Православное чтение”. М. 1992. № 5-6 стр. 5).

„ნუ ეთამაშებით საკუთარ ცხონებას, ნუ ეთამაშებით! თორემ მუდამ იტირებთ. შეუდექით ახალი აღთქმისა და მარლთმადიდებელი ეკლესიის წმიდა მამათა ნააზრევის კითხვას (და არამც და არამც ტერეზასი, ფრანცისკოსი და დასავლეთის სხვა შეშლილებისა, რომელთაც ერეტიკული ეკლესია წმინდანებად ასალებს!).“

„მალპასის მსგავსად განდევნილობაში ძლიერ ეშმაკეულ ხიბლს მიაღწიეს ფრანცისკ ასიზელმა, ეგნატე ლოიოლამ და ლათინობის სხვა მოღვაწეებმა (დასავლეთის ეკლესიის აღმოსავლეთისაგან ჩამოშორების შემდეგ), რომლებიც ამ ეკლესიის წიაღში წმინდანებად არიან აღიარებულნი“ (იქვე. ტ. 5. გვ. 69).

„პაპის პროპაგანდა იმ აზრის გავრცელებას ემსახურება, რომ პაპის უხენაესი თვითმპყრობელური განუსაზღვრელი ძალაუფლება მთელ სამყაროზე ვრცელდება. ასეთი პროპაგანდა სწავლების ხარისხს ნაკლებად აქცევს ყურადღებას. მისთვის ყველაფერი დასაშვებია, რაც მიზანს ემსახურება — თვით ქრის-

ტეს რწმენის შეცვლაც კი, კერპების რწმენაც კი (იქვე. გვ. 252-253.).

ღირსი ამბროსი ოპტინელი († 1891)

„აღმოსავლეთის მართლმადიდებელი ეკლესია მოციქულთა დროიდან დღემდე სიახლეებისაგან შეულახავად და უცვლელად იცავს როგორც სახარებას, ასევე მოციქულთა სწავლებასა და მსოფლიო საეკლესიო კრებების დადგენილებებს. **რომის ეკლესია კი დიდი ხანია მწვალებლობისა და ახალი წესებისაკენ გადაიხარა**“. და შემდეგ: „რომის ეკლესია... კრებებისა და მოციქულთა დადგენილებებს წმინდად არ ინახავს, **სრულებით აღარ მიეკუთვნება ერთიან, წმიდა და სამოციქულო ეკლესიას**“ (Собрание писем блаженной памяти оптинского старца иеромонаха Амвросия к мирским особам. ч. 1. СергиевПосад, 1913, стр. 231, 232, 235).

„ჭეშმარიტება მოწმობს, რომ რომის ეკლესია მართლმადიდებლობას ჩამოშორდა“ (იქვე. გვ. 234).

წმიდა თეოფანე დაყუდებული († 1894)

„დედამიწაზე იყო ერთიანი სარწმუნოების მქონე ერთი ეკლესია. მაგრამ მოვიდა ცდუნება — პაპი თავის მიმდევრებთან ერთად ამპარტავნებამ გაიტაცა და ერთიან სარწმუნოებასა და ეკლესიას ჩამოშორდა“ (Письма к разным лицам о разных предметах веры и жизни. М., 1892, стр. 45).

„გწამდეს, რომ სულიწმიდა გამოდის მამა ღმერთისაგან — ეს არის აუცილებელი დოგმატი, ხოლო **გწამდეს ლათინურად, რომ ის გამოდის ძისაგანაც, არის ეკლესიიდან გადახვევა, ანუ მწვალებლობა**“ (Письма о христианской жизни. М. 1908, стр. 37).

ღირსი იოანე კრონშტადტელი († 1908)

„აქამდე ჩვენ თანხმობითა და ერთაზროვნად გვწამს სიმბოლო სარწმუნოებისა და მისთვის იოტისოდენიც არა მიგვიმა-

ტებია, რათა სიყალბის მიმატების გამო ხსნა არ დაკარგოთ, როგორც კათოლიკეებმა, ლუთერანებმა და ანგლიკანებმა“ (Живой Колос. Выписки из дневника за 1907-1908 гг., СПб, 1909, стр.4).

„მართლმადიდებელთაგან ვინ არ მოისურვებს კათოლიკეებთან ან ლუთერანებთან ერთობას, მათთან ერთად ქრისტეში ყოფნას, ერთ ჭეშმარიტ ეკლესიად, მორწმუნეთა ერთ საზოგადოებად! მაგრამ ამ ე.წ. კათოლიკური ეკლესიის იერარქებიდან, განსაკუთრებით, სათავეში მდგომთაგან, რომლებიც იწოდებიან პაპებად, არქიეპისკოპოსებად და ეპისკოპოსებად, ანდა ქსენძებად, პატერებად — ვინ დათანხმდება განუდგეს თავის ცდომილებას? არავინ. **ჩვენ კი ვერ დავეთანხმებით მათ ერეტიკულ სწავლებებს ისე, რომ ჩვენს სულიერ ხსნას ზიანი არ მივაყენოთ... განა შეიძლება ორი შეუთავსებელი რამის — სიყალბისა და ჭეშმარიტების შეთავსება?** (იქვე. გვ. 31.).

„კათოლიკე იეზუიტებმა პაპის საამებლად, მისი გულის მოსაგებად, ასევე თავიანთი მდაბალი შეხედულებებისა და მიზნების მისაღწევად, **დაამახინჯეს სახარების კანონები** იმისი მტკიცებით, რომ თავიანთი ანგარებისმოყვარული ან რელიგიური მიზნების მისაღწევად მათ შეუძლიათ მიმართონ ყოველგვარ უკანონო საშუალებებს; მაშასადამე, მკვლელობასაც... და კოცონზედაც კი დაწვან მართლმადიდებლები“ (იქვე. გვ.31-32).

„ჭეშმარიტია იესო ქრისტეს სიტყვები: „რომელი არა არს ჩემ თანა, იგი მტერი ჩემი არს“ (მათ. 12.30). **კათოლიკეები, ლუთერანები და რეფორმატორები ქრისტეს ეკლესიას ჩამოშორდნენ... ისინი აშკარად მიდიან ქრისტეს და მისი ეკლესიის წინააღმდეგ... მარხვებს პატივს არ სცემენ, რწმენის მხსნელ დოგმატებს ამახინჯებენ. ისინი ჩვენთან არ არიან, ჩვენს წინააღმდეგ და ქრისტეს წინააღმდეგ არიან**“ (იქვე, გვ. 32-33).

„ეს სავსებით ერეტიკული ეკლესიაა“ (იქვე, გვ.35).

„იესო ქრისტეს სურვილი რომ ჰქონოდა, თავისი ეკლესიისათვის, მისი ამაღლების შემდეგ, სხვა მეთაური, თავისი ნაც-

ვალი ან მოადგილე მიეცა, როგორც პაპები ამბობენ და დედამიწაზე ქრისტეს ნაცვლებად თვლიან თავს, ამას ამაღლებამდე თვითვე ნათლად გააცხადებდა, რადგან ეს ადამიანების სულთა ხსნის უმნიშვნელოვანესი დოგმატია. ამის შესახებ მოციქულებიც გამოაცხადებდნენ ან ვინმე თავს გამოაცხადებდა მოადგილედ, მაგრამ ამაზე სიტყვა არავის დასცდენია; როგორც ქრისტე ბრძანებს: „რომელსა უნებს თქვენ შორის დიდ ყოფად, იყავნ თქუენდა მსახურ“ (მათე, 20.26). „ხოლო თქვენ ყოველნი ძმანი ხართ“ (მათე, 23.8). (იქვე. გვ. 35).

„პაპისტებმა პაპი ეკლესიის თავად ცნეს, ტახტზე ქრისტეს მაგიერ აიყვანეს და გააღმერთეს. თვით ქრისტე კი მეორე პლანზე დააყენეს. პაპი მათ ქრისტეს ნაცვლად გახადეს, იმ დროს, როცა ქრისტე ჰგოვს ჩვენს შორის: „მე თქუენთანა ვარ ყოველთა დღეთა და ვიდრე აღსასრულადმდე სოფლისა“ (მათ. 28. 20). მაგრამ შეხედეთ, რამდენი ცდომილებათაა პაპის (და არა ქრისტეს) სარწმუნოებაში დაშვებული, უცნაური და ღვთის მგმობელი ცდომილებანი, და თქვენ, აღშფოთებითა და გულისწყრომით შეძრწუნებულნი, მას ზურგს შეაქცევთ! ო, ადამიანთა ქედმაღლობავ! ო, სატანურო ქედმაღლობავ! ვითომ პაპი შეუცდომელია! ო, იეზუიტობავ! (იქვე. გვ.36).

„ქრისტე ღმერთი არის ეკლესიის ერთადერთი თავი ზესკნელში, დედამიწასა და ქვესკნელში; შეიძლება თუ არა პაპი-ადამიანი იყოს ზეცაში არსებული ეკლესიის თავი? არა, არ შეიძლება. და საერთოდაც, შეუძლია თუ არა იყოს მთელი დედამიწის ეკლესიის თავი და ადამიანთა მიწიერ და იმქვეყნიურ ზვედრს განაგებდეს — პაპი, ცოდვილი ადამიანი? ბევრი იყო მათ შორის ღირსეული?“ (იქვე. გვ. 37-38).

„კათოლიკეებმა თვით უბრძენესი ქრისტეს სწავლება გარდაქმნეს, სწავლება ზეციური მასწავლებლისა, რომლის გარეშეც არავინ იცის მამა, მხოლოდ — ძემ. ქრისტე ბრძანებს, რომ სულიწმიდა გამოდის მამისაგან, კათოლიკეები, ლუთერანები და ანგლიკანები კი ამბობენ, ის მამისაგანაც გამოვალს და მი-

საგანაც. ბოლოს და ბოლოს, შეწყვიტეთ სულიწმიდის გმობა და მასზე სიცრუის აგება. სულიწმიდის მგმობელს არ მიეტყუება არც ამ, არც მომავალ საუკუნეებში. თქვენ ხომ არ დაგავიწყდათ მოციქულის სიტყვები: „არამედ დაღათუ ჩუენ, გინათუ ანგელოზი ზეცით გახარებდეს თქუენ გარეშე მისსა, რომელი იგი გახარეთ თქუენ, შეჩუენებულ იყავენ“ (გალ. 1.8.). ეს სიტყვები არის თუ არა საშინელი? „ცანი და ქუეყანაჲ წარჯდენ,ხოლო სიტყუანი ჩემნი არა წარჯდენ“ (მათ. 24.35). (იქვე, გვ. 38-39).

„კათოლიკეები როგორი გააფთრებით ექაჩებიან მართლმადიდებლებს კათოლიციზმში— დამღუპველ რწმენაში! ღმერთო, დაიფარე მართლმადიდებლობა მძვინვარე, უღმობელი კათოლიციზმისაგან, რომელშიც ყველაფერი პაპის, იეზუიტების თვითნებობას ექვემდებარება“ (იქვე, გვ. 40).

„სწორედ მისი შეუმცდარობა შეიცავს მის უდიდეს ცოდვიანობას, ვინაიდან პაპი ცოდვილი ადამიანია და უბედურებაა, თუ თავის თავზე შეექმნა წარმოდგენა, რომ უცოდველია. პაპის კათოლიკურმა ეკლესიამ სულებისათვის დამღუპველი რამდენი ცდომილება მოიგონა და შეიტანა დოგმატებში, რელიგიურ წეს-ჩვეულებებში, კანონიკურ წესებში, ღვთისმსახურებაში“ (Св. прав. Иоан Кронштадский. Христианская философия. СПб. 1902, М. 1992. стр. 99).

„კათოლიკური ცხოვრების ყველა საუკუნეს წითელ ხაზად გასდევს — მართლმადიდებლობის სიძულვილი, ფანატიზმი, მართლმადიდებელთა დევნა და მკვლელობანი. ქრისტემ ასეთი სული გვიანდერძა? ვის, ვის, და კათოლიკეებს, ლუთერანებსა და რეფორმატორებს ეთქმის: „მიექცა იესუ და შეჰრისხნა მათ და ჰრქუა: არა იცითა, რომლისა სულისანი ხართ თქუენ? (ლუკ. 9. 55.). (იქვე, გვ. 116).

„პაპი და პაპისტები იმდენად გაყოფილდნენ, იმდენად განიდიდეს თავი, რომ თვით ქრისტეს, ღვთის იპოსტასური სიბრძნის წყაროს გაკრიტიკებაც კი გაბედეს და თავისი ამპარ-

ტავენება იმდენად განავრცეს (დოგმატების „განვითარების“ სა-
ბაბით), რომ შერყვნეს უფლის ზოგიერთი მცნება, სიტყვა და
მითითება, რომლებიც უცვლელი უნდა იყოს ქვეყნიერების და-
სასრულამდე, მაგალითად: სიტყვა სულიწმიდის შესახებ, მცნე-
ბა მისი წმიდა სისხლის შესმის შესახებ, რაც კათოლიკეებმა
აღუკვეთეს ერისკაცებს. მათ არაფრად ჩააგდეს მოციქულ პავ-
ლეს სიტყვები: „რამეთუ რაოდენ-გზისცა შჭამდეთ პურსა ამას
და სუმიდეთ სასუმელსა ამას, სიკუდილსა უფლისასა მიუთ-
ხრობდით, ვიდრემდის მოვიდეს“ (I კორ.11.26). ლიტურგიის
დროს გაფუებული პურის – სეფისკვერის ნაცვლად კათოლი-
კეები იყენებენ უფუარს – ხმიადს (იქვე, გვ.117).

„მას შემდეგ, რაც ეკლესიის მიწიერი თავი – ცოდვილი პა-
პი აირჩიეს, კათოლიკეები მოსწყდნენ სრულიად ეკლესიის თავს
– ქრისტეს“ (იქვე, გვ.119).

„მოლით ჩვენთან თქვენ, რომლებიც თავს კათოლიკეებს უწო-
დებთ, ჩვენ კი სქიზმატებს გვიწოდებთ – შევეჯიბროთ, ღვთი-
ური სიძმართლით, ღვთიური ცენზით მიუღდომლად, მიუკერძო-
ვებლად შევხედოთ არა ღვთისაგან, არამედ პაპისაგან დალოც-
ვილ თქვენს წმინდანებს და ჩვენს წმინდანებს შევეუდაროთ, რომ-
ლებიც თვით ღვთისაგან დამოწმებული სასწაულთმოქმედებე-
ბით კურნავენ მათთან რწმენით მისულ მართლმადიდებლებს;
რამოდენა სხვაობაა! **ჩვენი ჭეშმარიტი რწმენა როგორ ბრწყინ-
ნავს და თქვენს მწვალებლობებითა და ყალბი სიბრძნეებით ისე-
დაც დაბინდულ რწმენას როგორ ჩრდილავს.**“

„ო, ადამიანთა ცრუსიბრძნევ! ო, ცბიერებავ, ო, სიცრუის
მზაკვრობავ! აღუკვეთეთ ერისკაცთ ქრისტეს სისხლი, კაცთა
ცოდვების განწმენდისათვის დათხეული, ო, უთაურო მეთაურო-
ბავ, ჭეშმარიტი მეთაურის – ქრისტე ღმერთის წინააღმდეგ
მოქმელო“ (იქვე, გვ. 157).

აღმოსავლეთის პატრიარქების მისტიკა

„ერთიანი, წმიდა სამოციქულო ეკლესია კვლავ გამცნობთ

ყველას, რომ ეს ახალშემოღებული სწავლება, თითქოს სულიწმიდა როგორც მამისაგან, ასევე ძისაგანაც გამოდის არის ნამდვილი მწვალებლობა და მისი მიმდევრები, ვინც არ უნდა იყვნენ — არიან მწვალებლები. მათგან შემდგარ საზოგადოებას კი, მწვალებლური საზოგადოება ეწოდება. მართლმადიდებელი ეკლესიის ნებისმიერი წევრის სულიერი ერთობა მათთან არის ურჯულოება.“ მიმართვას ხელს აწერს აღმოსავლეთის ეკლესიის ოთხი პატრიარქი: კონსტანტინოპოლის, ალექსანდრიის, ანტიოქიისა და იერუსალიმის თავიანთ სინოდებთან ერთად (Ватикан: Натиск на восток. Догматические послания православных иерархов XVII-XIX веков о православной вере. Свято-Троицкая Сергиева Лавра. 1995. стр. 206-207).

კ ი თ ხ ვ ა : როდესაც ამ გამონათქვამებს კითხულობ, რომლებიც სრულიად არაორაზროვნად ამხელს რომაულ კათოლიციზმს, პაპიზმს — როგორც ყალბს, ანტიქრისტიანულს, მართლმადიდებლობასთან შეუთავსებელ რწმენას, სინამდვილეში როგორ უნდა აიხსნას ზოგიერთი თანამედროვე მართლმადიდებელი ღვთისმეტყველის წმინდანთა საწინააღმდეგო მტკიცება, რომ კათოლიკეები რწმენაში ჩვენი ძმები არიან; კათოლიკური და მართლმადიდებელი ეკლესიები — დები და, რომ კათოლიკურ ეკლესიაში მოქმედებს ღვთის მადლი?

მ ი გ ე ბ ა : ღვთიური განცხადების თანახმად ღმერთის ერთ-ერთი უმთავრესი თვისებაა — სამართლიანობა. ამიტომ არ შეიძლება სულიწმიდა ერთს ეუბნებოდეს ღვთის რჩეულებს — წმიდანებს, ხოლო ამ ე.წ. „ღვთისმეტყველებს“ — მეორეს. მაშასადამე, პაპიზმის შესახებ მათი მტკიცებებები, რაც ეწინააღმდეგება თვით ღვთაებრივ ჭეშმარიტებას მიგვანიშნებს, რომ მათ ვერ გაუგიათ რომაული კათოლიციზმის არსი და თავიანთ საკუთარ აზრს გამოხატავენ და მის აზრს, ვინც ისინი აცდუნა: „სიბრძნის მოყუარებითა და ცუდითა საცთურითა მოძღურებისა მისებრ კაცთაჲსა, წესთა მათებრ ამის სოფლისათა და არა ქრისტეს მიერ“ (კოლ.2.8).

თაზი III

ვატიკანის 1962-1965 წ.წ. II კრების მიერ მიღებული კათოლიკეთა ახალი დოგმატური სწავლება

ჰეპატაზი 1

ახალი დოგმატის არსი და მისი დასაბუთება

კითხვა : ვატიკანის II კრება, რომელმაც ძირფესვიანად შეცვალა კათოლიკური სარწმუნოების არსი, რატომ უნდა მივიჩნიოთ კათოლიციზმის ისტორიაში გამყოფ ზღვარად?

მიგება : ვატიკანის 1962-1965 წ.წ. II კრებაზე, რომელსაც „მოდერნისტული“ და „ეკუმენისტური“ ეწოდა, ერთი მხრივ, ტრადიციული კათოლიკური სწავლებისადმი მათი ერთგულება იქნა დეკლარირებული, რომელსაც ქრისტიანული ეკუმენიზმის (იხ. ქვემოთ. ქვეთავი 5) მიმართულება მიეცა; ხოლო, მეორე მხრივ, ეკლესიის, ღმერთის, ადამიანის ცხონებისა და ღვთის ჭეშმარიტებების შესახებ ახალი დოგმატური სწავლება იქნა მიღებული. ამ სწავლებამ გამოხატა რელიგიათშორის ეკუმენისტური (ანუ პანეკუმენისტური) პოლიტიკა და რომაული კათოლიციზმი ახალწარმართობად გარდაქმნა.

კითხვა : რა არის ლათინო-პაპისტების ახალი სწავლების — რელიგიათშორისი ეკუმენიზმის ძირითადი არსი?

მიგება : ვატიკანის II კრებამ გამოაცხადა და „დააფუძნა“ დებულება ერთიანი, მსოფლიო უნივერსალური ეკლესიის შესახებ, რომელშიც **სხვადასხვაგვარად** შედიან და მომავალში უნდა შევიდნენ როგორც ქრისტიანები, ისე არაქრისტიანულ რელიგიათა მიმდევრები, სადაც ხსნა უნდა მოხდეს **სხვადასხვა გზით**, ადამიანთა რწმენის შესაბამისად.

კითხვა : როგორ აისახა ეს რევოლუციური სწავლება ვატიკანის კრების მიერ?

მ ი გ ე ბ ა : ეს სწავლება შეტანილია კრების მთავარ დოკუმენტში — „თანახმად დოგმატისა ეკლესიის შესახებ“ და აგრეთვე „არაქრისტიანულ რელიგიებთან ეკლესიის დამოკიდებულების შესახებ დეკლარაციაში“. „ეკლესიის შესახებ დოგმატის“ (13-16 პუნქტ.) თანახმად კრება აცხადებს, რომ „ღვთის ხალხის მსოფლიო ეკლესიისადმი კათოლიკურ ერთიანობას სხვადასხვანაირად, წინასწარ განეკუთვნებიან ღვთის მაღლით ხსნილადმი მოწოდებულნი“; ყველა ქრისტიანიც და ისინიც, ვისაც „სხვადასხვა გზით“ ჯერ არ მიუღია სახარება — იუდეველები, მაჰმადიანები და სხვანი, რომლებიც სცნობენ შემოქმედს და ისინიც, რომლებიც ჯერ მხოლოდ ეძიებენ ღმერთს — „ღვთის განგება ყველას მოიცავს (მე-13 პუნქტის დასასრული, ნაწილობრივ მე-14, მე-15 და 16 პუნქტები. ეკლესიის შესახებ დოგმატისა და არაქრისტიანული რელიგიების შესახებ დეკლარაციის ძირითადი დებულებები მოტანილია ამ გამოცემის დამატებაში (შემდგენლის შენიშვნა).

კრების ამ სწავლებას იმეორებენ კათოლიკური კატეხიზმო და აგრეთვე პაპი იოანე-პავლე II თავის წიგნში „გადავაბიჯოთ იმედის ზღურბლს“ (1994 წ.), რომლებიც ვატიკანის ოფიციალურ პოზიციას გამოხატავენ.

კ ი თ ხ ვ ა : ეს როგორ? განა ლათინო-პაპისტები იესო ქრისტეს, როგორც ქვეყნის ერთადერთ მხსნელს უარყოფენ?

მ ი გ ე ბ ა : არა, ისინი წინანდებურად ამბობენ, რომ იესო ქრისტე, ღმერთის მხოლოდშობილი ძე — ქვეყნის ერთადერთი მხსნელი, გადამრჩენი და გამომსყიდველია, ღმერთსა და ადამიანს შორის ერთადერთი შუამავალია და მის გარეშე ხსნა არ არსებობს: „ერთადერთი მხოლოდ ქრისტეა — შუამავალი და გზა ხსნისა და იგი ჩვენთვის იმყოფება თავის სხეულში — ეკლესიაში, რომელშიც ადამიანები, როგორც კარებში, ნათლობის საშუალებით შედიან; ხოლო ის ადამიანები, ვისთვისაც ცნობილია, რომ ღმერთის მიერ იესო ქრისტეს მეშვეობით კათოლიკური ეკლესიაა დაარსებული — როგორც აუცილებელი, მაგ-

რამ მასში შესვლა მაინც არ სურთ ან არ რჩებიან მასში, ხსნას ვერ ჰპოვებენ, ვერ გადარჩებიან“ (იხ. დამატ. „დოგმატი ეკლესიის შესახებ“ პ. 14).

კ ი თ ხ ვ ა : **მაშასადამე, კათოლიკეები აუცილებელ პირობად თვლიან, რომ იუდეველებმა, მაჰმადიანებმა და სხვა არაქრისტიანებმა ხელი უნდა აიღონ თავიანთ სარწმუნოებაზე, მიიღონ ქრისტიანობა და მოინათლონ?**

მ ი გ ე ბ ა : არა, ამის შესახებ არსად არ არის ნათქვამი. პირიქით, ხაზგასმულია ხსნის სხვადასხვა გზა.

კ ი თ ხ ვ ა : **მაშ, რწმენა იესო ქრისტესადმი, როგორც ქვეყნის ერთადერთი მხსნელისადმი, შეთავსებადია იმ რწმენასთან, რომ ხსნა არაქრისტიანული რელიგიებითაც არის შესაძლებელი?**

მ ი გ ე ბ ა : ზემოთ ნახსენებ წიგნში პაპი იოანე-პავლე II, ვატიკანის I კრების გადაწყვეტილებებზე დაყრდნობით, ამ საკითხს ასე განმარტავს: კათოლიკური ეკლესიის გადმოცემებში ძველთაგანვე დანერგილია წარმოდგენა „ეგრეთ წოდებული semina verbi — სიმართლის მარცვლის“ შესახებ. ეს მარცვალი ყველა რელიგიაშია“. ე.ი. ყველა რელიგია, ამა თუ იმ ზომით, ღვთივგამოცხადებულია და მათში უკვე იმყოფება იესო ქრისტე, როგორც ძე ღვთისა, ღმერთი — სიტყვა (ლოგოსი). რა თქმა უნდა, არაქრისტიანულ რელიგიებში არავითარი „სიმართლის მარცვალი“ ე.ი. ღვთივგამოცხადებულობის არავითარი წილი არ არის. მასში არის მხოლოდ ადამიანთა მონაჭორი, ტყუილი და ეშმაკის მიერ დათესილი მარცვალი (იხ. აგრეთვე ქვემოთ, ქვეთავი 5). „შეიძლება ითქვას, აცხადებს პაპი, კრების პოზიცია ჭეშმარიტად შთაგონებულია ყველაზე ზრუნვით. ეკლესია ხელმძღვანელობს რწმენით, რომ ღმერთს — შემოქმედსა და გამჩენს სურს იხსნას ყოველი იესო ქრისტეში — ღმერთსა და ადამიანს შორის ერთადერთ შუაკაცში, რომელმაც ყველა გამოისყიდა. ამიტომ „სულიწმიდა“ ნაყოფიერად მოქმედებს ხილული — მიწიერი ეკლესიის გარეთაც (შეად. LG-

Свет. народам. 13)*. იგი (სულიწმიდა) მოქმედებს იმ semina Verbi-ზე დაყრდნობით, რომელიც თითქოს წარმოადგენს ყველა რელიგიის საერთო სოტერიოლოგიურ ფესვს** (იხ. პ. 17. გვ. 112-113).

კ ი თ ხ ვ ა : მაგრამ ყოველთვის ითვლებოდა, რომ ქრისტიანობა და არაქრისტიანული რელიგიები სრულიად შეუთავსებელნი არიან და იმის დაშვება, რომ არაქრისტიანობაში შესაძლებელია სულიწმიდის მოქმედება, რბილად რომ ვთქვათ, იწვევს გაოცებას. ამის შესახებ რას გვაუწყებს კრება?

მ ი გ ე ბ ა : შუა საუკუნეებში კათოლიკეები მართლაც თვლიდნენ, რომ ხსნა მხოლოდ მათი ეკლესიის წიაღში იყო. ამიტომაც უწოდებდნენ ისინი სხვაგვარად მოაზროვნეებს „ერეტიკოსებს“ და ინკვიზიციას გადასცემდნენ ცეცხლში დასაწვავად. დღეს კი, პირიქით, ვატიკანის II კრება არაქრისტიანებს ხაზგასმით მოუწოდებს „ღვთის მადლით“ სხვადასხვა გზით ხსნისაკენ, ამტკიცებს იუდეველების, მაჰმადიანებისა და სხვა წარმართების ქრისტიანებთან სულიერი სიახლოვის არსებობას, „შემოქმედისა“ და „ღმერთის“ შესახებ მათ რწმენას, რაც, კრების აზრით, მათი რელიგიის ჩარჩოებშიც ხსნის შესაძლებლობას ნიშნავს.

ქვეთავი 2

ქრისტიანებისა და იუდეველების „სულიერი ნათესაობა“

კ ი თ ხ ვ ა : რას ამბობს ვატიკანის II კრება ქრისტიანებისა და იუდეველების „სულიერი ნათესაობის“ თაობაზე?

მ ი გ ე ბ ა : იუდეველთა თაობაზე ნათქვამია, რომ ეს ის ხალხია, რომელსაც მიენიჭა მცნებები და აღთქმები და, რომელთაგანაც ხორციელად იშვა ქრისტი. „რომელნი-იგი არიან ისრა-

* — ეკლესიის შესახებ დოგმატური დადგენილება. პ. 13.

** — Спасаящий, ведущий к спасению.

იტელნი, რომელთაჲ იყო შვილებაჲ და დიდებაჲ და აღთქუმანი და შჯულის-დებანი და მსახურებანი და მითხრობანი; რომელთანი იყვნეს მამანი და რომელთაგან ქრისტე ჴორციელად“ (რომ. 9. 4-5); „ხოლო რჩეულებისა მისგან - საყუარელი მამათათჳს. რამეთუ შეუნანებელ არიან მადლნი იგი და ჩინებანი ღმრთისანი“ (რომ. 11. 28-29). (პ. დოგმატისა 16. 1 აბზაცი). „კრება იხსენებს კავშირებს, რომლებიც სულიერად აერთებენ ახალი აღთქმის ხალხს აბრაამის შთამომავლობასთან... ეკლესიას არ შეუძლია დაივიწყოს..., რომ იგი იკვებება იმ ნოციერი ზეთისხილის ფესვიდან, რომელზედაც დამყნობილი იყო ველური ზეთისხილის ტოტი, ანუ წარმართი ხალხები (შეად. რომ. 11. 17-24), რამეთუ ეკლესიას სწამს, სჯერა, რომ ქრისტემ, მშვიდობამ ჩვენმა, იუდეველები და წარმართები ჯვარზე შეარიგა ერთმანეთს და თავისთვის ორივესაგან შექმნა ერთი (შეად. ეფეს. 2. 14-16)“ (არაქრისტიანულ რელიგიათა დეკლარაცია. ნაწ. „ებრაული რელიგია“.).

პაპი იოანე-პავლე II იუდეველთა შესახებ საუბრობს „როგორც სარწმუნოებაში უფროს ძმებზე. ეს სიტყვები, სხვათა შორის, გამოხატავს იმასაც, რაც ითქვა კრების მიერ და, იმასაც, რაშიც ეკლესია ღრმად არის დარწმუნებული“ (იხ. ლიტერატურის სია. პ. 17. გვ. 134).

კათოლიკური კატეხიზმო კი, ლაპარაკობს რა თანამედროვე იუდაიზმისა და ქრისტიანობის სულიერი სიახლოვის შესახებ, აცხადებს, რომ „ძველი აღთქმის ღვთის ხალხი და ახალი აღთქმის ღვთის ხალხი საერთო მიზნებისაკენ მიისწრაფვიან – მესიის მოსვლის (ან დაბრუნების) იმედისაკენ. ერთი მხრივ, იმედოვნებენ ჯვარცმულ და მკვდრეთით აღმდგარ ღმერთად და ძედ ღმრთისად აღიარებული მესიის მეორედ მოსვლას; მეორე მხრივ, მესიის მოსვლას, რომლის თვისებები იღუმალაი რჩება“ (იხ. ლიტ. სია. პ. 18. გვ. 205).

კ ი თ ხ ვ ა : შეესატყვისება თუ არა წმიდა წერილს კრების მტკიცება ქრიატიანთა და იუდეველთა სულიერი სიახ-

ლოვის შესახებ: „ახალი აღთქმის ადამიანებისა და აბრაამის შთამომავლების სულიერად შემაერთებელი კავშირების შესახებ“?

მ ი გ ე ბ ა : არა, არ შეესატყვისება. როგორც ცნობილია, აბრაამმა ღმერთისაგან მიიღო აღთქმა, რომ მისგან წარმოიშობოდა დიადი ხალხი და აბრაამში კურთხეული იქნებოდა დედამიწის ყველა ტომი (დაბ. 12. 1-3), და მისი შთამომავლები ისააკისა და იაკობისაგან ღმერთის რჩეულ ხალხად იქცეოდა. ეს დაპირება ებრაელ ხალხში ძველი აღთქმის დროს აღსრულდა. მაგრამ, როცა იუდეველებმა იესო ქრისტე არ მიიღეს, მან (ქრისტემ) იწინასწარმეტყველა: „მრავალნი მზისა-აღმოსავალით და დასავალით მოვიდოდნენ და ინაჯ-იდგმიდენ აბრაჰამის თანა და ისაკის თანა და იაკობის თანა სასუფეველსა ცათასა. ხოლო ძენი იგი სასუფეველისანი განითხინენ ბნელსა მას გარესკნელსა. მუნ იყოს ტირილი და ღრჭენად კბილთაჲ“ (მათ. 8. 11-12). და კიდევ „მიველოს თქუენგან სასუფეველი ღმრთისაჲ და მიეცეს ნათესავსა, რომელნი ჰყოფდენ ნაყოფსა მისსა“ (მათ. 21. 43). რაც იუდეველთა მიერ ქრისტეს ჯვარცმის შემდეგ შესრულდა.

კ ი თ ხ ვ ა : ქრისტიანებისა და იუდეველების სულიერ ნათესაობაზე ხომ არ მეტყველებს კათოლიკეთა მიერ მოციქულ პავლეს ეპისტოლედან მოყვანილი დამოწმებანი?

მ ი გ ე ბ ა : არა, დამოწმებული ეპისტოლენი საწინააღმდეგოს ამტკიცებენ; მოწმობენ ქრისტიანებისა და იუდეველთა სულიერ გათიშულობაზე, ცათა სასუფეველის იუდეველებისათვის აღკვეთასა და წარმართთათვის მის გადაცემაზე. კრების მიერ ზემოთ მოყვანილი (რომ. 9. 4-5) დამოწმების შემდეგ ვკითხულობთ: „ხოლო არა ეგებოდა, ვითარმცა დავარდა სიტყუაჲ ღმრთისაჲ, რამეთუ არა ყოველნი ისრაელისაგანნი ესენი არიან ისრაელ, არცა არიან ნათესავნი აბრაჰამისნი ყოველნი შვილ, არამედ „ისაკისგან გეწოდოს შენ ნათესავი“. ესე იგი არს, არა თუ შვილნი ჯორცთანი ესენი არიან შვილ ღმრთის,

არამედ შვილნი იგი აღთქუმისანი შერაცხილ არიან ნათესავად“ (რომ. 9. 6-8). და შემდეგ წინასწარმეტყველ ოსიას დამოწმებით: „ვითარცა ოსეს შინა იტყვს: უწოდო არა ერსა ჩემსა ერად ჩემდა და არა საყუარელსა ჩემსა საყუარელად. და იყოს ადგილსა მას, სადა-იგი ერქუა მათ: არა ერი ჩემი თქუენ, მუნ იწოდნენ ძედ ღმრთისა ცხოველისა“ (რომ. 9. 25-26). პავლე მოციქული მხოლოდ იმას კი არ ამბობს, რომ წარმართნი აბრაამის მემკვიდრენი გახდნენ აღთქმისამებრ, არამედ იმასაც, რომ ქრისტეს არამორწმუნე იუდეველებს აღეკვეთათ ცათა სასუფეველი: „ხოლო უკუეთუ რტოთა მათგანნი ვინმე გარდასტყდეს, ხოლო შენ ველური ზეთის ხილი იყავ და **დაემყენ მათ ზედა... ივინი ურწმუნობითა მათითა გარდასტყდეს, ხოლო შენ სარწმუნობითა სდგა**“ (რომ. 11. 17. 20). ეფესელთა მიმართ ეპისტოლეში (ეფეს. 2. 14-15) პავლე მოციქული ბრძანებს, რომ ქრისტემ თავისი სისხლითა და ხორცით ჯვარზე შეარიგა მისი მორწმუნე წარმართები და იუდეველები, ე. ი. ქრისტიანები, მაგრამ ურწმუნოთა შერიგებაზე არც ერთი სიტყვა არ არის ნათქვამი.

კ ი თ ხ ვ ა : მაგრამ იქნებ ქრისტიანთა და იუდეველთა არსებული რწმენა სინამდვილეში სულიერად ახლოა ერთმანეთთან?

მ ი გ ე ბ ა : არა, სინამდვილეში ქრისტიანთა და იუდეველთა რწმენას სულიერი ნათესაობა არა აქვს: **იუდეველები უარყოფენ ახალ აღთქმას და ქრისტიანთა ყოველგვარ სულიერ ჭეშმარიტებებს: წმიდა სამებას, იესო ქრისტეს — როგორც ღმერთ-კაცს, ძე ღმრთისას, მაცხოვარს, მსაჯულსა და მესიას; მას ჩვეულებრივ ადამიანად თვლიან, რომელსაც მამა არა ჰყავს; უარყოფენ ყოვლადწმიდა ღვთისმშობელს; მასაც და მის ძესაც ბოროტად გმობენ და სხვა. ქრისტეს სიტყვების თანახმად კი, „რომელმან უვარ-მყოს მე წინაშე კაცთა, უვარ-ვყო იგი მეცა წინაშე მამისა ჩემისა ზეცათადას“ (მათ. 10.33).**

კ ი თ ხ ვ ა : მაშ, რა განსხვავება და მსგავსებაა თაყვანის-

ცემებში: ქრისტიანებისა ჭეშმარიტი ღმერთის — წმიდა სამებისადმი, ძველი იუდეველებისა — ჭეშმარიტი ღმერთისადმი და თანამედროვე იუდეველებისა — მათი ცრულღმერთისადმი?

მ ი გ ე ბ ა : რა თქმა უნდა, ერთი და იგივეა ჭეშმარიტი ღმერთი, რომელსაც ეთაყვანებიან ქრისტიანები — ყოვლადწმიდა სამება, რომელმაც შექმნა სამყარო, და ძველი ებრაელებიც მასვე ეთაყვანებოდნენ; რაც იმით დასტურდება, რომ იგი დაბადების წიგნში, თავის თავზე მრავლობით რიცხვში ლაპარაკობს და აბრაამსაც სამი ანგელოზის სახით გამოეცხადა მამრეს მუხასთან (დაბ. 1. 26; 3. 22; 4. 7; 18.1-5); მაგრამ ძველი აღთქმის ადამიანისათვის ეს საიდუმლო დაფარული იყო, რომელიც იესო ქრისტემ ხალხს სახარებაში გაუხილა. მაგრამ, ვინაიდან იუდეველებმა არ მიიღეს ჭეშმარიტი ღმერთი (იესო ქრისტე და ყოვლადწმიდა სამება), იყვნენ კიდევ მისგან უარყოფილნი, უკუედებულნი. ამიტომაც ეს საიდუმლო მათგან დაფარული დარჩა და ახლა **ისინი ეთაყვანებიან ცრულღმერთს**, რომელიც მათთვის ჭეშმარიტი ღმერთის სახელს ატარებს, მაგრამ არარსებულ ღმერთ-კერპად გვევლინება.

კ ი თ ხ ვ ა : **როგორ უნდა შევაფასოთ კათოლიკური კატეხიზმოს განცხადება თანამედროვე იუდეველთა მიმართ, რომ ძველი აღთქმის ხალხი და ახალი აღთქმის ხალხი ერთი მიზნისაკენ მიისწრაფვიან და თვითოეული თავისებურად ელოდება მესიის მოსვლას?**

მ ი გ ე ბ ა : სწორედ აქ ხდება ღვთივშთაგონებული ძველი-აღთქმისდროინდელი რელიგიის შეცვლა თანამედროვე იუდაიზმის აბსოლუტურად ცრუ, ყალბი რელიგიით. **ძველიაღთქმისდროინდელი იუდეველები მართლაც მოელოდნენ მესიის — ებრაელი ხალხის გადამრჩენელის — მოსვლას; ახლა კი იესო ქრისტეს უარყოფის შემდეგ ისინი ელოდებიან სხვა „მესიის“ მოსვლას, რომელიც ქრისტიანული რწმენის თანახმად ანტიქრისტე იქნება.**

კ ი თ ხ ვ ა : მაშ, როგორ შევაფასოთ კათოლიკეთა მიერ თა-

ნამედროვე იუდეველების „რწმენაში ჩვენს უფროს ძმებად“ გამოცხადება?

მ ი გ ე ბ ა : სრულიად თვალსაჩინოა, რომ ასეთი განცხადება მთლიანად ეწინააღმდეგება ქრისტიანულ და იუდაისტურ სარწმუნოებათა საფუძვლებს; რაკი ვიცით იუდეველთა აზრი იესო ქრისტესა და მისი ყოვლადწმიდა დედის შესახებ (მათი ბოროტად გმობის შესახებ), ასეთი განცხადების გაკეთება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ უარს ვიტყვით ქრისტიანულ ჭეშმარიტებებზე: რომ იესო ქრისტე არის ძე ღვთისა, ღმერთკაცი, კაცობრიობის მაცხოვარი და მარადიული ცხოვრების მომნიჭებელი, რომელიც განხორციელდა სულიწმიდისა და ქალწული მარიამისაგან, რომ მისი ყოვლადწმიდა დედა არის ღვთისმშობელი და მარადქალწული. ეს ყველაფერი კინიშნავს, რომ იუდეველთა გულისმოსაგებად იესო ქრისტესა და ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მიმართ მუხანათობაა ჩადენილი.

კ ი თ ხ ვ ა : **სწორია თუ არა კრების განცხადება, რომ „იუდეველები წარმოდგენილნი არ უნდა იყვნენ არც ღვთისაგან უარყოფილად, არც შეჩვენებულად, თითქოს ეს წმიდა წერილიდან გამომდინარეობს, რადგანაც არ შეიძლება „არაფრის სწავლება, რაც არ არის შეფარდებული სახარების ჭეშმარიტებასთან და ქრისტეს სახელთან“ (არაქრისტიანულ რელიგიათა შესახებ დეკლარაცია, ნაწ. „ებრაული რელიგია“)?**

მ ი გ ე ბ ა : არა, არ არის სწორი. წმიდა წერილი საწინააღმდეგოს გვასწავლის. მაგალითად, ქრისტეს იგავი ბოროტ მევნახეთა შესახებ (იხ. მათ. 21. 33-45; მარკ. 12. 1-12; ლუკ. 20. 9-19); ან წინასწარმეტყველება: „რათა მოიწიოს თქვენ ზედა ყოველი სისხლი მართალი, დათხეული ქუეყანასა ზედა, სისხლითგან აბელ მართლისაჲთ, ვიდრე სისხლადმდე ზაქარიაჲსა, მისა ბარუქისა, რომელი მოჰკალთ შორის ტაძრისა და საკურთხეველისა. ამენ გეტყვ თქვენ, რამეთუ მოიწიოს ესე ყოველი ნათესავსა ამას ზედა“ (მათ. 23. 35-36 და ლუკ. 11. 50-51).

ანდა ანალოგიური წინასწარმეტყველებანი (იხ. მათ. 8. 11-12; 12. 41-42; 12. 43-45; ლუკ. 11. 31-32; 21. 23-24). აგრეთვე თვით იუდეველთა სიტყვები: „და მიუგო ყოველმან ერმან და ჰრქუეს: სისხლი მაგისი ჩუენ ზედა და შვილთა ჩუენტა ზედა“ (მათ. 27. 25).

კრების განცხადება უარყოფს სახარებაში ყველა ამ მუხლის არსებობას, რაც შეგნებულად წარმოადგენს აშკარა სიცრუეს.

კ ი თ ხ ვ ა : ზემოთქმულიდან გამომდინარე რა შეიძლება ითქვას იუდეველთა და ქრისტიანთა „სულიერი სიახლოვის“ გამო კრების მტკიცებულების თაობაზე?

მ ი გ ე ბ ა : იგი აბსოლუტურად მცდარია, ყალბია, რადგან სრულიად ეწინააღმდეგება ქრისტიანობისა და იუდაიზმის ძირითად დებულებებს. კრება იქამდეს მიდის, რომ „ჭეშმარიტ ღმერთად აღიარებს არასამპიროვნულ „ღმერთ-კერპს“, რომელსაც ეთაყვანებიან თანამედროვე იუდეველები, მიდის იესო ქრისტეს, როგორც ჭეშმარიტად ერთადერთი მესიის უარყოფამდე, უარყოფს აგრეთვე ღმერთის ცათა სასუფეველის გარდაუვალ ჭეშმარიტებას; იესო ქრისტეს — როგორც ღმერთკაცის, სულიწმიდისა და ქალწული მარიამისაგან განკაცებას, განხორციელებას და მისი ყოვლადწმიდა დედის, როგორც ღვთისმშობლისა და მარადქალწულის არსებობას; ეწინააღმდეგება ახალი აღთქმის მრავალ მუხლს, რომლებიც სწორედ საპირისპიროს ამტკიცებენ, რასაც ასაბუთებენ აზრის დამახინჯებით საწინააღმდეგო და უტიფარი სიცრუით.

ქვეთავი 3

ქრისტიანთა და მაჰმადიანთა

„სულიერი სიახლოვე“

კ ი თ ხ ვ ა : რას ამბობს ვატიკანის II კრება მაჰმადიანთა რწმენისა და ქრისტიანებთან მათი სულიერი სიახლოვის თა-

ობაზე?

მ ი გ ე ბ ა : ვატიკანის II კრების ეკლესიის შესახებ დოგმატი ამტკიცებს: „მაგრამ გადარჩება ყველა, ვინც აღიარებს შემოქმედს და მათ შორის, პირველ რიგში მუსლიმანები, რომლებიც აბრაამის სარწმუნოების აღმსარებლებად თვლიან თავს, ჩვენთან ერთად ეთაყვანებიან ღმერთს — ერთს, მოწყალეს, რომელიც ადამიანებს უკანასკნელ დღეს განიკითხავს“ (პუნქტი 16. აბზაცი 2). დეკლარაციაში არაქრისტიანულ რელიგიათა შესახებ კი ნათქვამია: „ეკლესია აგრეთვე პატივისცემით ეპყრობა მუსლიმანებს, რომლებიც ეთაყვანებიან ერთ ღმერთს, ცოცხალსა და მარადიულად მყოფს, მოწყალესა და ყოვლისშემძლეს, ცისა და მიწის შემოქმედს, ადამიანებისადმი მოლაპარაკეს“ (ნაწ. „მუსლიმანური რელიგია“).

კ ი თ ხ ვ ა : **მუსლიმანები და ქრისტიანები, სინამდვილეში თუ ეთაყვანებიან ერთსა და იმავე ღმერთს როგორც ამას კრება ამტკიცებს, როცა ამბობს, — „ჩვენთან ერთად ეთაყვანებიან ერთ ღმერთს“?**

მ ი გ ე ბ ა : არა, ქრისტიანების ღმერთი და მუსლიმანების ცრუღმერთი სრულიად სხვადასხვაა: ქრისტიანები ეთაყვანებიან ერთ სამპიროვნულ (სამება და ერთარსება) ჭეშმარიტ ღმერთს — ერთარსებასა და განუყოფელ ჭეშმარიტ წმიდა სამებას (მამას, ძესა და სულიწმიდას); ქრისტიანთათვის მხოლოდშობილი ძე ღვთისა იესო ქრისტე — ჭეშმარიტი ღმერთი, ჭეშმარიტი ადამიანი (ღმერთკაცი), ადამიანთა მოღვმის მაცნოვარი და მსაჯულია.

მუსლიმანები კი უარყოფენ ღმერთ-სამებას და ეთაყვანებიან ერთ, არასამპიროვნულ, ამგვარად, ცრუღმერთ-კერპს. ისინი უარყოფენ იესო ქრისტეს, როგორც ღმერთს, განიხილავენ მას, როგორც ქმნილებას, ადამის, აგრეთვე ნოეს, აბრაამის, მოსესა და სხვათა თანასწორად; მთავარ წინასწარმეტყველად ისინი მუჰამედს აღიარებენ. **სახარების მიხედვით კი ქრისტეს უარყოფენ, თავად იქნებიან უარ-**

**ყოფილნი ზეცაში მამისა და ანგელოზების მი-
ერ** (მათ. 10. 33; მარკ. 8. 38; ლუკ. 12. 8).

კითხვა : რითი განსხვავდება მუსლიმანთა თაყვანისცე-
მა ქრისტიანთა თაყვანისცემისაგან?

მიგება : ამ განსხვავებას აცხადებს მუსლიმანთა „წმიდა
წერილი“ — ყურანი. იგი ამტკიცებს: „მართალი არ არის ის,
ვინც ამბობს, რომ ღმერთი სამობით ერთია, მაშინ, როცა არა-
ვითარი ღმერთი არ არის, გარდა ერთი ღმერთისა“; „მართლები
არ არიან, რომლებიც ამბობენ, რომ მესია, მარიამის ძე, არის
ღმერთი“; „გწამდეთ ღმერთისა და მის წარმომგზავნელთა მო-
ციქულთა და ნუ იტყვით სამებას; თავი შეიკავეთ თქვენნივე სი-
კეთისათვის. ღმერთი მხოლოდ ერთია, ვისაც თაყვანისცემა
ეკუთვნის. აქებდეთ ღმერთს, არ შეიძლება, რომ მას შეილები
ჰყავდეს“; „მესია, მარიამის ძე, მხოლოდ მოციქულია, ისევე,
როგორც ისინი, ვინც მასზე აღრე იყვნენ“ (მუხლი 5. 76; 5. 77;
5. 79. 4. 169); ამასვე იმეორებს ყურანის სხვა მუხლებიც (3.
52-53; 3. 78; 5. 19; 9. 30-31; 17. 111; 25. 2). ყურანი უარყოფს
ჯვარცმას და იესო ქრისტეს ჯვარზე სიკვდილს, აცხადებს,
რომ მის ადგილას სინამდვილეში აჩრდილი იყო (მუხლი 4. 154).
ამის გარდა ყურანი სახარებიდან მრავალ დამოწმებას იყენებს,
მაგრამ ყველა დამახინჯებულია ისე, რომ ვერ იცნობ ან ყველა
სიცრუეა. მაგალითად, მოყვანილია თითქოსდა იესო ქრისტეს
მიერ ნათქვამი სიტყვები, რომლებიც ყურანის ჭეშმარიტებას,
ნამდვილობას ამტკიცებს და მუჰამედის მოსვლას წინასწარ-
მეტყველებენ (მუხლი 61. 6). რა თქმა უნდა, ახალ აღთქმაში
მსგავსი არაფერი წერია.

კითხვა : მაგრამ, შესაძლოა თუ არა ერთი და იგივე
ღმერთი, უბრალოდ სხვადასხვა წმიდა წერილსა და სხვადას-
ხვა შთაგონებას აძლევდეს ქრისტიანებსა და მუსლიმანებს,
თუკი კათოლიკეები ამტკიცებენ, რომ მუსლიმანთა ღმერთი
„ადამიანებს ელაპარაკებოდა“?

მიგება : არა, ასეთი ვარაუდი სრულიად შეუთავსებელია

ჭეშმარიტი ღმერთის ქრისტიანულ გაგებასთან, რადგან **რწმენის მთავარ ფუნდამენტალურ დებულებებში ბიბლია და ყურანი, ქრისტიანობა და ისლამი ერთიმეორეს საფუძველშივე ეწინააღმდეგება.** ისლამის ჭეშმარიტებად აღიარებით, კათოლიკეები აღიარებენ, რომ ღმერთი თავის თავზე ურთიერთსაწინააღმდეგო ჭეშმარიტებას ამბობდა, თავის თავს ეწინააღმდეგებოდა, თავის სიტყვებს უარყოფდა და ცრუობდა. ეს უარყოფს ჭეშმარიტი ღმერთის მთავარ თვისებას — იყოს ყოვლადმართალი; ანიჭებს მას „სიცრუის მამის“ თვისებებს (იოვ. 8. 44), გამოხსნის წმიდა სამებასა და სულიწმიდას.

კითხვა: მაშ, როგორ შევაფასოთ კათოლიკეთა მტკიცება, რომ მუსლიმანები ეთაყვანებიან „ღმერთს ცოცხალსა და მარადიულს, ყოვლადმოწყალესა და ყოვლის შემძლეს, ცისა და მიწის შემოქმედს“, „რომელიც ადამიანებს უკანასკნელ დღეს განიკითხავს“?

მიგება: ეს მეტყველებს იმაზე, რომ კათოლიკეები განიხილავენ არასამპიროვანს, ღმერთად წოდებულ კერპს, რომელსაც მუსლიმანები ეთაყვანებიან. მას ცოცხალი, ჭეშმარიტი ღმერთის თვისებებში უთანაბრებენ ჭეშმარიტ ღმერთს — წმიდა სამებას, ჭეშმარიტი ღმერთის ფუნქციებს „ყოფენ“ და კერპს „უნაწილებენ“.

კითხვა: ზემოთქმულიდან გამომდინარე, რა შეიძლება ითქვას კრების მტკიცებულებაზე ქრისტიანთა და მუსლიმანთა თითქოსდა არსებული სულიერი სიხსლოვის შესახებ?

მიგება: იგი სრული სიყალბეა, რადგან ეწინააღმდეგება, როგორც ქრისტიანობის ფუძემდებლურ ჭეშმარიტებებს, ასევე ისლამის დებულებებსაც. ეფუძნება ლათინო-პაპისტების განდგომას ყოვლადწმიდა სამებისაგან, როგორც ერთი ღმერთისაგან. ეფუძნება ასევე იესო ქრისტეს, როგორც კაცობრიობის ერთადერთი მსაჯულის უარყოფას. ეს

**მტკიცებულება ჭეშმარიტი ღმერთის ყოვლადწმი-
დაობას უარყოფს და მას ცბიერის ფუნქციას მი-
აწერს; გამოხს სულიწმიდას.**

ქვეთავი 4

ქრისტიანთა და წარმართთა „სულიერი სიახლოვე“

**კითხვა: რას ამბობს კრება წარმართებისა და ქრის-
ტიანების სულიერი სიახლოვის თაობაზე?**

მიგება: კრება წარმართებსაც იმათ რიცხვს მიაკუთვნებს, ვინც მუსლიმანების მსგავსად „აღიარებენ შემოქმედს“ (დოგ-მატი ეკლესიის შესახებ. პ. 16. აბზაცი 2) და თვლის, რომ წარ-მართთა შორის ზოგჯერ არსებობს „მამის ან უზენაესი ღვთა-ების“ აღიარება; „ინდუიზმში ადამიანები არკვევენ ღვთაებრივ საიდუმლოს... მიმართავენ რა ღმერთს სიყვარულით და სასო-ებით“; ბუდიზმი „ასწავლის გზებს... რომლითაც ადამიანები... შეძლებენ მიაღწიონ უმაღლეს გაბრწყინებას საკუთარი ძალ-ღონით ან ზეგარდმო ძალების დახმარებით“ (დეკლარაცია არაქრისტიანულ რელიგიათა შესახებ. ნაწ.: „სხვადასხვა არაქ-რისტიანული რელიგიები“).

**კითხვა: სწორია თუ არა, რომ წარმართები აღიარებენ
შემოქმედს და მიმართავენ ღმერთს, როგორც ამას თვლიან
ლათინო-პაპისტები?**

მიგება: არა, არ არის სწორი. ღმერთი მხოლოდ ყოვ-ლადწმიდა სამებაა; წარმართები უარყოფენ წმიდა სამებას, რო-გორც ერთ ღმერთს და თავიანთ სცემენ სხვადასხვა ღმერთებს, შექმნილს ადამიანის ხელით, გონებით (ფილოსოფიით, მითე-ბით, ეშმაკეული გამონაგონით). მაგალითად: ქალღმერთი კა-ლი — ინდუიზმის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ღვთაებაა. ჩვეულებრივ მას გამოსახავენ საზარელი სისხლისღვრის ფონ-ზე მოკვეთილ თავებსა და თავისქალებს შორის. ქალღმერთს ენა აქვს გამოყოფილი, რაც ნიშნავს, რომ კვლავ სისხლი სწყუ-

რია. ინდუისტურ ტაძრებში კალის სწირავენ დაკლულ თხებს.

კ ი თ ხ ვ ა : მაგრამ წარმართობაში იქნებ ნამდვილად შეიძლება „უმაღლესი გაბრწყინების“ მიღწევა და „ზეციური დახმარების“ მიღება?

მ ი გ ე ბ ა : არა, არ შეიძლება. წარმართობაში ღმერთების უკან დაცემული სულები დგანან და დემონური ძალები მოქმედებენ, რომლებიც ადამიანებს „განაბრწყინებენ“ და „შეეწვიან“. წმიდა დავით წინასწარმეტყველი ბრძანებს: „რამეთუ ყოველნი ღმერთნი წარმართთანი ეშმაკ არიან“ (ფს. 95.5), ასევე პავლე მოციქული ამბობს: „ვითარმედ რომელსა-იგი უგებენ წარმართნი, ეშმაკთა უგებენ და არა ღმერთსა“ (I კორ. 10. 20). **ამიტომაც, როდესაც ლათინო-პაპისტები დემონებს ღმერთის მადლთან ათანაბრებენ, ამით გამოვლენ წმიდა წერილსა და სულიწმიდას.**

კ ი თ ხ ვ ა : რას ნიშნავს კრების მიერ წარმართთა „უზენაესი ღვთაების“ გათანაბრება „მამასთან“?

მ ი გ ე ბ ა : კათოლიკეები როდესაც წარმართთა უზენაეს ღვთაებას „მამასთან“ აიგივებენ, ამით „მამას“ წარმოადგენენ ღმერთად ძისა და სულიწმიდისაგან დამოუკიდებლად; ანუ, გაუყოფელ ყოვლადწმიდა სამებას „ყოფენ“ და ქმნიან ახალ კერპს — დამოუკიდებელ ღმერთს — „მამას“.

კ ი თ ხ ვ ა : როგორ უნდა შეფასდეს კრების სწავლება წარმართთა „სულიერების“ თაობაზე?

მ ი გ ე ბ ა : ეს სწავლება სრული სიყალბეა; ეწინააღმდეგება ქრისტიანულ სწავლებას, რადგან დაფუძნებულია ლათინო-პაპისტებისაგან იმის აღიარებაზე, რომ „ღმერთები“ და „ღვთაებები“, რომელთაც წარმართები ეთაყვანებიან, ჭეშმარიტია; ეს სწავლება მათ და მათ უკან მდგომ დემონურ ძალებს ჭეშმარიტ ღმერთთან და ღვთის მადლთან ათანაბრებს, **წმიდა სამებას უარყოფს, როგორც ერთ და განუყოფელ ღმერთს, ჰყოფს მას, ქმნის ახალ კერპს — დამოუკიდებელ „მამა“ ღმერთს და ასევე გამოხს**

სულიწმიდას.

კითხვა: ზემოთქმულიდან გამომდინარე, სწორია თუ არა კათოლიკეთა განცხადება არაქრისტიანთა მიერ შემოქმედის აღიარების თაობაზე?

მიგება: არა, არ არის სწორი, რადგან არაქრისტიანულ რწმენებში შექმნილი ღმერთები არის აღიარებული ნამდვილად. არაქრისტიანები ეთაყვანებიან ქმნილებებს, ხოლო ჭეშმარიტი ღმერთი ყოვლადწმიდა სამება უარყოფილი და დაგმოხილია.

კითხვა: რა შეიძლება ითქვას ქრისტიანებთან იუდეველების, მუსლიმანებისა და წარმართების „სულიერ სიახლოვეზე“, რასაც კრება ქადაგებს?

მიგება: ეს მცდარი დებულებაა, რადგან სრულიად ეწინააღმდეგება ჭეშმარიტი ქრისტიანობის საფუძვლებს და არაქრისტიანული რელიგიების დებულებებსაც; უარყოფს ღვთაებრივი ჭეშმარიტების ერთადერთობას; უარყოფს ასევე ყოვლადწმიდა სამებას, როგორც ერთ და განუყოფელ ღმერთს; ჭეშმარიტ და ცოცხალ „ღმერთებად“ აღიარებს არასამპიროვან ღმერთ-კერპებს, ანიჭებს მათ ჭეშმარიტი ღმერთის თვისებებს. აგრეთვე აღიარებს წარმართთა „ღმერთებს“ და „უზენაეს ღვთაებებს“ და მათ უკან მდგომ დემონურ ძალებს; უარყოფს ჭეშმარიტი ღმერთის ყოვლადწმიდაობას და გმობს სულიწმიდას; მისი დასაბუთებანი აგებულია ეპისტოლეებისა და სახარების მთელი რიგი ადგილებისა და დებულებების დამახინჯებებსა და ფალსიფიკაციაზე.

ქვეთავი 5

არაქრისტიანთა ცხონებისათვის

კითხვა: სწორად იუწყება თუ არა კრება, რომ ქრისტიანებმა, იუდეველებმა, მუსლიმანებმა და წარმართებმა ხსნა შეიძლება სხვადასხვა გზით მიიღონ?

მიგება: არა, არ არის სწორი, რადგან ადამიანს ხსნის ჭეშმარიტ გზას მხოლოდ ქრისტიანობა სთავაზობს და ეს ერთადერთი გზაა, რომელსაც ადამიანი უნდა დაადგეს, რათა ღმერთთან მივიდეს, სასუფეველი მოიპოვოს და საუკუნო ცხოვრება დაიმკვიდროს. ამაშია ღვთაებრივი ზეშთაგონება და ქრისტიანული სარწმუნოების მთელი აზრი და შინაარსი. როგორც წმიდა ლუკა მახარებელი ბრძანებს, ქრისტეს სახელის გარეშე „არავინაა არს სხვთ ცხობება და არცაა არს სახელი სხუად ცასა ქუეშე მოცემული კაცთა, რომლითამცა ჯერ-იყო ცხობრება ჩვენა“ (საქ. მოც. 4. 12).

კითხვა: სწორედ ამბობენ თუ არა კათოლიკენი, რომ ყველა რელიგია, როგორც ქრისტიანული, ისე არაქრისტიანული, ამა თუ იმ წილად ღვთივშთაგონებულია? კათოლიკური ეკლესიის სწავლების თანახმად ყველაშია „სიმართლის მარცვალი“, აგრეთვე „შემოქმედისა“ და „ღმერთის“ რწმენა.

მიგება: არა, კათოლიკური ეკლესიის ეს ახალი სწავლება და დებულება არასწორია, ვინაიდან ერთადერთი ღვთივშთაგონებული რელიგია, დამყარებული ღვთის სიტყვაზე — წმიდა წერილსა და წმიდა მამათა გადმოცემებზე, შვიდი მსოფლიო კრების გადაწყვეტილებებსა და მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა მამათა სწავლებაზე — არის ქრისტიანობა; მხოლოდ ქრისტიანები აღიარებენ ჭეშმარიტ ღმერთსა და შემოქმედს, წმიდა სამებასა და იესო ქრისტეს. **არაქრისტიანული რელიგიები კი (ძველი აღთქმის ეულის გარდა) არის მთლიანად ყალბი, არაღვთივშთაგონებუ-**

ლი (ვილაციის მიერ მოგონილი, შეთხზული); ყოველი სიტყვა და წინადადება, რომელიც, ერთი შეხედვით, ჭეშმარიტებას წააგავს, ატარებს სრულიად სხვა, გაუკუღმართებულ აზრს; ისინი სიმართლის მარცვალს კი არ შეიცავენ, არამედ მხოლოდ ღვარძლს, ხორბლის მიმბაძველს (შეად. მათ. 13. 24-28), ხოლო მათი რწმენა და თაყვანისცემა მიმართულია არა შემოქმედი ჭეშმარიტი ღმერთისადმი (რომელსაც ისინი უარყოფენ), არამედ ქმნილებებისადმი — ცრუ ღმერთკერპებისა და დემონებისადმი (იხ. ზემოთ. თავი III. ქვეთ. 2-4).

კ ი თ ხ ვ ა : რა შეიძლება ითქვას კათოლიკეთა სწავლებაზე, თითქოსდა სულიწმიდა ემყარება „სიმართლის მარცვალს“ და ნაყოფიერად მოქმედებს ქრისტიანული ეკლესიის ხილული ორგანიზმის გარეთ, რაც „ყველა რელიგიის საერთო სოტერიოლოგიურ ფესვს“ ქმნის?

მ ი გ ე ბ ა : ესეც მცდარი დებულებაა, რადგან არ არსებობს არავითარი „წმიდა სული“, რომელიც „ნაყოფიერად მოქმედებს“ კერპთაყვანისმცემლობაში და დემონებისადმი თაყვანისცემაში (სულიწმიდა არ შეიძლება ყოვლადწმიდა სამებისა და იესო ქრისტესაგან მოწყვეტით მოქმედებდეს, რომელთაც არაქრისტიანები უარყოფენ), რადგანაც მათში სულ სხვა სული მოქმედებს. არაქრისტიანულ რელიგიებში ყოველგვარი ურთიერთობა — ღმერთთან შეერთება ან ღვთისკენ მოძრაობა მთლიანად გამორიცხულია; ხოლო იმ გზებს, რომელსაც ხალხს სთავაზობენ, ისინი მიჰყავს არა ღმერთთან ცათა სასუფეველში, არამედ დაღუპვისაკენ — ჯოჯოხეთში. ამის შესახებ გვაუწყებს ახალი აღთქმის მრავალი მუხლი; მაგალითად: „არავინ მოვიდეს მამისა, გარნა ჩემ მიერ“ (იოვ. 14. 6); „რომელმან არა პატივ-სცეს ძესა, მან არა პატივ-სცა მამასა“ (იოვ. 5. 23); „რომელსა ჰრწმენეს ძე, აქუნდეს ცხონებაჲ საუკუნოდ, ხოლო რო-

მელი ურჩ იყოს ძისა, არა იხილოს ცხორებაჲ, არამედ რის-
ხვაჲ ღმრთისაჲ დადგრომილ არს მის ზედა“ (იოვ. 3. 36); „რო-
მელსა ჰრწმენეს მისი, არა დაისაჯოს; ხოლო რომელსა არა
ჰრწმენეს, აწვე დასჯილ არს, რამეთუ არა ჰრწმენა სახელისა
მიმართ ძისა ღმრთისა მხოლოდ-შობილისა“ (იოვ. 3. 18) და
სხვა.

**ასე რომ, ყველა რელიგიათა საერთო სოტე-
რიოლოგიური ფესვის თაობაზე ვატიკანის გან-
ცხადება არის სიცრუისა და ჭეშმარიტების გა-
თანაბრებისა და პანეკუმენიზმის გამართლების
მცდელობა.**

**კითხვა: სწორია თუ არა ლათინო-პაპისტების მტკიცე-
ბა, რომ მუსლიმანები, იუდეველები და სხვა არაქრისტიანები
ღვთის ხალხს მიეკუთვნებიან და ჭეშმარიტებაზე მოქცევას
არ საჭიროებენ? (დოგმატი ეკლესიის შესახებ პ.პ. 13 და 16).**

მიგება: არა, არ არის სწორი. კათოლიკეები წმიდა სა-
მებასა და სულიწმიდას ბოროტად სწამებენ ცილს იმის თქმით,
რომ ღვთის მადლმა, ანუ სულიწმიდის მადლმა მოუწოდა მათ
ედიონ ხსნა ყალბი (ცრუ) გზებით (კერპებისა და ეშმას თაყვა-
ნისცემით, ჭეშმარიტი ღმერთის უარყოფით).

**არაქრისტიანობაში მოქმედებს ღვთის მადლი
მამხილებელი, შემაგონებელი და არა — მხსნე-
ლი.**

**კითხვა: არაქრისტიანთა სხვადასხვა გზებით ხსნის შე-
სახებ სწავლების გასამყარებლად ლათინო-პაპისტებს ღვთის
განგებით ხსნა მოჰყავთ. რა შეიძლება ითქვას ამის თაობაზე?**

მიგება: მართლაც, მხსნელი განგება მთელ კაცობრიობას
მოიცავს და ბიბლიაში ადამის ცოდვით დაცემის მომენტიდან
ცხადდება. ქვეყნად მაცხოვრის მომავალი მოსვლის შესახებ
ძველ აღთქმაში ასეულობით წინასწარმეტყველებაა, ხოლო დე-
დამიწაზე მისმა მოსვლამ, ღმერთკაცად — იესო ქრისტედ გან-
ხორციელებამ, ხალხისადმი მისმა მსახურებამ და ჩვენი ცოდ-

ვების გამოსასყიდად თავის დადებამ ადამიანთა ხსნას გაუხსნა გზა. მაგრამ ადამიანი რომ ამ გზას დაადგეს, ცოდვები უნდა მოინანიოს, სახარება იესო ქრისტესი ირწმუნოს — „მოახლებულ არს სასუფეველი ღმრთისაჲ, შეინანეთ და გრწმენინ სახარებისაჲ“ (მარკ. 1. 15) — და ქრისტეს გაჰყვეს. მხოლოდ ქრისტეს რწმენა და მისი გზით სვლა მიგვიყვანს ღმერთთან და ვპოვებთ ხსნას — დავიმკვიდრებთ ცათა სასუფეველსა და მარადიულ ცხოვრებას.

კითხვა: როგორღა შევაფასოთ კათოლიკეთა სწავლება ხსნის შესახებ, ერთი მხრივ, ისინი კი არ უარყოფენ, არამედ ადასტურებენ, რომ ხსნა შეიძლება მხოლოდ იესო ქრისტეში; მეორე მხრივ, კი აცხადებენ არაქრისტიანთა სხვადასხვა გზით ხსნას, იმათ ხსნას — ვინც წმიდა სამებასა და იესო ქრისტეს უარყოფს და ეთაყვანება ქმნილებებს: ღმერთ-კერპებს, „უზენაეს ღვთაებებსა“ და ღმერთებს?

მიგება: ეს სწავლება და მისი დასაბუთება რომაული კათოლიციზმის იეზუიტურ არსს — ორპირობას ააშკარავებს. ღვთაებრივი ზეშთაგონების, სამოციქულო ქრისტიანული რწმენისა და ქრისტეს ეკლესიისადმი კათოლიკეთა მიერ დეკლარირებული ერთგულება მხოლოდ სიტყვიერი საფარია მათ მიერ უხეშად დამახინჯებული ქრისტიანული საფუძვლებისა: ღვთის განგებით ადამიანთა ხსნისა, განხორციელებული ძე ღმრთისას მისიის შესახებ და რელიგიო-ათშორის ეკუმენიზმის ქადაგებას ემსახურება, რაც ფაქტობრივად იესო ქრისტეს, წმიდა სამების, ღვთაებრივი ზეშთაგონების, ახალი და ძველი აღთქმის დალატს ნიშნავს.

კითხვა: ზემოთქმულიდან გამომდინარე, საერთოდ, რა შეიძლება ითქვას ლათინო-პაპისტურ დოქტრინაზე ქრისტიანთა, იუდეველთა, მუსლიმანთა და „სხვადასხვა გზით“ შემოქ-

მედის ჯერ კიდევ მაძიებელთა შესახებ?

მ ი გ ე ბ ა : **ეს ახალი დოქტრინა ყალბია, ანტიქრისტიანულია**, ვინაიდან დამყარებულია კათოლიკეთა ჭეშმარიტებას მოკლებულ განცხადებაზე, თითქოს არსებობდეს ქრისტიანებისადმი არაქრისტიანთა „სულიერი სიახლოვე“, მათში „შემოქმედისა“ და „ღმერთის“ რწმენა.

ეს დოქტრინა მთლიანად აგებულია სახარების არსისა და ღვთიური ზეშთაგონების, აგრეთვე არაქრისტიანული რელიგიების ძირითად დებულებათა დამახინჯებასა და ფალსიფიკაცი-აზე რასაც ქრისტიანული რწმენის ძირითად ჭეშმარიტებათა უმეტესობის უარყოფამდე მივყავართ.

ქვეთავი 6

ვატიკანის II კრების ახალი წესები და ქრისტიანობასთან მათი წინააღმდეგობანი

კ ი თ ხ ვ ა : **რას წარმოადგენს ვატიკანის II კრების ახალი წესები, რაც ლათინო-პაპისტების რელიგიათშორის ეკუმენიზმს (პანეკუმენიზმს) ასახავს და როგორია ქრისტიანულ სარწმუნოებასთან მათი წინააღმდეგობანი და შეუთავსებლობა?**

მ ი გ ე ბ ა : ვატიკანის II 1962-1965წ.წ. კრების მიერ მიღებულ (იხ. ლიტ. სია პ. 17) სწავლებებში, მის მთავარ დოკუმენტში — „ეკლესიის შესახებ დოგმატურ დადგენილებაში“ და „არაქრისტიანულ რელიგიათა მიმართ ეკლესიის დამოკიდებულების დეკლარაციაში“, რომელიც დადასტურებული და განვითარებულია 1992 წლის კათოლიკური კატეხიზმითი (იხ. ლიტ. სია, პ. 19) და პაპის იოანე-პავლე II-ის 1994წ. გამოცემული შრომით (იხ. ლიტ. სია. პ. 18), რომლებიც გამოხატავენ ვატიკანის ოფიციალურ სწავლებას, **ლათინო-პაპისტებმა:**

1. **განაცხადეს და „დაასაბუთეს“** დებულება მსოფლიო უნივერსალური ეკლესიის შესახებ, რომელშიც სხვადასხვა გზით შევლენ ყველა კონფესიის ქრისტიანები და ყველა, ვისაც სწამს „შემოქმედი“ – იუდეველები, მუსლიმანები და წარმართები, ვისაც სწამს „ღმერთი“ და „უზენაესი ღვთაებები“, რითაც უარყოფილია ქრისტეს ეკლესიის ჭეშმარიტება;

2. **განაცხადეს და „დაასაბუთეს“** ქრისტიანთა, მუსლიმანთა და წარმართთა სხვადასხვა გზით ხსნის შესაძლებლობა, რაც ქრისტიანობის არსსა და ღვთაებრივ ზემთაგონებას ეწინააღმდეგება, მთლიანად ამახინჯებს ღვთის განგებით ადამიანთა ხსნისა და განხორციელებული ძე ღვთისას მისიას;

3. „ცოცხალ შემოქმედებად“ აღიარეს არაპიროვნული ღმერთ-კერპები, რომელთაც მუსლიმანები და თანამედროვე იუდეველები და წარმართთა „ღმერთები“ და „უზენაესი ღვთაებები“ ეთაყვანებიან, რითაც განუდგნენ ერთი ღმერთის, ყოვლადწმიდა სამების (მათ შორის, საღვთო სჯულის) ფუძემდებლურ ჭეშმარიტებას;

4. წარმართთა „უზენაესი ღვთაებები“ გააიგივეს მამა ღმერთთან, მას განიხილავენ როგორც თვითმყოფ „ღმერთს“, ძისა და სულიწმიდისაგან დამოუკიდებლად, რითაც „გააცალკევეს“ განუყოფელი ყოვლადწმიდა სამება. ამით მათ შექმნეს ახალი ღმერთ-კერპი „მამა“;

5. უარყვეს კაცობრიობის ერთადერთი მსაჯული – იესო ქრისტე;

6. წარმართთა „გაცისკროვნება“, „შუქის მოფენა“ და „ზეგარდმო შემწეობა“, წარმართობის ღმერთური ზეგავლენა გაუთანაბრეს **სულიწმიდის მადლს, რაც მისი გამობაა;**

7. მუჰამედისაგან მიღებული „ზეშთაგონება“ ჭეშმარიტებად აღიარეს, რითაც განუდგნენ ღვთაებრივ ზემთაგონებას, როგორც ერთადერთ ჭეშმარიტს და უარყვეს ღმერთის ყოვლადწმიდობა. იგი გაუთანაბრეს „სიცრუის მამას“, **რითაც დაგმეს ყოვლადწმიდა სამება და სულიწმიდა;**

8. გამოაცხადეს, რომ იუდეველები, მუსლიმანები და წარმართთა ნაწილი ღვთის მადლით ხსნიისაკენ არიან მოწოდებულნი. ამით აღიარეს, რომ „ღვთის მადლი“ მათ ხსნიის აშკარად მცდარი გზისაკენ მიმართავს. **ამით კიდევ ერთხელ დაგმეს ყოვლადწმიდა სამება და სულიწმიდა;**

9. გამოაცხადეს, რომ ქრისტიანობასა და თანამედროვე იუდაიზმს მსგავსი მიზნები აქვთ, რომ იუდეველები „მესიას“ მოელიან; ამით უარყვეს ჭეშმარიტება ქრისტეზე, როგორც ერთადერთ მხსნელსა და მაცხოვარზე; ასევე უარყვეს სწავლება ანტიქრისტეზე, როგორც ცრუ „მესიაზე“. ამით უარყვეს სწავლება ზეციურ ცათა სასუფეველში მომავალი ცხოვრების შესახებ;

10. განაცხადეს, რომ ყველა რელიგიაშია „სიმაღლის მარცვალი“ და ნაყოფიერად მოქმედებს სულიწმიდის მხსნელი ძალა, რითაც ისევ უარყვეს ღვთაებრივი ზემოთაგონება, როგორც ერთადერთი ჭეშმარიტება; ამით ერთმანეთთან გაათანაბრეს ძის სიტყვა და ადამიანისა და ეშმას მონაგონი; ამით კიდევ ერთხელ დაგმეს ყოვლადწმიდა სამება და სულიწმიდა და სულიწმიდა კიდევ ერთხელ გამოაცალკევეს, როგორც ყოვლადწმიდა სამებისა და იესო ქრისტესაგან დამოუკიდებლად მოქმედი. ამით შექმნეს ახალი ღმერთ-კერპი „წმიდა სული“;

11. თანამედროვე იუდეველები გამოაცხადეს სარწმუნოებაში „ჩვენს უფროს ძმებად“. ამით დაეთანხმნენ იუდეველებს, რომლებიც გმობენ — იესო ქრისტეს, როგორც ღმერთ-კაცს, სულიწმიდისა და ქალწული მარიამისაგან მის განხორციელებას, ჭეშმარიტად ყოვლადწმიდა მარიამს, როგორც ღვთისმშობელსა და მარადქალწულს;

12. საკუთარი სწავლება ააგეს სახარებისა და მოციქულთა ეპისტოლეების რიგი დებულებების აზრის დამახინჯებებსა და ფალსიფიკაციაზე.

კ ი თ ხ ვ ა : კათოლიკეთა ახალ სწავლებას საერთო ჯამში ქრისტიანული სარწმუნოების რომელ ფუძემდებლურ ჭეშ-

მარიტებათა უარყოფამდე მივყავართ?

მი გ ე ბ ა : ქრისტიანული სარწმუნოების ფუძემდებლური ჭეშმარიტებანი, რომლებიც უარყოფილი და შერყვნილია ლათინო-პაპისტთა ახალი სწავლების მიერ, არის შემდეგი:

უარყოფილია:

ყოვლადწმიდა სამება, როგორც ერთადერთი ჭეშმარიტი ღმერთი;

სადვთო რჯულის პირველი მცნება;

იესო ქრისტე, როგორც სამყაროს ერთადერთი მაცხოვარი და კაცობრიობის მსაჯული, მხსნელი და მესია;

ღვთაებრივი ზეშთაგონება;

წმიდა სამების განუყოფელობა;

ღმერთის ყოვლადსამართლიანობა;

ჭეშმარიტება ქრისტეს ეკლესიის შესახებ;

ანტიქრისტე, როგორც ცრუ მესია.

შერყვნილი და დამახინჯებულია:

ღმერთის განგებით კაცობრიობის ხსნა და განხორციელებული ძის მისია.

უარყოფილია უცილობელი ჭეშმარიტება:

მომავალი საუკუნის ცხოვრების, როგორც ღმერთის ცათა სასუფეველის თაობაზე;

იესო ქრისტეს, როგორც ღმერთკაცის თაობაზე;

მისი განხორციელება სულიწმიდისა და ქალწული მარიამისაგან;

მისი ყოვლადწმიდა დედის, როგორც ღვთის-მშობლისა და მარადქალწულის თაობაზე.

კ ი თ ხ ვ ა : საერთოდ რა უნდა ითქვას ვატიკანის II კრების შემდეგ ქრისტიანული სარწმუნოების მიმართ ლათინო-პაპისტთა წინააღმდეგობებზე?

მი გ ე ბ ა : ლათინო-პაპისტები დაადგინენ პანეკუმენიზმის

გზას, ქრისტიანობის თითქმის ყველა ფუძემდებლური ჭეშმარიტების უცვალეblობას გმობენ, რყვნიან და უარყოფენ, რითაც გაყიდეს ჭეშმარიტი ღმერთი — ყოვლადწმიდა სამება, იესო ქრისტე და მთლიანად ქრისტიანული სარწმუნოება.

ლათინო-პაპისტები მას მერე, რაც მწვალებლობით განუდგნენ მართმადიდებელ ეკლესიას, უფრო და უფრო ღრმა მწვალებლობაში იძირებიან. დღეს ისინი ანტიქრისტიანებად უფრო გვევლინებიან, ვიდრე ქრისტიანებად.

ქვეთავი 7

რომაული-კათოლიციზმი ვატიკანის II კრების შემდეგ

კითხვა: შეიძლება თუ არა რომაული-კათოლიციზმი ერეტიკულ ქრისტიანულ რწმენად ჩაითვალოს?

მიგება: რომაული-კათოლიციზმი ვატიკანის II კრებამდე ერეტიკულ ქრისტიანულ რწმენად ითვლებოდა. მის შემდეგ კი იგი გადაიქცა ნეოწარმართულ, ანტიქრისტიანულ რელიგიად.

კითხვა: რაში გამოიხატება კათოლიკეთა ნეოწარმართობა?

მიგება: კათოლიკეთა ნეოწარმართობა იმით გამოიხატება, რომ უარყვეს ერთი ღმერთი, ჭეშმარიტ „ცოცხალ ღმერთებად“ აღიარებენ იუდეველთა და მუსლიმანთა არასამპიროვნულ ღმერთ-კერპებს, წარმართთა „ღმერთებსა“ და „უზენაეს ღვთაებებს“, დემონებს ათანაბრებენ ჭეშმარიტ ღმერთთან — წმიდა სამებასთან; მათ მიაწერენ ჭეშმარიტი ღმერთის, შემოქმედის, მსაჯულისა და სხვა ფუნქციებს და მათდამი თაყვანისცემას ცხონებისაკენ სვლად თვლიან.

კითხვა : ლათინო-პაპისტები თვლიან თუ არა არაქრისტიანთა სათაყვანო „ღმერთებს“ და ყოვლადწმიდა სამებას სხვადასხვა „ცოცხალ ღმერთებად“, თუ მათ განიხილავენ ერთი და იმავე „ჭეშმარიტი ღმერთის“ სახელებად, გამოვლინებად, განსახიერებად?

მიგება : კრების დოკუმენტებში ასახული გამონათქვამების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ლაპარაკია მათ მიერ „ერთი ღმერთის“ მრავალი სახელისა და გამოვლინების აღიარებაზე.

კითხვა : იმ შემთხვევაშიც კი, თუკი ყველა „ღმერთებსა“ და ყოვლადწმიდა სამებას თვლიან „ერთი ღმერთის სხვადასხვა გამოვლინებად და სახელებად, კათოლიკეები წარმართებად ითვლებიან, თუ არა?

მიგება : დიახ, ითვლებიან, რადგან ერთი სახეცვალებადი ღმერთისადმი რწმენა არაქრისტიანობაში ქმნილი ღმერთ-კერპებისადმი თაყვანისცემას კი არ აღმოფხვრის, არამედ კათოლიკეთა მხრიდან კიდევაც ავსებს მას.

კითხვა : მაგრამ, მაინც, თვითონ კათოლიკეები აგრძელებენ თუ არა ჭეშმარიტი ღმერთის — ყოვლადწმიდა სამებისადმი თაყვანისცემას?

მიგება : არა, ლათინო-პაპისტები ეთაყვანებიან მათ მიერ შექმნილ ცრუღმერთს, რომელიც მხოლოდ იწოდება ჭეშმარიტ ღმერთად — ყოვლადწმიდა სამებად. ეს არის ცრუღმერთი, რომელსაც ერთიან და დაუნაწილებელ, განუყოფელ ყოვლადწმიდა სამებასთან შედარებით კათოლიკეებმა წაართვეს ერთიანობა, განუყოფელობა და ყოვლადწმიდაობა; ხოლო ცალკეული ფუნქციები — შემოქმედისა, მსაჯულისა — გაუნაწილეს სხვა „ღმერთებს“ და ღვთაებებს, თვით ის კი გადააქციეს ერთი ღმერთ-კერპის მრავალთაგან ერთ-ერთ სახელად და განსახიერებად, რომელსაც უწოდეს „შემოქმედი“.

კითხვა : კათოლიკეთა სარწმუნოება გვევლინება თუ არა წარმართობის სრულიად ახალ სახეობად, თუ მას ანა-

ლოგი აქვს?

მი გ ე ბ ა : თანამედროვე რომაული კათოლიციზმის უშუალო წინამორბედია — ნეონდუიზმი, რომელიც XIX ს-ში აღმოცენდა, თვითონ კი მისი ნაირსახეობაა. ნეონდუიზმი თვლის, რომ ინდუსებიც, მუსლიმანებიც, ქრისტიანებიც და აგრეთვე ყველა სხვა რელიგიათა წარმომადგენლები ეთაყვანებიან ერთსა და იმავე „ღმერთს“, რომელსაც მრავალი სახელი აქვს; რომ მსოფლიოს ყველა თანამედროვე საღვთო წერილი მეტყველებს ერთსა და იმავე „ღმერთზე“, რომელსაც სხვადასხვა სახელით მოიხსენიებენ: აბსოლუტური ყოფიერება ან შივა ან კრიშნა ან ალაჰი ან ქრისტე და ა. შ.

ნეონდუისტურ ღმერთს ადარებენ ქამელეონს, რომელიც სხვადასხვა რელიგიებში სახეცვლილი ფორმით წარმოგვიდგება. 1893 წელს რელიგიათა ჩიკაგოს მსოფლიო კონგრესზე სვამი ვივეკანანდამ წამოაყენა იდეა — შეიქმნას მსოფლიო უნივერსალური რელიგია. ეს საფუძვლად დაედო საერთო რელიგიურ ეკუმენიზმსა და ლათინო-პაპისტთა სწავლებას. ზემოხსენებულ ქამელეონს კათოლიკეებმა უწოდეს „შემოქმედი“ ან „მამა“ (ან „მსოფლიო ქრისტე“, როგორც მას მსოფლიო უნივერსალური რელიგიის ერთ-ერთმა მთავარმა იდეოლოგმა, იეზუიტმა ტეიარ დე შარდენმა უწოდა).

კ ი თ ხ ვ ა : **რატომ არის ლათინო-პაპიზმი ანტიქრისტიანული რელიგია და არა — უბრალოდ არაქრისტიანული?**

მი გ ე ბ ა : იმიტომ, რომ მათ უარყვეს და დაამახინჯეს ქრისტიანობისა და ღვთაებრივი გამოცხადების ძირითადი არსი: კაცობრიობის ცხოვნება, ღვთის განგება, განკაცებული ძის მისია, ჭეშმარიტებანი ერთი ღმერთის — ყოვლადწმიდა სამებისა და ქრისტეს ეკლესიის შესახებ და სხვა. ეს ახალი წარმართული ცნებებითა და წარმოდგენებით შეცვალეს; ამასთან შეინარჩუნეს ქრისტიანობის გარეგნული სახე. **კათოლიციზმი ქრისტიანობას აქტიურად ანგრევს შიგნიდან; ჭეშმარიტი ღმერთის (ყოვ-**

ლადწმიდა სამებისა და იესო ქრისტეს) და მისი გამოცხადების წინააღმდეგ ბევრად უფრო ეფექტურად იბრძვის, ვიდრე სხვა არაქრისტიანული რელიგიები.

კითხვა: სინამდვილეში რა მიზანს ემსახურება ვატიკანის II კრების ახალი სწავლება?

მიგება: რომაული კათოლიციზმის ახალი წესების ჭეშმარიტი მიზანია: შექმნას მსოფლიო უნივერსალური რელიგია, რაც საფუძველს შექმნის ანტიქრისტეს რელიგიისათვის და, რომელიც მსოფლიოს ყველა ძირითად რწმენათა განმაზოგადებელი კონგლომერატი იქნება; შექმნას ერთიანი მსოფლიო უნივერსალური ეკლესია პაპის მეთაურობით, სადაც თაყვანისცემა მოხდება სხვადასხვა ღმერთისადმი, რომელთაც სხვადასხვა სახელი ექნება და ერთიან ღმერთ-კერძს განასახიერებს — „შემოქმედს“ ან მამას ან „მსოფლიო ქრისტეს“ და ა.შ.

კითხვა: ზემოთ მოთხრობილიდან გამომდინარე ვატიკანის II კრების შემდეგ რას წარმოადგენს რომაული კათოლიციზმი?

მიგება: ვატიკანის II კრების შემდეგ რომაული კათოლიციზმი მოგვევლინა ანტიქრისტიანულ ნეოწარმართულ ცრურელიგიად, რომელიც ქრისტიანულ ტერმინოლოგიას ამოფარებული ფარულ აქტიურ ბრძოლას აწარმოებს ღმერთის (ყოვლადწმიდა სამებისა) და მისი გამოცხადების (ახალი აღთქმისა და მთლიანად გამოცხადების) წინააღმდეგ; საფუძველს უყრის მსოფლიო უნივერსალურ ანტიქრისტეს რელიგიასა და ეკლესიას.

თა80 IV

ცხონება და სულიერი ცხოვრება რომაულ კათოლიციზმში

კითხვა: კათოლიციზმს ადამიანი მიჰყავს თუ არა ცხონებისაკენ?

მიგება: არა, კათოლიკურმა ეკლესიამ მას შემდეგ დაკარგა მაცხონებლობა, რაც 1054 წელს გამოეყო ერთიან მართლმადიდებელ სამოციქულო ეკლესიას და შეიტანა ცვლილებები ღვთის შესახებ დოგმატურ სწავლებებში. რაც შეეხება თანამედროვე რომაულ-კათოლიციზმს ვატიკანის II კრების (1962წ.) შემდეგ, იგი გადაიქცა ნეოწარმართულ რელიგიად (იხ.თავი III. ქვეთ.ნ და 7), რომელშიც ეთაყვანებიან თავიანთ შექმნილ წარმართ ცრუღმერთს; მისი სახელი კი არის „ყოვლაწმიდა სამება“, მაგრამ ერთი ღმერთ-კერპის-ე.წ. „შემოქმედის“ („მამის“, „მსოფლიო ქრისტეს“) მრავალთაგან მხოლოდ ერთ-ერთი გამოვლინება, განსახიერება და სახელწოდებაა.

კითხვა: მოქმედებს თუ არა კათოლიციზმში გადამრჩენი, მხსნელი ღვთის მადლი?

მიგება: არა, როგორც ყოველ წარმართულ რელიგიაში, ღვთის მადლი აქაც არ მოქმედებს. კათოლიციზმის, როგორც მადლსმოკლებული რელიგიის შესახებ მართლმადიდებელი წმიდა მამები ჯერ კიდევ ვატიკანის II კრებაამდე წერდნენ: წმიდა იოანე კრონშტადტელი მას „დამღუპველ რწმენას“ („საბედისწერო რწმენას“) უწოდებს და ამბობს, რომ კათოლიკები „მოსწყდნენ ეკლესიის თავს — ქრისტეს“ (იხ. ზემოთ: თავი II).

პაპების სრული თვითდაჯერებულობა თავიანთ შეუმცდარობაში, ხელისუფლებისა და დიდების უკიდურესი გამოვლინება, საშინელი პატივმოყვარეობა, ამპარტავნება და მზვაობრობა, ქრისტიანული სწავლების გაყალბება, რასაც შემდეგ და-

ემატა წარმართული კერპთაყვანისცემის შეწყნარება; ყველა ეს, პირფერული მორჩილებითა და თვინიერებით შეფარული, ქრისტიანობაში ყველაზე მძიმე ცოდვებად ითვლება და პაპიზმის სრული უმადლობის (მადლის უქონლობის) ეჭვის ნატამალსაც არ ტოვებს.

კ ი თ ხ ვ ა : ასეთ ვითარებაში რას წარმოადგენს კათოლიკეთა სულიერი ცხოვრება, რომელსაც ხოტბას ასხამს მრავალი კათოლიკე „მოღვაწე“?

მ ი გ ე ბ ა : მართლმადიდებლობისაგან განსხვავებით, რაც ემყარება სამოციქულო ეკლესიის წმიდა მამათა ორიათასწლოვან თავდადებას, კათოლიციზმი თავის „სულიერ“ ცხოვრებაში მართლმადიდებლობისაგან მოწყვეტისა და მადლის დაკარგვით, ორი მცდარი გზით წავიდა: ერთი მხრივ, ფორმალიზმისა, რაც ცოდვებისა და კეთილ საქმეთა დათვლასა და ინდულგენციების გაცემაში გამოიხატა; ხოლო, მეორე მხრივ, უკიდურესი ეგზალტაციისა, რამაც სულიერი ცხოვრება ე.წ. ხიბლით შეცვალა.

კ ი თ ხ ვ ა : რა არის „ხიბლი“?

მ ი გ ე ბ ა : ხიბლი ეწოდება ცრუსულიერებას, რომელიც ადამიანის სულიერ-ფსიქიკურ მდგომარეობაში ღვთის მადლსა და სულიწმიდის ნიჭს ენაცვლება, რასაც თავის თავზე გადაჭარბებული წარმოდგენა, თვითშთაგონება და დაცემულ სულთა გავლენა იწვევს. ადამიანს შეიძლება დაეწყოს სხვადასხვა სახის მოჩვენებები, ზმანებები, კმაყოფილება, „ღვთის განცხადება-გამოცხადებები“; საუბარი „წმინდანებთან“, „ღვთისმშობელთან“, „ქრისტესთან“; შეიძლება დაეწყოს უხვი ცრემლისღვრა, აგზნება, სხეულის კანკალი, ზებუნებრივი შესაძლებლობანი და სხვა... ანდა იგი დაიჯერებს, რომ რჩეულია, უცოდველია, წმინდანი; ღირსია, რომ თავისებურად განმარტოს ან ცვლილება შეიტანოს წმიდა წერილში და ა.შ.

ეშმა ამას მზაკვრულად ახერხებს, ხიბლს უჭერს მხარს, რაც საშინელი ბოროტებაა და ასევე დაცემულ სულებთან პირ-

დაპირი კონტაქტის მაჩვენებელია. ბოროტი სული ადამიანს თავის ნებას უქვემდებარებს და სულიერ, ხანდახან კი ხორციელ სიკვდილსაც იწვევს.

კ ი თ ხ ვ ა : ცხადია, ეს ყველაფერი კათოლიკეთათვისაც კარგად არის ცნობილი!

მ ი გ ე ბ ა : სწორედ რომ, პირიქით. მართლმადიდებელ მოღვაწეთა [წმიდა იოანე კიბისალმწერის, წმიდა სვიმეონ ახალი ღვთისმეტყველის, წმიდა გრიგოლ პალამას, წმიდა ეგნატეს (ბრიანჩანინოვის), მღვდელ-მონაზონ სერაფიმის (როუზის)] გაგებით სწავლება ნიბლის შესახებ, რაც მართლმადიდებლურ ასკეტურ მოძღვრებაში საკვანძო საკითხია, საერთოდ არ არსებობს პროტესტანტულ-კათოლიკურ სამყაროში, რომელიც ამ ეშმაკეულ ცნებას სიმართლედ თვლის, იჯერებს.

კ ი თ ხ ვ ა : მაგრამ, მაინც იმის უარყოფა არ შეიძლება, რომ „ღვთისმოსაობის“ მთელ რიგ კათოლიკეთა შრომები ნათარგმნია სხვადასხვა ენაზე, როგორც ჭკუის სასწავლებელი და მისაბაძი მაგალითები?

მ ი გ ე ბ ა : როგორც აღნიშნავს წმიდა ეგნატე (ბრიანჩანინოვი) სულისათვის ნამდვილად სასარგებლოა დასავლეთის იმ ქრისტიანთა შრომები, რომლებიც დაწერილია დასავლეთის ეკლესიის აღმოსავლეთიდან მოწყვეტამდე (1054-წ.-მდე), მაგრამ უკვე ბერნარდის (1090-1153წ.წ.) თხზულებებში ჩანს ავტორის ნიბლში ყოფნის ნიშნები, რაც შემდგომი პერიოდის დასავლეთის მოღვაწეთა შრომებში სულ უფრო ნათლად გამოიკვეთა. ღრმა ნიბლის მდგომარეობაშია დაწერილი კათოლიკეთა ნაშრომები, მათ შორის, თომა კემპიელის „ქრისტესადმი მიბაძვის შესახებ“, ფრანცისკ ასიზელის, ეგნატე ლოიოლასი, ტერეზა ავალელისა და სხვათა ნაწერები, რომლებიც მკითხველისათვის „მომაკვდინებელ შხამს“ წარმოადგენ. ამის მაგალითად გამოდგება ნეტარი ანჟელას (†1309) „გამოცხადება“ და კათოლიკეთა უდიდესი „წმინდანის“, „ეკლესიის მასწავლებლის“ ტერეზა ავალელის (1515-1582წ.წ.) ნაწარმოებები, რომლებიც

„ღვთაებრივი სიყვარულის“ ეროტიკულ, ხორციელ-სულიერ განცდებს აღწერს, რაც აშკარად მრუშობის დემონის კარნახით არის დაწერილი.

დემონების მიერ ღრმა ხიბლში მყოფ კათოლიკე ქალთა და მამაკაცთა წმინდანთა რანგში აღზევება პაპიზმის სულიერი დაცემისა და უმეცრების სრული ილუსტრაციაა. ამის შესახებ აცხადებენ წმიდა ეგნატე (ბრიანჩანინოვი) და წმიდა იოანე კრონშტადტელი (იხ. ზემოთ. თავი II).

კ ი თ ხ ვ ა : მაშ, რა შეიძლება ითქვას ქრისტიანული ასკეტური ნაწარმოების – „უხილავი ბრძოლის“ შესახებ, რომლის წარმომავლობასაც ზოგიერთი ეკუმენისტი-ღვთისმეტყველი დასავლეთს მიაწერს?

მ ი გ ე ბ ა : ლიბერალ მართლმადიდებელთა შორის მართლაც არსებობს აზრი, რომ „უხილავი ბრძოლა“ ლათინური წარმომავლობისაა. ყველაზე გავრცელებული ვერსიის თანახმად მისი ავტორია ბერი ლავრენტი სკუპოლი, რომელმაც 1520 წლის ახლოხანს იგი ფრანგ მწერალ ფრანცისკ სალსკის გადასცა. თუმცა, როგორც გამოკვლევები ასაბუთებენ (იხ. ლიტერატურის სია პ. 22. ნომბერი, გვ. 120-125), იგი თავდაპირველად უცნობი ბერძენი ბერის მიერ დაიწერა ძველ-ბერძნულ ენაზე და მისი ხელნაწერი დასავლეთში მოხვედრის შემდეგ გადაითარგმნა იტალიურ და სხვა ენებზე. ამასთან ამ ხელნაწერიდან ამოიშალა და არსებითად გადაკეთდა ზოგიერთი თავი და მთლიანად იგი ლათინურ ყაიდაზე გადამუშავდა.

იმავედროულად ბერძნული თარგმანი სწორედ ძველ ბერძნული ორიგინალის საფუძველზე შეასრულა ღირსმა ნიკოდიმ მთაწმიდელმა (როგორც თვითონ აღნიშნავს) მისი შინაარსისა და აღმოსავლური ასკეტიზმის სულის შენარჩუნებით. აქედან კი წმიდა თეოფანე დაყუდებულმა შეასრულა საყოველთაოდ ცნობილი რუსული თარგმანი.

კ ი თ ხ ვ ა : თანამედროვე კათოლიკეთა „სულიერ“ ცხოვრებას მართლმადიდებლობისაგან რა განმასხვავებელი თავი-

სებურებები ახასიათებს?

მ ი გ ე ბ ა : თანამედროვე კათოლიციზმში ფართოდ გავრცელებულია მედიტაციის სხვადასხვაგვარი მეთოდი. მათ შორის, აღმოსავლური წარმართობისაგან გადმოღებული „ქარიზმატული“ გამოცდილებანი – თანამედროვე ორმოცდაათიანელობა და ა.შ. ამ მეთოდებს ქრისტიანები სატანის ზეგავლენისაგან გამიჯვნისა და ღმერთთან მიახლოების ნაცვლად მიჰყავს დაცემულ სულებთან კონტაქტისა და მათდამი თაყვანისცემისაკენ.

კ ი თ ხ ვ ა : **ზემოთქმულის შესაბამისად რა უნდა ითქვას რომაულ-კათოლიციზმში ხსნისა და სულიერი ცხოვრების თაობაზე?**

მ ი გ ე ბ ა : კათოლიციზმში, რომელიც გვევლინება მაღლს სრულიადმოკლებულ ნეოწარმართულ რელიგიად, ღმერთთან შეერთებასა და ხსნაზე ლაპარაკი არ შეიძლება, რამდენადაც მათი თაყვანისცემა ეკუთვნის პაპსა და გამოგონილ ღმერთ-კერპებს, რომლებიც მხოლოდ იწოდებიან ყოვლადწმიდა სამებად და იესო ქრისტედ; ხოლო შემოთავაზებული „სულიერი“ ცხოვრება არის სრულიად ყალბი და როგორც ყოველ წარმართობაში, დაცემულ სულთაგან მორწმუნეთა დაცვისაკენ კი არ არის მიმართული, არამედ მათთან მჭიდრო კონტაქტსა, მათგან დამოკიდებულებასა და მათდამი სრული დამონებისაკენ.



თაზი V

მართლმადიდებელ და კათოლიკურ ეკლესიათა შეერთების თაობაზე

კითხვა: როგორც ცნობილია, გასული ათასწლეულის განმავლობაში მართლმადიდებელ და კათოლიკურ ეკლესიათა შეერთების არაერთი მცდელობა იყო. ეს საკითხი რა მეთოდებით წყდებოდა?

მიგება: ამ პრობლემის გადაწყვეტის ერთ-ერთი უმთავრესი მეთოდი უნიები იყო.

ქვეთაზი 1.

უნიები და უნიატობა.

კითხვა: რა არის უნია?

მიგება: უნია (ლათ. სიტყვიდან უნიო — ერთიანობა, კავშირი) — არის მართლმადიდებელი ეკლესიის ერთი ნაწილის ხელშეკრულებით განმტკიცებული „შეერთება“ კათოლიკურთან პაპის ხელისუფლების ქვეშ. უნიისათვის პაპის ძალაუფლების უპირობო აღიარება ვატიკანის მხრიდან ყოველთვის იყო უცილობელი მოთხოვნა. **მათთვის უნია იყო მართლმადიდებელთა მიერ კათოლიციზმის ძალადობრივი მიღების პოლიტიკური იარაღი, ხოლო უნიატობა — სრული კათოლიციზმისაკენ გარდამავალი ეტაპი.** მართლმადიდებელთა მიერ უნიები მიიღებოდა საერო ხელისუფლების მხრიდან ზეწოლის პირობებში; ხოლო ეს უკანასკნელნი კათოლიციზმსა და უნიატობაში საკუთარი მმართველობის დასაყრდენს ხედავდნენ.

კითხვა: როგორია ვატიკანთან გაერთიანებულ ეკლესიათა „უფლებრივი“ მდგომარეობა?

მიგება: ვატიკანთან გაერთიანებული ეკლესია კარგავს

თავის მართლმადიდებლობას და გადაიქცევა უნიატურად. ეს ეკლესიები, თავისი ნაციონალური ან ადგილობრივი ნიშნების მიხედვით შეიძლება იწოდებოდნენ ბერძნულ-კათოლიკურ (ბკე), უკრაინულ-ბერძნულ-კათოლიკურ (უბკე) და სხვა ეკლესიებად. ასეთი სამწყსოები ცოტა არ არის, თუმცა ზოგიერთი მათგანი მხოლოდ რამდენიმე ათასი კაცისაგან შედგება. უნიატური ეკლესიები მთლიანად ვატიკანის დაქვემდებარებაში არიან, რომელიც მათ ე.წ. „აღმოსავლეთის კათოლიკურ ეკლესიებს“ მიაკუთვნებს; მაგრამ მართლმადიდებლობა უნიატობის კანონიერებას არასოდეს ცნობდა; უნიატობას განიხილავდა ძველთაძველი მართლმადიდებელი რწმენისაგან ძალადობის ან მოტყუების გზით ჩამოშორებულად და მისწრაფოდა თავისი ეკლესიის წიაღში მის დასაბრუნებლად.

კ ი თ ხ ვ ა : უმეტესად რომელი უნიატობაა ცნობილი?

მ ი გ ე ბ ა : ყველაზე მეტად ცნობილია სამი უნია: ლიონისა (1274წ.), როგორც ისტორიაში პირველი; ფერარა-ფლორენციისა (1439წ.) და ბრესტის (1596წ.) – როგორც მართლმადიდებლობისათვის ყველაზე მეტი ზიანის მომტანები.

ბერძნებმა ლიონის უნია მიიღეს იმპერატორ მიქაელ VIII პალეოლოგის ზეწოლით, რომელმაც ლათინებს კონსტანტინოპოლი წაართვა და ბიზანტიის იმპერია აღადგინა. შემდგომში, ჯვაროსანთა მიერ კონსტანტინოპოლის აღებისა და მასში ლათინთა იმპერიის აღდგენისას, იმპერატორი ცდილობდა შეეპირებინა პაპი, მხარი დაეჭირა მისთვის და ამით თავისი ძალაუფლება განემტკიცებინა. მაგრამ ბერძენ სასულიერო პირთა დიდმა უმრავლესობამ და ხალხმა უნია არ მიიღო, მიუხედავად პალეოლოგის მხრიდან ბევრი დარწმუნებისა და ძალადობისა (გადასახლებები, საპყრობილები, თვალების დათხრა, ხელების მოკვეთა და სხ.). მისი სიკვდილის შემდეგ უნიამ არსებობა შეწყვიტა.

კ ი თ ხ ვ ა : რას წარმოადგენს ფერარა-ფლორენციის უნია?

მიგება: უნია მიმდინარეობდა ბერძენი იმპერატორის იოანე VI პალეოლოგის ინიციატივითა და ზეწოლით. ის იმედოვნებდა, რომ უნიის საშუალებით პაპის მხარდაჭერას მიიღებდა და დასავლეთის სახელმწიფოებიც დაეხმარებოდნენ თურქებთან ბრძოლაში, რომლებმაც ბიზანტიის იმპერია საბოლოოდ გაანადგურეს. კრებას, რომელიც დასაწყისში ფერარაში, ხოლო შემდეგ ფლორენციაში მიმდინარეობდა, ესწრებოდნენ პაპი კათოლიკეებთან ერთად და პალეოლოგი კონსტანტინოპოლის პატრიარქთან, რამდენიმე ბერძენ მიტროპოლიტთან და ეპისკოპოსთან ერთად, რომლებმაც, მათ შორის უმრავლესობამ ძალდატანებით, ხელი მოაწერეს უნიას, სადაც სარწმუნოების სიმბოლოში — მრწამსში შეტანილი იყო „ფილიოკვე“. ხელისმწერაზე უარი განაცხადა მხოლოდ წმიდა მარკოზმა — ეფესის მიტროპოლიტმა, რომელიც უნიის წინააღმდეგ ბრძოლას ჩაუდგა სათავეში. უნიას თავიდან ესწრებოდა საქართველოს ეკლესიის სამი წარმომადგენელი: მანგლისის მიტროპოლიტი გრიგოლი, თბილისის მიტროპოლიტი და ერთი ერისკაცი. თავიდან ქართველები ჩაებნენ კათოლიკეებთან პოლემიკაში, მაგრამ, როდესაც მიხვდნენ, რომ ლათინებისთვის მთავარ ამოცანას ჭეშმარიტების დადგენა კი არა, მართლმადიდებლების კათოლიციზმზე გადაბირება წარმოადგენდა და ამისთვის ისინი ყველა ხერხს მიმართავდნენ, მათ მიატოვეს კრება და სამშობლოში დაბრუნდნენ.

უნია, პრაქტიკულად, უკიდურესად ნელა მიიწვევდა წინ, რადგანაც ბერძენმა სასულიერო პირებმა და მრევლმა იგი უარყვეს. უნიას არც დასავლეთის დახმარება მოჰყოლია. ორჯერ, იერუსალიმისა (1443წ.) და კონსტანტინოპოლის (1450წ.) კრებებზე, აღმოსავლეთის — ალექსანდრიის, ანტიოქიისა და იერუსალიმის პატრიარქებმა ანათემას გადასცეს უნია და მისი მიმდევრები განკვეთეს. თურქთა მიერ კონსტანტინოპოლის მიტაცების (1453წ.) შემდეგ უნია შეწყდა. მიმდევართა მხოლოდ უმნიშვნელო რაოდენობა დარჩა; მაგრამ, რაც მთავარია, მან (უნი-

ამ) რომს საფუძველი მისცა უნიაში ძალდატანებით მოექცია ადრე ბიზანტიის კუთვნილ ტერიტორიაზე მცხოვრები მართლმადიდებლები და მოეხდინა მათი კათოლიზაცია.

კ ი თ ხ ვ ა : რა თავისებურებები ახასიათებს ბრესტის უნიას და როგორია მისი ბედ-იღბალი?

მ ი გ ე ბ ა : ბრესტის უნია რეჩ-პოსპოლიტაში შედგა კათოლიკე მეფის სიგიზმუნდ III ვაზეს დროს. 1595 წელს იეზუიტებმა მოახერხეს კიევის მიტროპოლიტ როგოზის დაყოლიება, საიდუმლოდ გაეგზავნა რომში ორი ეპისკოპოსი, რომლებმაც პაპთან ხელი მოაწერეს უნიის შესახებ აქტს (სადაც აღიარებული იყო პაპის მსოფლიო ძალაუფლება და „ფილიოკვე“). მიტროპოლიტ როგოზის აზრით, უნიას უნდა გაეუმჯობესებინა მართლმადიდებელთა მდგომარეობა, რომლებიც ხელისუფლებისა და კათოლიკეების მხრიდან განიცდიდნენ შევიწროვებას. მართლმადიდებლებმა ეს აქტი მუხანათობად ჩათვალეს და კრებაზე დაემეს.

მაგრამ სიგიზმუნდ III-მ უნიის მიღების აქტი დაამტკიცა. ამის შემდეგ მართლმადიდებლობა პოლონეთში კანონგარეშედ გამოცხადდა, რასაც მორწმუნეთა სასტიკი დევნა მოჰყვა. უნიატებს 700-ზე მეტი ტაძარი და 128 მართლმადიდებლური მონასტერი გადაეცა. ბელორუსიის, დასავლეთ და ცენტრალური უკრაინის ეპარქიები, კიევის ეპარქიის ჩათვლით, უნიას ძალდატენებით მიუერთეს.

დასავლეთის მიწების რუსეთისათვის დაბრუნების შემდეგ უნიატებმა მართლმადიდებლობაში დაბრუნება დაიწყეს. უნიატების ძირითადი მასა (1,5 მილ.) 1839 წელს, ხოლო დანარჩენი (50 ათ.) 1874 წელს, საბოლოოდ შეუერთდა მართლმადიდებლობას. უნიატობა შემორჩა მხოლოდ გალიციაში, რომელიც ავსტრიას შეუერთდა და ასევე კარპატების ზოგიერთ ნაწილში, რომელიც რუსეთის საზღვრებს მიღმა მდებარეობს.

კ ი თ ხ ვ ა : როგორი იყო უნიებისა და უნიატების მდგომარეობა XX საუკუნეში?

მ ი გ ე ბ ა : პირველი მსოფლიო ომის შემდეგ რუსეთისაგან ჩამოშორებული და პოლონეთისათვის გადაცემული უკრაინისა და ბელორუსიის დასავლეთ ოლქებში უნიატობა აღორძინდა. ხელისუფლება ტაძრებს მართლმადიდებლებს ისევ ძალით ართმევდა, ხოლო მღვდლებსა და ერისკაცებს, ვისაც უნიაში გადასვლა არ სურდა, სდევნიდნენ და ფიზიკურად უსწორდებოდნენ. საბოლოოდ კონფისკაციაქმნილი იქნა 718 ეკლესია.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ საბჭოთა კავშირისათვის დაბრუნებულ ოლქებში უნიატობა, საბჭოთა ხელისუფლებისაგან დევნის გამო, იატაკქვეშ გადავიდა, მაგრამ 1989 წელს ლეგალიზებულ იქნა უკრაინის კათოლიკური ეკლესიის (უკე) სახელით, რომელიც შემდეგ შეიცვალა უკრაინის ბერძნულ-კათოლიკურ ეკლესიად (უბკე). იმავე წელს, ხელისუფლების ქომაგობით, უნიატებმა დაიწყეს ტაძრების მიტაცება, სამღვდლოებისა და ერისკაცთა შეურაცხყოფა. განსაკუთრებით დაზარალდა ოდესლაც უმსხვილესი ღვთის ეპარქია, რომლისათვის მუდმივად მუდმივად სამრევლოსაგან ორმოცზე ნაკლები დარჩა.

მეტი მიმზიდველობისათვის მარცხენა ნაპირის უკრაინისა და რუსეთის უბკე — უკრაინის ბერძნულ-კათოლიკური ეკლესია იწოდება, როგორც ბკე — ბერძნულ-კათოლიკურ ეკლესია. ლიტურგია სლავურ ენაზე მიმდინარეობს. ამავდროულად მოქმედებს ლიტურგიის ლათინური და აღმოსავლური წესი.

კ ი თ ხ ვ ა : **რას ნიშნავს მსახურების „აღმოსავლური წესი“?**

მ ი გ ე ბ ა : მსახურების აღმოსავლური წესი იეზუიტების მიერ დამუშავებული მართლმადიდებელთა უნიასა და კათოლიციზმში მოქცევის წესია, სადაც მრევლის მისაზიდად სრულად არის შენარჩუნებული ღვთისმსახურების მართლმადიდებლური ფორმა, მღვდლის მართლმადიდებლური შესამოსლისა და ქცევის წესების ჩათვლით, მსახურებაში მართლმადიდებელ წმიდანთა მოხსენიებით და ა.შ. მრწამსიც კი იკითხება „ფი-

ლიოკვეს“ გარეშე. ერთადერთ პირობად ითვლება პაპის უზენაესი ძალაუფლებისადმი უსიტყვო მორჩილება. რუსეთში საბჭოების ხელისუფლების დამყარებისთანავე საჩქაროდ რეორგანიზებულ იქნა ვატიკანში არსებული აღმოსავლური წესის პროპაგანდის განყოფილება; ხოლო აღმოსავლური კონგრეგაცია, რომელშიც ეს განყოფილება შედიოდა, უშუალოდ პაპს დაექვემდებარა. იეზუიტებმა რომში დააარსეს მისიონერთა სასწავლებელი რუსეთისათვის — „რუსიკუმი“, რომელიც დღესაც მოქმედებს. აღმოსავლურმა წესმა II მსოფლიო ომამდე იარსება. აპრობაცია მან პოლონეთში გაიარა, მაგრამ საბჭოთა კავშირში ვერ დაინერგა. თუმცა ვატიკანის II კრებამ განაცხადა თავისი შეუვალი მისწრაფების შესახებ, რომ გააგრძელოს აღმოსავლური წესი და ახლა, უნიატობის აღორძინებასთან ერთად, მისი აღორძინებაც ხდება.

კ ი თ ხ ვ ა : ზემოთქმულიდან გამომდინარე, საერთოდ რა შეიძლება ითქვას უნიატობის თაობაზე?

მ ი გ ე ბ ა : უნიები და უნიატობა მართლმადიდებლების კათოლიციზმში მოქცევის ერთ-ერთ უმთავრეს მეთოდად გვევლინება. იგი ეფუძნება იძულებას, ძალდატანებას, მოტყუებას, იეზუიტურ მოწოდებას: „მიზანი ამართლებს საშუალებას“ და ემსახურება ვატიკანის უმთავრეს მიზანს — მართლმადიდებლობის დაშლადანგრევასა და შთანთქმას; ამისთვის იგი იყენებს საერო ხელისუფლების, კათოლიკე და პროკათოლიკურად განწყობილი „მართლმადიდებელი“ სამღვდელო იერარქიის ზეწოლას. ახლანდელ დროში პაპის ამ მისწრაფებათა მთავარი გამტარებელია — ეკუმენიზმი.

ქვეთავი 2 ეკუმენიზმი

კითხვა: რა არის ეკუმენიზმი?

მიგება: ეკუმენიზმი (ბერძნული სიტყვიდან — ოიკოუმენე — სამყარო) — არის სხვადასხვა კონფესიისა და დენომინაციის ქრისტიანების („ქრისტიანული ეკუმენიზმი“) ან ქრისტიანებისა და არაქრისტიანი მორწმუნეების („საერთო რელიგიური ეკუმენიზმი“) ურთიერთგაგების, დაახლოებისა და გაერთიანებისაკენ მიმართული მოძრაობა.

ეკუმენიზმი XIX საუკუნის ბოლოს პროტესტანტულ გარემოში წარმოიშვა. 1948 წელს დაარსებულ იქნა მისი ხელმძღვანელი ორგანო — ეკლესიათა მსოფლიო საბჭო (ემს), სადაც მრავალრიცხოვანი პროტესტანტული დენომინაცია და სექტა შევიდა. საბჭოთა ხელისუფლების ზეწოლით 1961 წლიდან მას შეუერთდა რუსეთის, საქართველოს, ხოლო შემდეგ სოციალისტური ბანაკის ქვეყნების სხვა ადგილობრივი მართლმადიდებელი ეკლესიები.

დასაწყისში ეკუმენიზმი ქრისტიანული იყო, ხოლო XX-ს. მეორე ნახევარში იგი გადაიქცა საერთო რელიგიურად, ანუ პანეკუმენიზმად. ვატიკანი ემს-ში ოფიციალურად არ შესულა, მაგრამ მისი სხვადასხვა ორგანიზაციის წევრია და ატარებს, როგორც ქრისტიანულ, ისე საერთო რელიგიურ (იხ. ზემოთ თავი III) დამოუკიდებელ ეკუმენისტურ პოლიტიკას.

კითხვა: რა არის ეკუმენიზმის ჭეშმარიტი მიზნები და ამოცანები?

მიგება: ეკლესიათა მსოფლიო საბჭოსა და ვატიკანის ჭეშმარიტი მიზნები და ამოცანები ერთი და იგივეა: **შეიქმნას მსოფლიო უნივერსალური წარმართული რელიგია და ანტიქრისტეს ეკლესია. მისი ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა მართლმადიდებლობის ერთიანობის დარღვევა და მოშლა; მისი მწვალებლო-**

ბასა და წარმართობაში განზავება-გათქვეფა და დამორჩილება. განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ ერთ შემთხვევაში ამისკენ მიისწრაფვის რაღაც საბჭო, ხოლო მეორე შემთხვევაში — პაპი.

კითხვა: როგორია ვატიკანის მხრიდან მართლმადიდებლობის მიმართ ეკუმენიზმის პოლიტიკა?

მიგება: ვატიკანის II კრების ხელდა გამოხატულია მის „დადგენილებაში ეკუმენიზმის შესახებ“. კათოლიკეები მართლმადიდებლებს თავიანთ „განაყოფ ძმებად“ თვლიან, ხოლო ეკუმენისტურ მოძრაობას — ღმერთის მოწოდების პასუხად — „რაფთა ყოველნი ერთ იყვნენ“ (იოვ. 17.21.) და სულიწმიდის მადლის მოქმედებად. ისინი არ უარყოფენ მართლმადიდებლობაში წმიდა საიდუმლოთა ქმედითობას, მღვდლობის მოციქულებრივ მემკვიდრეობითობას და ა.შ. მაგრამ თვლიან, რომ, ვინაიდან ღმერთის მოადგილედ დედამიწაზე პაპი გვევლინება, მართლმადიდებლებთან კათოლიკეთა შეერთება შეიძლება მოხდეს მხოლოდ კათოლიკურ წიაღში, „ვინაიდან მხოლოდ ქრისტეს კათოლიკური ეკლესიის მეშვეობით, რომელიც არის ხსნის საერთო იარაღი, არის შესაძლებელი ხსნის სრული სისავსით მიღება“.

კრება ყველა კათოლიკეს მოუწოდებს აქტიურად შეუწყოს ხელი ეკუმენიზმს, ეკლესიათა შორის დიალოგის საშუალებით, ერთობლივ ლოცვებში მონაწილეობით. კრება თვლის, რომ სასურველია საიდუმლოთა ერთობლივად აღსრულება და სიფრთხილეს გამოთქვამს „ურთიერთობისა და ერთიანობის აღდგენისა და დაცვისათვის“: „რაფთა არარაფ უმეტესი ტვრთი დავდვათ თქვენ ზედა, გარნა რომელნი-ესე სასწრაფო არიან“ (საქმე მოც. 15. 28) (ე.ი. პაპის ხელისუფლებისადმი უცილობელი მორჩილება). კრება დიდსულოვნად „აცხადებს, რომ აღმოსავლეთის ეკლესიებს უნდა ახსოვდეთ რა მთელი ეკლესიების ერთიანობის აუცილებლობა, მართვა-გამგეობა შეუძლიათ საკუთარი დებულებით, რაც შეეფარდება მათი მრევლის ხასი-

ათს და... მათი სულების კეთილდღეობას“. კრებისთვის „სასურველია აგრეთვე მოძღვრების სხვადასხვა საღვთისმეტყველო ხერხით გადმოცემა“.

კ ი თ ხ ვ ა : **ისმის კითხვა: პრინციპში შესაძლებელია თუ არა ის ერთიანობა ან ის ურთიერთობა მაინც მართლმადიდებელ და კათოლიკურ ეკლესიათა შორის, რომელიც პირველ ათასწლეულში არსებულთან თუნდაც რაღაცით მიახლოვებული იქნება?**

მ ი გ ე ბ ა : იმისათვის, რომ მსგავსი ერთობა შედგეს, დასაწყისში აუცილებელია მართლმადიდებლები და კათოლიკეები მივიდნენ ერთიან რწმენასთან; ე. ი. ვატიკანმა უარი თქვას მეორე ათასწლეულის თავის ახალშემოღებებზე: პირველ რიგში, იმ დოქტრინაზე, რომელშიც ლაპარაკია პაპის შეუცოდველ მეუფებაზე – როგორც ღმერთის ნაცვალისა დედამიწაზე, სულიწმიდის ძისაგან გამომავლობაზე (ფილიოკვე) და ნეოწარმართობაზე, რაც ვატიკანის II კრებაზე იქნა მიღებული;

კ ი თ ხ ვ ა : **მაგრამ შესაძლებელია კი, ვატიკანმა უარი თქვას თავის სიახლეებზე? ამით ხომ ლათინო-პაპისტები ფაქტობრივად მართლმადიდებლებად გადაიქცევიან?**

მ ი გ ე ბ ა : ეს სრულიად წარმოუდგენელია – ამას კათოლიკური ეკლესიის მთელი ისტორია მოწმობს. ასევე სრულიად შეუძლებელია მათი ახალშემოღებების აღიარება მართლმადიდებლობისაგან მისი დანგრევა-დაშლისა და წარმართულ პაპიზმად გადაქცევის გარეშე.

კ ი თ ხ ვ ა : **მაშასადამე, ერთიანობა, რის მიღწევასაც ეკუმენისტები ცდილობენ, პრინციპში შეუძლებელია? მაშ, მათ რისი იმედი აქვთ?**

მ ი გ ე ბ ა : ამ პრობლემის მართლმადიდებელთა მხრივ ღია საჯარო განხილვისას არ შეიძლება არავითარ ეკლესიათა ერთობის მიღწევა(როგორც ამას ეკლესიის წმიდა მამები ამბობენ). ასეთ შემთხვევაში ყოველგვარი დიალოგი დიდი ხნის შეწყვეტილი იქნებოდა, მაგრამ თუ დავეყრდნობით, ერთი მხრივ,

ეკუმენისტური მოლაპარაკებების კონფიდენციალურ ხასიათს და მრავალი მართლმადიდებლის გაუცნობიერებლობას თანამედროვე პაპიზმის ჭეშმარიტ არსში, ხოლო, მეორე მხრივ, მართლმადიდებლობისა და კათოლიციზმის ცრუ „რელიგიური სიანხლოვის“ პროპაგანდას; აგრეთვე სასულიერო სასწავლებლების მსმენელთა ეკუმენისტური პროგრამებით მომზადებას, პროკათოლიკურად განსწავლული და განწყობილი არამდგრადი მართლმადიდებელი სამღვდელოებისა და ერისკაცთა ფართო ფენის ფორმირებას, შეიძლება ვივარაუდოთ მართლმადიდებელ და კათოლიკურ ეკლესიათა პოზიციების „დაახლოების“ შესაძლებლობა.

კ ი თ ხ ვ ა : მაგრამ იმის მტკიცება ხომ არ შეიძლება, რომ ეკუმენიზმის მომხრენი ახორციელებენ მსგავს ღეზინფორმაციულ პოლიტიკას?

მ ი გ ე ბ ა : არსებობს მისი პრაქტიკული განხორციელების მცდელობათა საფუძვლიანი დადასტურება. ეს არის პირველყოვლისა, „მართლმადიდებელ“ ღვთისმეტყველ-ეკუმენისტთა ოცდაათწლიანი მიჩუმათება-წყაყრუება ვატიკანის II კრების უმთავრესი დოქტრინისა, რომელმაც პაპიზმი ნეოწარმართობად გადააქცია და, მეორე მხრივ, „ბალამანდის შეთანხმება“ კათოლიკურ და მართლმადიდებელ ეკლესიათა შორის. რა თქმა უნდა, იმის მტკიცება არ შეიძლება, რომ ეკუმენისტთა მოქმედება შეგნებულად იყო მიმართული მართლმადიდებელი ეკლესიის დასანგრევად; ამ ეკლესიათა ნაწილი, საყოველთაო „სულიერი“ ძმობისა და ერთობის ეკუმენისტური კონცეფციით მონიბლული, თვითონ იყო ცდომილებაში ჩავარდნილი.

ქვეთავი 3

ბალამანდის შეთანხმება

კ ი თ ხ ვ ა : როგორ წარმოიშვა ბალამანდის შეთანხმება?

მ ი გ ე ბ ა : იმ მიზნით, რომ მომხდარიყო კათოლიკურ და

მართლმადიდებელ ეკლესიათა შორის ეკუმენისტური დაახლოება „ჭეშმარიტებისა და სიყვარულის სულისკვეთებით“, საღვთისმეტყველო დიალოგისათვის შეიქმნა შერეული საერთაშორისო კომისია, მაგრამ აღმოსავლეთისაკენ ვატიკანის ექსპანსიის გამო მისი საქმიანობა შეჩერებულ იქნა. ექსპანსია ხდებოდა ძირითადად უნიატობის საშუალებით, რასაც მართლმადიდებელთა პროტესტები მოჰყვა. კომისიამ პროტესტების შემცირებისა და დიალოგის განახლების მიზნით 1993 წელს ქ. ბალამანდში (ლიბანი) შეთანხმება მოაწყო, რომელმაც ბალამანდის უნიის სახელწოდება მიიღო. ეს შეთანხმება ეკუმენიზმის მთელი არსის ცხადი ანარეკლია. მას ხელი მოაწერეს კათოლიკეებმა და 13-მა ოფიციალურმა წარმომადგენელმა ცხრა ადგილობრივი მართლმადიდებელი ეკლესიიდან, რომელთა შორის იყვნენ მიტროპოლიტები, ეპისკოპოსები და პროფესორები, მათ შორის, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენელიც (თუმცა კი შემდგომში საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიის წმიდა სინოდმა 1997 წელს იგი უარყო და დაგმო. შემდგენლის შენიშვნა). კათოლიკურ და მართლმადიდებელ ეკლესიათა შორის საღვთისმეტყველო დიალოგის საერთაშორისო შერეულმა კომისიამ დოკუმენტი გამოსცა და გამოაქვეყნა ჰაპის ქრისტიანული ერთიანობის საბჭომ (იხ. პ. 28.) და კონსტანტინოპოლის პატრიარქმა.

კ ი თ ხ ვ ა : რას წარმოადგენს „ბალამანდის შეთანხმება“

მ ი გ ე ბ ა : დოკუმენტი ატარებს სახელწოდებას „უნიატობა — გაერთიანების მოძველებული მეთოდი და ამჟამად სრული ერთიანობის ძიება“. ეს შეთანხმება გმობს უნიატობას, როგორც კათოლიკურ და მართლმადიდებელ ეკლესიათა შორის კონფლიქტის წყაროს; აყენებს ახალ, ეკუმენისტურ ღვთისმეტყველურ პრინციპებს და სრული თანხმობის მისაღწევ პრაქტიკულ მეთოდებს (ბალამანდის შეთანხმების ზოგიერთი პუნქტები მოტანილია წინამდებარე ნაშრომის დანართში).

კ ი თ ხ ვ ა : რას წარმოადგენს ეკუმენისტური თანამშრომ-

ლობა, რომელსაც „ბალამანდის უნია“ გვთავაზობს?

მ ი გ ე ბ ა : ბალამანდის უნია:

– აღიარებს უნიატურ ეკლესიებს „აღმოსავლეთის კათოლიკურ ეკლესიებად“ (პ.პ. 3,8,16,23,24), „როგორც კათოლიკური თემის ნაწილს (პ.3), რომლებმაც ვატიკანის II კრების დებულებებით (პ.16) უნდა იხელმძღვანელონ და ეკუმენისტური დიალოგის წარმართვის საქმეში თანასწორუფლებიანი იყვნენ;

– წინადადებას იძლევა დავიწყებულ იქნას „მართლმადიდებელ ეკლესიასა და აღმოსავლეთის კათოლიკურ ეკლესიებს შორის ურთიერთობათა“ ისტორია (პ. 23), და გმობს მართლმადიდებელთა მცდელობას დააბრუნოს კათოლიკეები მამათა ეკლესიის წიაღში;

– მართლმადიდებელ და კათოლიკურ ეკლესიებს განიხილავს, როგორც „ეკლესია-დებს“ (პ.პ. 12,14,27);

– თვლის, რომ მართლმადიდებლობა და კათოლიციზმი თანაბრად მიუძღვის ხსნისაკენ. ამტკიცებს მართლმადიდებლობისა და კათოლიციზმის მხსნელი მოქმედებების თანასწორობასა და წმიდა საიდუმლოთა ჭეშმარიტებას (პ.პ. 10,13,28,30);

– მოუწოდებს გაითვალისწინონ „მორწმუნეთა რელიგიური თავისუფლება“, რომლებსაც საშუალება უნდა ჰქონდეთ თავისუფლად გამოთქვან საკუთარი აზრი, როცა მათ ამის შესახებ ეკითხებიან“ (პ. 24);

– დაჟინებით სთავაზობს მორწმუნეებს „დახმარება აღმოუჩინონ სხვა ეკლესიებს ღვთისმსახურებაში, ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე თავიანთი საკუთარი ეკლესია მათ დაუთმონ, რაც ორივე მხარეს მისცემს საშუალებას ღვთისმსახურება შეასრულონ რიგრიგობით, სხვადასხვა დროს, ერთსა და იმავე შენობაში (პ.28);

– კათოლიკეებს სთავაზობს შექმნან „ახალი სტრუქტურები რეგიონებში, რომლებიც ტრადიციულად მიეკუთვნება მართლმადიდებელთა იურისდიქციას“ ადგილობრივ ეკლესიათა

ეპისკოპოსებთან მოთათბირების შემდეგ (პ. 29);

– დაჟინებით მოითხოვს და აუცილებლობად მიიჩნევს „განსაკუთრებული ყურადღებით მოექცნენ მომავალ მღვდელთა მომზადებას, რომელთა განათლება უნდა იყოს „ობიექტური“ და კეთილგანწყობილი სხვა ეკლესიებთან მიმართებაში“. იქადაგონ მათი „საკრამენტალური ცხოვრების (წმიდა საიდუმლოთა) ჭეშმარიტება, „მოუთხრონ ისტორია, რომელიც მისაღები იქნება ორივე ეკლესიისათვის“ (პ. 30);

– აცხადებს, რომ „სიყვარულის დიალოგის მიზანია მოიპოვოს სრული ერთობა, რომელიც არსებობდა ჩვენს ეკლესიებში ათას წელზე მეტი ხნის განმავლობაში (პ. 20);

– თვლის, რომ შემოთავაზებული პრინციპები და მეთოდები მომავალში გამორიცხავენ „ყოველგვარ პროზელიტიზმსა და კათოლიკეთა ყოველგვარ ექსპანსიას მართლმადიდებელი ეკლესიის საზიანოდ“ და თავიდან აიცილებს შემდგომი ეკუმენისტური დიალოგისათვის წინააღმდეგობას;

კ ი თ ხ ვ ა : რას ნიშნავს უნიატური ეკლესიების „აღმოსავლეთის კათოლიკურ ეკლესიებად“ აღიარება, როგორც „კათოლიკური თემის ნაწილისა“, რომლებმაც ვატიკანის II კრების დებულებებით უნდა იხელმძღვანელონ და აგრეთვე დოკუმენტის მიერ „აღმოსავლეთის კათოლიკეების მამათა ეკლესიის წიაღში დაბრუნების მცდელობის“ დაგმობა?

მ ი გ ე ბ ა : ბალამანდის შეთანხმება ოფიციალურად აღიარებს უნიატებს კათოლიკეებად, მართლმადიდებლებისაგან მათი სამუდამო გამიჯვნის კანონიერებას და შემდგომშიც აბრკოლებს მართლმადიდებლობაში მათს დაბრუნებას.

კ ი თ ხ ვ ა : უკანასკნელი ათასწლეულის განმავლობაში კათოლიციზმმა საკუთარ სარწმუნოებაში მრავალი დოგმატი და სწავლება შეიტანა, როგორცაა: პაპის, როგორც დედამიწაზე ქრისტეს ნაცვალის მსოფლიო მეთაურობის შესახებ, „ფილიოკვე“, წმიდა საიდუმლოთა სრულყოფილების შესახებ და ა.შ. ამ ცვლილებებმა იგი მწვალებლობად

აქციეს, ხოლო ვატიკანის II კრებაზე ფუძემდებლურ ჭეშმარიტებათა უკუგდების შემდეგ (იხ. თავი. III, ქვეთ. 6 და 7) ის ანტიქრისტიანულ ნეოწარმართულ რელიგიად გადაიქცა. ამ ყველაფერის შემდეგ, შეიძლება თუ არა, მართლმადიდებელი და კათოლიკური ეკლესიები მოვიხსენიოთ „ეკლესია-დებად“ და ამავდროულად დავრჩეთ მართლმადიდებელ ქრისტიანებად?

მი გ ე ბ ა : რომაელმა კათოლიკეებმა დააკანონეს ახალი, ცრუ დოგმატები, დაგმეს წმიდა სამება როგორც ერთი ღმერთი, საღვთო სჯულის პირველი მცნება; იესო ქრისტე, როგორც ერთადერთი მაცხოვარი და კაცობრიობის მსაჯული; ქრისტეს ეკლესიის ჭეშმარიტება და ა.შ. (იხ. თავი III, ქვეთ. 6 და 7); ამ ყველაფერის შემდეგ, ცხადია, ჩვენ მათ ვერ ჩავთვლით „ძმებად სარწმუნოებაში“; ასე რომ, ეკუმენისტების მიერ გამოგონილი ცნება — „ეკლესია-დები“, აბსოლუტური სიყალბეა, დამყარებული ეკუმენისტების სულიერ და რელიგიურ უმეცრებაზე და მათ მგზნებარე სურვილზე „შეაერთონ“ მართლმადიდებლობა და კათოლიციზმი.

კ ი თ ხ ვ ა : რა შეიძლება ითქვას დოკუმენტის მტკიცებაზე წმიდა საიდუმლოთა მხსნელი მოქმედებებისა და ხსნის შესახებ მართლმადიდებლობასა და კათოლიციზმში?

მი გ ე ბ ა : ამ მტკიცებასაც არაფერი აქვს სიმართლესთან საერთო. ამას მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა მამათა მრავალრიცხოვანი გამონათქვამები ადასტურებს: რადგანაც მართლმადიდებლობისაგან მოწყვეტის შემდეგ კათოლიციზმმა დაკარგა ღვთის მადლი, მით უმეტეს ვატიკანის II კრების შემდეგ მის საიდუმლოთ არა აქვს არავითარი მადლი, ხოლო ხსნის ნაცვლად მას, როგორც ყველა წარმართობას, ადამიანი მიჰყავს ღმერთ-კერპების თავყვანისცემამდე და ამ კერპების უკან მღვთმშაველ ძალასთან შეერთებამდე.

კ ი თ ხ ვ ა : რა შეიძლება ითქვას იმ მოწოდებაზე, რომ მხარეებმა საკუთარი ტაძრები მღვდელმსახურებისათვის სხვა

რჯულის ხალხს დაუთმონ?

მიგება: ეს უპრეცედენტო წინადადებაა, რადგან სჯულის კანონის თანახმად კათოლიკე-წარმართთა ყოველი მღვდელმსახურების შემდეგ მართლმადიდებლებს ხელახლა მოუწევთ ტაძრის კურთხევა; გარდა ამისა, წააქეზებს უნიატებს, ყოველთვის მოითხოვონ თავიანთი მსახურების ჩატარება მართლმადიდებლურ ტაძრებში.

კითხვა: **რას ნიშნავს წინადადება — კათოლიკეებმა შექმნან „ახალი სტრუქტურები იმ რაიონებში, რომლებიც ტრადიციულად მიეკუთვნება მართლმადიდებელი ეკლესიის იურისდიქციას“ მხოლოდ მართლმადიდებელ მხარესთან მოთაბირების და არა შეთანხმების ან დასტურის შემთხვევაში?**

მიგება: დოკუმენტი კი არ კიცხავს, არამედ გულისხმობს და აკანონებს აღმოსავლეთისაკენ ვატიკანის წაწევას იქ ახალი სტრუქტურების შექმნის გზით.

კითხვა: **როგორ შევაფასოთ დოკუმენტის პოზიცია ისეთი „მომავალი მღვდლების“ მომზადების საქმეში, რომლებიც ერთდროულად იქნებიან „ობიექტურნიც“ და „კეთილად განწყობილნიც“ კათოლიკური ეკლესიის მიმართ; იქადაგებენ მის საიდუმლოთა ჭეშმარიტებას და ასწავლიან ისეთ ისტორიას, რომელიც ორივე მხარის ისტორიოგრაფიისათვის შეთანხმებული და საერთოც კი იქნება?**

მიგება: აქ საუბარია ისეთ მართლმადიდებელ მღვდელ-ეკუმენისტთა მომზადებაზე, რომელთათვისაც მართლმადიდებელი და კათოლიკური ეკლესიების — „ეკლესია-დების“ სახით გათანაბრება თავისთავად იქნება ნაგულისხმევი, უნდა დაინერგოს პროკათოლიკურ-ეკუმენისტური სული მღვდლების განსწავლისა და აღზრდის საქმეში, ე.ი. მათ მრევლს თავზე უნდა მოახვიონ აბსოლუტურად მცდარი ცნებები.

კითხვა: **რამდენად რეალურია დასახული მიზანი „სიყვარულის დიალოგი“ — „სრული ერთობის მოპოვება“, რომელიც „ჩვენს ეკლესიებს შორის არსებობდა ათას წელზე მეტი**

ხნის განმავლობაში“ და „სრული ერთიანობის აღდგენა?

მ ი გ ე ბ ა : როგორც ზემოთ აღვნიშნეთ (იხ. თავი V ქვე-
თავი 2 „ეკუმენიზმი“) ეს მიზანი მიღწეული იქნება მხოლოდ
მართლმადიდებელი ეკლესიის სრული რღვევისა და ვატიკა-
ნის მიერ მისი შთანთქმისა და განადგურების შემთხვევაში, რაც
გამორიცხვულია, რადგან მაცხოვრის სიტყვების თანახმად მის
მიერ დაარსებულ ეკლესიას „ბჭენი ჯოჯოხეთისანიც“ კი ვერ
მოერევიან და იგი მის მეორედ მოსვლამდე, ანუ სოფლის და-
სასრულამდე იარსებებს.

კ ი თ ხ ვ ა : „ბალამანდის შეთანხმებამ“ შეამცირა თუ არა ვატიკანის აღმოსავლეთისაკენ ექსპანსია?

მ ი გ ე ბ ა : არა, პირიქით, „ბალამანდის შეთანხმებამ“ კა-
თოლიკეთა მხრიდან ახალი ძალადობა გამოიწვია. მასზე დაყ-
რდნობით დასავლეთ უკრაინის უნიატები მართლმადიდებელ-
თაგან მოითხოვენ ტაძრებში შეშვებას, ხოლო შემდეგ ხელი-
სუფლების მხარდაჭერით ხდება ამ ტაძრების ძალით მიტაცე-
ბა და იქიდან მართლმადიდებელი თემის გამოდევნა იმ ადგი-
ლებშიც კი, სადაც მართლმადიდებლები დიდ უმრავლესობას
წარმოადგენენ, ხოლო უნიატები ერთეულები არიან.

„მართლმადიდებელი“ ეკუმენისტების მხარდაჭერით ვატი-
კანმა საგრძნობლად გააფართოვა რუსეთში თავისი ოფიციალუ-
რი სტრუქტურები. ასევე მოხდა საქართველოშიც, სადაც პა-
პის ვიზიტის შემდეგ დაარსდა ახალი ეპარქია, რომელსაც კა-
თოლიკე ეპისკოპოსი უდგას სათავეში და, რომელიც ეწევა გა-
მალებულ ქადაგებას მართლმადიდებლების კათოლიციზმზე მო-
საქცევად.

კ ი თ ხ ვ ა : ზემოთქმულიდან გამომდინარე საერთოდ რა შეიძლება ითქვას ამ დოკუმენტ-უნიის შესახებ?

მ ი გ ე ბ ა : ამ დოკუმენტს (გაფართოვებული სახით) რე-
ალიზაციაში მოჰყავს ეკუმენიზმის საკითხში ვატიკანის II კრე-
ბის გადაწყვეტილებები. **ის არ მოიხსენიებს კათოლი-
კურ ახალ შემოღებებს**, რაც მეორე ათასწლეულის გან-

მავლობაში აქვს მიღებული და, რამაც იგი გადააქცია ანტიქრისტიანულ ნეოწარმართულ რელიგიად; თავის საფუძველში შეიცავს მართლმადიდებელი და კათოლიკური ეკლესიების შესახებ სრულიად ყალბ — „ეკლესია-დების“ წარმოდგენას; აიგივებს მართლმადიდებლობას კათოლიციზმთან; ეყრდნობა კათოლიციზმში „ხსნისა“ და „მაღლიანობის“ შესახებ ცრუ წარმოდგენას, **მიზნად ისახავს მართლმადიდებელი და კათოლიკური ეკლესიების ხელახლა შეერთებასა და ერთიანობას, რაც მიიღწევა მხოლოდ მართლმადიდებლობის ნეოწარმართულ პაპიზმად გადაქცევით და ვატიკანისათვის მისი დაქვემდებარებით; წინადადებას იძლევა მღვდელმსახურთა მომზადება ეკუმენისტურ-პროკათოლიკური ფალსიფიცირებული პროგრამებით ხდებოდეს, აკანონებს არსებულ უნიატობასა და უნიატურ ეკლესიებს და ვატიკანის ექსპანსიას აღმოსავლეთით.**

კ ი თ ხ ვ ა : რა არის შეთანხმება-უნიისა და საერთაშორისო შერეული კომისიის ღვთისმეტყველური დიალოგის ჭეშმარიტი მიზნები?

მ ი გ ე ბ ა : ეს მიზნები ემსახურება აშკარა სიცრუესა და კათოლიციზმის მხარდაჭერას. მიღებული შეთანხმება-უნიისა და ეკუმენისტური ღვთისმეტყველური დიალოგის ნამდვილი მიზნები ისეთივეა, როგორიც ყველა უნიისა და მთლიანად ეკუმენიზმისა: **მართლმადიდებელი ეკლესიის განადგურება და ვატიკანის მიერ მისი შთანთქმა.** მაგრამ თუ წინანდელი უნიები გათვლილი იყო მართლმადიდებელთა ძალადობრივ კათოლიზაციაზე, ახლანდელი, ისევე, როგორც მთლიანად ეკუმენიზმი, **მიმართულია უმთავრესად მართლმადიდებლობის შიგნიდან გახრწნა-დაშლაზე, ეკუმენისტურ-პროკათოლიკურად მომზადებულ მღვდელმსახურთა, კატენიზატორთა და ერისკაცთა ფართო მა-**

სების მომზადების გზით; თანამედროვე კათოლიციზმისა და ეკუმენიზმის ჭეშმარიტი არსის შეფარვისა და სიყალბის საფუძველზე.

კ ი თ ხ ვ ა : როგორია სხვა ადგილობრივი მართლმადიდებელი ეკლესიების ვატიკანთან დამოკიდებულება ეკუმენისტური კონტაქტების საკითხში?

მ ი გ ე ბ ა : თუ ცოტა ხნის წინათ რუსული მართლმადიდებელი ეკლესია აქტიურად უჭერდა მხარს ეკუმენიზმს, ახლა უკვე მღვდელმთავართა დიდმა უმრავლესობამ შეიგნო კათოლიციზმისა და ეკუმენიზმის არსი და მიზნები და გამოვიდა ვატიკანთან ყოველგვარი ეკუმენისტური კონტაქტების შეწყვეტის მოთხოვნით. ვატიკანის ეკუმენისტურ პოლიტიკაზე ოფიციალურად უარი თქვეს იერუსალიმის (1987წ.), საქართველოს (1997წ.) და ბულგარეთის (1998წ.) მართლმადიდებელმა ეკლესიებმა; მთელი რიგი ადგილობრივი ეკლესიები განიხილავენ თავიანთი ეკუმენისტური საქმიანობის შეწყვეტის საკითხს.

რომის პაპს საქართველოში ჩამოსვლის დროს (2000წ.) მიზნად ჰქონდა დასახული რიყეზე საჯარო მესის აღსრულება (ეს ის ადგილია, სადაც ჯალალედინმა აწამა 100 000 ქართველი, დაწვეს წმიდა აბო თბილელის ნეშტი და იქვე, ახლოს მდებარე მეტეხის ტაძარში განისვენებს შუშანიკის წმიდა ნაწილები). უწმიდესისა და უნეტარესის, კათოლიკოს პატრიარქის, ილია II-ის უშუალო ძალისხმევით ზემოხსენებული მესა აღკვეთილ იქნა და პაპს მსახურების ჩასატარებლად მხოლოდ სპორტის სასახლე დაუთმეს. ამასთან საპატრიარქოს პრესცენტრმა გააკეთა განცხადება, რომ რომის პაპი მწვალებელია და მის მსახურებაზე მართლმადიდებელთა დასწრება აკრძალულია. მომდევნო დღეს კი მას აუკრძალეს სვეტიცხოვლის ტაძრის საკურთხეველში შესვლა.

დასკვნა

კითხვა: მონათხრობის შესაჯამებლად, საერთოდ, რა უნდა ითქვას რომაული კათოლიციზმის თაობაზე?

მიგება: კათოლიციზმმა თავის საფუძვლად აიღო დოქტრინა პაპის მსოფლიო ბატონობის შესახებ, როგორც დედამიწაზე ღმერთის ნაცვალისა; ქრისტიანობაში სიახლეების შემოღების გზით წავიდა, რაც ღვთის გამოცხადებულ ჭეშმარიტებას ეწინააღმდეგება; ამან კი მიიყვანა ვატიკანის II კრებაზე ახალი დოგმატური სწავლების მიღებამდე, რაც გამოხატავს ვატიკანის პანეკუმენისტურ პოლიტიკას. **კათოლიციზმმა დაგმო და სიდრმისეულად დაამახინჯა ქრისტიანობის ფუძემდებლურ ჭეშმარიტებათა დიდი უმრავლესობა:** სწავლება ყოვლადწმიდა სამებაზე, საღვთო სჯულის პირველ მცნებაზე; ღვთის მადლით ადამიანის ცხოვნებაზე, განხორციელებული ძის მისიაზე და სხვა (იხ. ზემოთ III თავის 6 და 7 ქვეთავები).

ახლანდელი პაპიზმი — ეს არის ანტიქრისტიანული ნეოწარმართული რელიგია, რომელშიც ეთაყვანებიან პაპსა და კათოლიკეთა გამოწვდომულ ღმერთ-კერპებს.

ქრისტიანული ფრაზეოლოგიის საფარქვეშ პაპიზმი მალულ ბრძოლას აწარმოებს ღმერთის — ყოვლადწმიდა სამების წინააღმდეგ; პაპიზმის მიზანია მსოფლიო უნივერსალური რელიგიის შექმნა, რომლის სათავეში პაპი იქნება, ხოლო მთავარი ამოცანა — მართლმადიდებლობის შიგნიდან დაშლა და შთანთქმა, როგორც პაპის „სულიერი ბატონობის დამყარების გზაზე ძირითადი დაბრკოლებისა“.

კითხვა: რას ამბობენ მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა მამები კათოლიციზმის შესახებ?

მიგება: ჯერ კიდევ ვატიკანის II კრებამდე მართლმა-

დიდებელ წმიდა მამათა მიერ სულიწმიდის ზემოქმედებით გამოთქმული აზრები ასახავენ კათოლიციზმის ჭეშმარიტ არსს და მას ერთსულოვნად ახასიათებენ, როგორც **ყალბ, ანტიქრისტიანულ, ერეტიკულ, მადლის სრულიად არმქონე სარწმუნოებას, რომელიც მართლმადიდებლობასთან შეუთავსებელია.**

კითხვა: კათოლიციზმს ცხონებისაკენ მიჰყავს თუ არა მრევლი?

მიგება: რომაულ კათოლიციზმში, რომელიც ვატიკანის II კრების შემდეგ გვევლინება უმადლო ნეოწარმართულ რელიგიად, ღმერთთან არავითარ ერთობასა და ცხონებაზე ლაპარაკი არ შეიძლება, ვინაიდან კათოლიკეები ეთაყვანებიან პაპს და გამოგონილ ღმერთ-კერპებს, რაც მხოლოდ სახელდებულია ყოვლადწმიდა სამებად და ქრისტედ, ხოლო, როგორც ყველა წარმართულ რელიგიაში „სულიერი ცხოვრება აქაც მიმართულია დაცემულ სულებთან მჭიდრო კონტაქტების დამყარებისაკენ, მათდამი დაქვემდებარებასა და დამონებისაკენ.“

კითხვა: რა შეიძლება ითქვას მართლმადიდებელი და კათოლიკური ეკლესიების „ხელახლა“ შეერთების მცდელობაზე?

მიგება: ხელახლა შეერთების ერთ-ერთ მთავარ მეთოდად ითვლება უნიები და უნიატობა — მართლმადიდებელთა კათოლიციზმში მოქცევა იძულების, ძალდატანებისა და მოტყუების გზით, რასაც კათოლიკეები საერო ხელისუფლებასთან ერთად ატარებენ. უნიატური ეკლესიები და უნიატები კარგავენ თავიანთ მართლმადიდებლობას და გადაიქცევიან ბერძნულ-კათოლიკურ ეკლესიებად (ბკე), მთლიანად ვატიკანისაგან დამოკიდებულ და მის გამგებლობაში მყოფ „აღმოსავლეთის კათოლიკურ ეკლესიებად“. ამჟამად „შეერთების“ პოლიტიკაში მთავარი ადგილი ეკუმენიზმს უჭირავს.

კითხვა: რა უნდა ითქვას ეკუმენიზმისა და ვატიკანთან ეკუმენისტური კონტაქტების შესახებ?

მიგება: ეკუმენიზმისა და ვატიკანის მთავარი ჭეშმარიტი მიზნები ერთმანეთს ემთხვევა: უნივერსალური რელიგიის აგება, რაც ანტიქრისტეს რელიგიისა და ეკლესიის საფუძველს შექმნის (ვატიკანისათვის — პაპის მეთაურობით); მართლმადიდებლობის, როგორც ანტიქრისტეს გზაზე ძირითადი დაბრკოლებისა ნგრევა და შთანთქმა; სინამდვილეში ამავე მიზნებს ემსახურება ეკუმენისტური კონტაქტები (რაც მჭევრმეტყველურად გაცხადებულია „ბალამანდის უნიაში“); ისინი აგებულია აბსოლუტურად ყალბ ცნებებზე „ეკლესია-დებისა“ და ლათინო-პაპისტურ საკრებულოში მაცხონებელი მადლის „ქმედითობაზე“, თანამედროვე კათოლიციზმის ჭეშმარიტი არსის მართლმადიდებელთაგან დაფარვასა და სრულიად ყალბი სახით წარმოჩენაზე. ყველაფერი გათვლილია მართლმადიდებლობის შიგნიდან გახრწნაზე, რაც სამღვდელოებისა და ერისკაცთა პროკათოლიკურ-ეკუმენისტურად აღზრდით მიიღწევა და კათოლიკური და მართლმადიდებელი ეკლესიების გაერთიანების საფარქვეშ მიმდინარეობს.

კითხვა: ჩვენ როგორ უნდა მოვეპყრათ კათოლიკეებს?

მიგება: თანაგრძნობითა და გულშემატკივრობით ვილოცოთ მათთვის, როგორც ქრისტიანული სარწმუნოებიდან მოწყვეტილ კერპთაყვანისმცემელთათვის — პაპიზმის მსხვერპლთათვის და, თუ ღვთის ნება იქნება, ვეცადოთ განვეუმარტოთ მათ ცდომილება „სულითა მით მშვიდობისაჲთა; ეკრძალე თავსა შენსა, ნუუკუე შენცა განიცადო“ (გალ. 6.1). არ დავიწყოთ მათთან უნაყოფო დავა და გვახსოვდეს წმიდა მოციქულის დარიგება: „სიბრძნით იქცეოდეთ გარეშეთა მათ მიმართ“ (კოლ. 4.5). ჩვენ ლათინებს უნდა დავეხმაროთ, რათა დაუბრუნდნენ ჭეშმარიტ სარწმუნოებას.

კ ი თ ხ ვ ა : მართლმადიდებელი ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლაში კათოლიკეთა მზაკვრული მეთოდებიდან კიდევ რომელია ყურადღება მისაქცევი?

მ ი გ ე ბ ა : ადრე კათოლიკეებს აინტერესებდათ საკუთარ იურისდიქციაში ყველა ქრისტიანის და საერთოდ, მთელი მსოფლიოს მოქცევა. ასევე უნდოდათ პოლიტიკური ლიდერობაც, რასაც უკვე თითქმის მიაღწიეს. ახლა მათ სჭირდებათ ხალხის სულიერი დაქვემდებარება: რა სწავლების მატარებლებიც თვითონ არიან, ასეთებად უნდათ იხილონ ყველა დანარჩენი, ვის იურისდიქციაშიც არ უნდა იმყოფებოდნენ ისინი. კათოლიკეები ცდილობენ სხვა კონფესიებშიც, მათ შორის, მართლმადიდებლობაშიც, შეიტანონ პაპის უცდომელობის მსგავსი სწავლება (რომ თითქოს არ შეიძლება ცდებოდნენ ეპისკოპოსები და პატრიარქები); მათ უნდათ მართლმადიდებლობაშიც შემოიტანონ სწავლება, რომ თითქოს არ არსებობს ეკლესიის ხელშეუხებელი, უცვალებელი ჭეშმარიტება და თითქოს ადამიანის შეხედულებებისა და სურვილებისამებრ შეიძლებოდეს ეკლესიის ჭეშმარიტი სწავლების შეცვლა, რითაც მიიღწევა ეკლესიის საძირკვლის შერყევა.

კ ი თ ხ ვ ა : შეიძლება თუ არა მართლმადიდებელი დადიოდეს კათოლიკურ ეკლესიაში სალოცავად, ეზიაროს კათოლიკურ საიდუმლოებათ ან მონაწილეობა მიიღოს ტაძრის გარეთ ლოცვებში?

მ ი გ ე ბ ა : არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება: „თუ ეპისკოპოსი, მღვდელი ან დიაკონი მწვალებელთან ერთად ილოცებს, აეკრძალოს მღვდლობა. თუ ნებას მისცემს მათ (ერეტიკოსებს), რომ შეასრულონ რაიმე სამღვდლო წესი, როგორც მღვდელმა, განიკვეთოს. თუ ეპისკოპოსმა ან მღვდელმა მიიღოს ერეტიკოსის მონათვლა ნათლისღებად, ან მის მიერ შეწირული მსხვერპლი, მის განკვეთას ვბრძანებთ, რადგან რა აქვს ქრისტეს საერთო ბელიართან (სატანასთან)? ან რა აქვს საერთო მორწმუნეს ურწმუნოსთან?“ (მღრ. 2 კორინთ. 6. 15). დიდი

სჯულისკანონი. 1987წ. მოციქულთა კანონები, 45-46).

„თუ ვინმე ილოცებს უზიარებელთან ერთად, თუნდაც სახლში, ისიც უზიარებელი უნდა გახდეს“ (წმიდა მოციქულთა კანონები, 10).

კ ი თ ხ ვ ა : ჩვენი თვალთ ვუყურებთ სრულიად ქრისტიანული სამყაროსათვის და მთელი კაცობრიობისათვის ტრაგიკული დაცემის საშინელ სურათს, პაპიზმის მხრიდან ღმერთის მიმართ ჩადენილ მუხანათობას, რამაც უფსკრულში ჩაიყოლია ასეული მილიონი კათოლიკე; რა უნდა მოვიმოქმედოთ ჩვენ, მართლმადიდებლებმა, რომ მათს მაგალითს არ გავყვეთ?

მ ი გ ე ბ ა : პირველი, აუცილებელია ყველა ჩვენგანმა ნათლად შეიგნოს ეკუმენიზმისა და თანამედროვე რომაული კათოლიციზმის ნეოწარმართული არსი, მათი ჭეშმარიტი მიზნები — ანტიქრისტეს რელიგიისა და მისი ეკლესიის შექმნა და მთავარი ამოცანა — ყოველგვარი მეთოდებითა და საშუალებებით მართლმადიდებლობის დანგრევა და შთანთქმა; ამისთვის უარი ვთქვათ (ხელი ავიღოთ) ვატიკანთან და ემს-თან ეკუმენისტური თანამშრომლობის ყოველგვარ ფორმებზე, რაც ყველა შემთხვევაში — მიმართულია მართლმადიდებელი ეკლესიის ნგრევისაკენ.

მეორე, საიდანაც გამომდინარეობს მთავარი — ურყევად ვიდგეთ ჩვენი მართლმადიდებელი სარწმუნოების ნიადაგზე, მტკიცედ გვწამდეს, რომ მრავალრიცხოვან რელიგიათა და სარწმუნოებათა შორის მხოლოდ მართლმადიდებლობას მივყავართ ღვთის სასუფეველში — ზეციურ იერუსალიმში, ცხონებისაკენ.

დანართი I

1. პატიკანის II კრების ზოგიერთი მასალა

ა) ღოგმატური დადგენილება ეკლესიის თაობაზე

პ. 13 „(დასასრული) ამრიგად, ყველა ადამიანი მოწოდებულია ღვთის ხალხის კათოლიკური ერთიანობისაკენ, რაც საყოველთაო მშვიდობის მომასწავებელი და განმამტკიცებელი ნიშანია, რაშიც სხვადასხვანაირად ერთიანდებიან ერთგული კათოლიკენიც და ქრისტეს სხვა მორწმუნენიც და ბოლოს, უკლებლივ ყველა ადამიანი, ღვთის მადლით ხსნისაკენ მოწოდებული.

პ.14 „წმინდა კრება, რა თქმა უნდა, თავის მზერას პირველ რიგში ერთგულ კათოლიკეებს მიაქცევს. წმიდა წერილსა და წმიდა გადმოცემებზე დაყრდნობით ის ასწავლის, რომ ეს მორაული, მოხეტიალე, მოგზაური ეკლესია აუცილებელია ხსნისათვის. ერთადერთი მხოლოდ ქრისტეა შუამავალი და გზა ხსნისა და ის ჩვენთვის მყოფობს თავის სხეულში, რომელიც არის ეკლესია; ის ზუსტი სიტყვებით, რწმენითა და ნათლობის დაქინებული მოთხოვნით (შეად.: იოვ. 3.5) ამტკიცებს ეკლესიის აუცილებლობას, რომელშიც, როგორც კარებში, შედიან ნათლობის საშუალებით. ამიტომაც ადამიანები, რომელთათვისაც კათოლიკური ეკლესია ცნობილია როგორც აუცილებელი, რომელიც ღმერთმა დააფუძნა იესო ქრისტეს საშუალებით გადარჩებიან, მაგრამ ის ადამიანები, რომლებსაც ან შესვლა არ სურთ მასში, ან — დარჩენა, ხსნას ვერ მოიპოვებენ.

პ. 15. „ეკლესია, მიზეზთა გამო, თვლის თავს იმათთან დაკავშირებულად, ვინც თუმცა მონათლულია და ქრისტიანად იწოდება, მაგრამ არ აღიარებს შეულახავ რწმენას ან პეტრეს მემკვიდრის, მონაცვლის მეთაურობით, არ იცავს ურთიერთობის მთლიანობას.

პ. 16. 1) „დაბოლოს, ისინი, რომელთაც სახარება ჯერ არ მიუღიათ, ღვთის ხალხს სხვადასხვა გზით მიეკუთვნებიან.

უპირველესად კი ის ხალხი, რომელთაც ნაბოძები აქვთ აღთქმები და მცნებები და რომელთაგან თვით ქრისტე იშვა ხორციელად, „რომელნი-იგი არიან ისრაიტელნი, რომელთაჲ იყო შვილებაჲ და დიდებაჲ და აღთქუმანი და შჯულის-დებანი და მსახურებანი და მითხრობანი; რომელთანი იყვნეს მამანი და რომელთაგან ქრისტე ჯორციელად, რომელი-იგი არს ღმერთი ყოველთა ზედა, კურთხეულ უკუნისამდე, ამინ“ (რომ. 9.4-5); „სახარებისა მისგან — მტერ თქუენდა, ხოლო რჩეულებისა მისგან — საყუარელი მამათათჳს. რამეთუ შეუწანებელი არიან მადლნი იგი და ჩინებანი ღმრთისანი“ (რომ. 11.28-29).

2) ღვთის მხსნელი მადლი მოიცავს მათაც, ვინც აღიარებს შემოქმედს; მათ შორის, პირველ რიგში, მაჰმადიანებს, რომლებიც თავს თვლიან აბრაამის სარწმუნოების აღმსარებლებად, ჩვენთან ერთად ეთაყვანებიან ერთ, მოწყალე ღმერთს, ვინაც უკანასკნელ დღეს განსჯის ადამიანებს.

3) მაგრამ ღმერთი მათგანაც არ არის შორს, ვინც ლანდებისა და გამოსახულებების საშუალებით ეძიებს იღუმალ ღმერთს, რამეთუ ის (ღმერთი) თვით ანიჭებს მათ სიცოცხლესა და სუნთქვას და ყოველივეს (შდრ. საქმე 17. 25-28) და რამეთუ მაცხოვარს ნებავს, რომ ყველა ადამიანი ცხონდეს (შდრ. I ტიმ. 2.4).

მაგრამ თუკი ადამიანი, არა საკუთარი ბრალის გამო, ჯერ არ იცნობს სახარებასა და მის ეკლესიას, მაინც წრფელი გულით ეძიებს ღმერთს და მადლის ზემოქმედებით ესწრაფვის თავისი საქმეებით ღვთის ნების აღსრულებას, რასაც იგი საკუთარი სინდისის ხმით შეიცნობს, შეუძლია მიიღოს საუკუნო ცხონება. ხსნის გზაზე აუცილებელ შემწეობაზე ღვთის განგება უარს არ ეუბნება მას, ვისაც თავისი ბრალის გარეშე ჯერ არ მიუღწევია ღმერთის ნათლად შეცნობისათვის და ღვთის მადლით ცხოვრებას ცდილობს; რამეთუ ყველა სიკეთესა და ჭეშმარიტებას მათგან მოპოვებულს, ეკლესია უფლის სახარებისათვის მომზადებასა და მისი ნიჭის წყალობად მიიჩნევს, ვინც

მას — ყოველ ადამიანს — ანათლებს, რათა საბოლოოდ მოიპოვოს ცხოვრება.

4) მაგრამ ხშირად ისე ხდება, რომ მზაკვარის მიერ შეცდენილი ადამიანები ჭკუას ატანენ ძალას და ღმერთის ჭეშმარიტებას ამაოდ ცვლიან სიყალბით, სიცრუით და შემოქმედის ნაცვლად ემსახურებიან ქმნილებებს, ანდა ცხოვრობენ და კვდებიან უღმერთოდ და უკიდურესად იმედდაკარგულნი.

ამიტომ ღმერთის სადიდებლად ყველა ამ ადამიანის შემწეობისა და ხსნისათვის ეკლესია იხსენებს ღვთის სწავლებას, „წარვედით და მოიმოწაფენით ყოველნი წარმართნი და ნათელსცემდით მათ“ (მათ. 28.19) და თავგამოდებით, გულმოდგინედ ზრუნავს მისიონერული საქმის განვითარებისათვის.

(კრების დოკუმენტებში მე-16 პუნქტი ერთიანი ტექსტითაა მოცემული. აბზაცები, ნომერაცია და კურსივი შემდგენლისაა).

ბ) არაქრისტიანული რელიგიებისადმი ეკლესიის დამოკიდებულების დეკლარაცია

სხვადასხვა არაქრისტიანული რელიგიები

2. „უძველესი დროიდან დღემდე სხვადასხვა ხალხში არსებობს იმ საიდუმლო ძალების რაღაც ერთგვარი აღქმა, რომელნიც ყოველგვარი საქმისა და ადამიანთა ცხოვრების მომსწრენი არიან. მათ ხანდახან „უზენაეს ღვთაებად“ ან „მამად“ აღიარებენ. ეს აღქმა და აღიარება ადამიანის ცხოვრებას ღრმა რელიგიური შინაარსით მსჭვალავს. ის რელიგიები, რომლებსაც კულტურის პროგრესთან აქვთ კავშირი, ცდილობენ კითხვებს უფრო დახვეწილი მცნებებითა და თანაც სრულყოფილი ტერმინოლოგიით გასცენ პასუხი. მაგალითად, ინდუიზმში ადამიანები იკვლევენ ღვთაებრივ საიდუმლოებებს და მათ გამოხატავენ ამოუწურავი მითებისა და ფილოსოფიის გულში ჩამწვდომი სიძლიერით; ისინი ჩვენი არსებობის საზრუნავისაგან გათავისუფლებას ეძიებენ სხვადასხვა გზით — ცხოვრების ასკეტუ-

რი ფორმით ან ღრმა აზროვნებით, ანდა ღმერთისადმი სიყვარულითა და სასოებით. ბუდიზმი იცნობს ამ ცვალებადი სამყაროს საფუძველშივე დაუსრულებლობას და უჩვენებს გზებს, რომლითაც ღვთისმოსში და ღვთისმომიძევე სულის მქონენი შეძლებენ სრული თავისუფლების მდგომარეობა მოიპოვონ ან მიაღწიონ გაბრწყინებას თავიანთი საკუთარი ძალებითა თუ ღვთის შეწევნით.

მაჰმადიანური რელიგია

3. ეკლესია, ასევე, პატივისცემით ეპყრობა მაჰმადიანებს, რომლებიც ერთ ღმერთს ეთაყვანებიან, ცოცხალსა და მყოფს, მოწყალესა და ყოვლისშემძლეს, ცისა და მიწის შემოქმედს, ადამიანებთან მოლაპარაკეს. ისინი მთელი სულით მიისწრაფვიან, დაემორჩილონ ალაჰის განწესებებს, იღუმალსაც კი, როგორც დაემორჩილა ღმერთს აბრაამი, რომელზედაც ისლამი ხალხით მიუთითებს. თუმცა მაჰმადიანები იესოს ღმერთად არ აღიარებენ, მას წინასწარმეტყველად მაინც თვლიან და პატივს სცემენ მის ქალწულ დედას — მარიამს, ხანდახან მას ღვთისმოსაობით კიდევ მოიხმობენ. ამის გარდა ისინი მოელიან სამსჯავროს დღეს, როცა ღმერთი ყველა მკვდრეთით აღმდგარს თავისას მიუზღავს. ამიტომაც ისინი აფასებენ ზნეობრივ ცხოვრებას და ღმერთს პატივს სცემენ ლოცვებით, მოწყალებითა და მარხვით.

ებრაული რელიგია

4. ეკლესიის საიდუმლოთა კვლევისას წმინდა კრებას ახსოვს კავშირები, რაც ახალი აღთქმის ხალხს სულიერად აერთებს აბრაამის შთამომავლობასთან.

რამეთუ ქრისტეს ეკლესია აღიარებს, რომ მისი რწმენის საწყისები ღმერთის მაცხონებელი საიდუმლოთი მოიპოვება უკვე ძველი აღთქმის პატრიარქებთან — მოსესა და წინასწარმეტყველებთან. ეკლესია აღიარებს, რომ ყველა, ვისაც ქრის-

ტე სწამს, აბრაამის შვილნი არიან რწმენაში. (გალ.3.7). ეკლესიის ხსნა სიმბოლურად გამოსჭვივის რჩეული ერის მონობის ქვეყნიდან გამოსვლით. ამიტომ ეკლესია არ ივიწყებს, რომ მან ძველი აღთქმის გამოცხადება იმ ხალხის საშუალებით მიიღო, რომელთანაც ღმერთმა თავისი ენითგამოუთქმელი მოწყალებით ინება უძველესი კავშირის დამყარება და, რომ ის იკვებება იმ ნაყოფიერი ზეთისხილის ფესვიდან, რომელზედაც დაემყნო ველური ზეთისხილის ტოტები ე.ი. წარმართი ხალხები (რომ. 11.17-24), რამეთუ ეკლესიას სწამს, რომ ქრისტემ ჯვარზე შეარიგა იუდეველები და წარმართები და შექმნა მათგან თავისთვის ერთი (ეფეს. 2.14-16). თუმცა ეკლესია ახალი ღმერთის ხალხი კი არის, მაგრამ იუდეველები არ უნდა წარმოვიდგინოთ არც ღმერთისაგან განკიცხულად, არც დაწყევლილად, თითქოს ეს წმიდა წერილიდან გამოდიოდეს. ამიტომაც ყველა უნდა ეცადოს კატეხიზმოს სწავლებისას და ღვთის სიტყვის ქადაგებისას არ ითქვას არაფერი, რაც არ შეესაბამება სახარების ჭეშმარიტებასა და ქრისტეს სულს.

ბალამანდის შეთანხმების ზოგიერთი პუნქტი

1. „მართლმადიდებელი ეკლესიის მოთხოვნით კათოლიკურ ეკლესიასთან საღვთისმეტყველო დიალოგის ნორმალური მიმდინარეობა შეწყდა იმისთვის, რომ დაუყოვნებლივ განხილულიყო ე.წ. უნიატობის საკითხი.

3. რაც შეეხება აღმოსავლეთის კათოლიკურ ეკლესიებს (ე.ი. უნიატურს) ცხადია, რომ მათ, როგორც კათოლიკური თემის ნაწილს, არსებობისა და თავისი მორწმუნეების სულიერი საჭიროებების დასაკმაყოფილებლად საქმიანობის უფლება აქვთ.

8. უკანასკნელი ოთხასი წლის განმავლობაში აღმოსავლეთის სხვადასხვა რაიონში ზოგიერთი ეკლესიის შიგნიდან და ასევე გარეგანი ელემენტების ზეგავლენითაც წამოწყებულ იქნა აღმოსავლეთისა და დასავლეთის ეკლესიებს შორის ურთიერთობის აღდგენის ინიციატივები. ამან ზოგიერთი თემის რო-

მის ტახტთან შეერთება გამომიწვია, რასაც შედეგად მოჰყვა მათი აღმოსავლეთის ეკლესია-დებთან ურთიერთობის გაწყვეტა. ეს მოხდა არასაეკლესიო ინტერესების ჩარევის წყალობითაც. ასე წარმოიშვა აღმოსავლეთის კათოლიკური ეკლესიები, რაც გახდა კონფლიქტისა და ტანჯვის წყარო უპირველესად მართლმადიდებელთათვის; აგრეთვე კათოლიკეებისათვისაც.

10. ასეთმა სიტუაციამ წარმოშვა დაძაბულობა და წინააღმდეგობები. თანდათან, იმ ათწლეულების განმავლობაში რაც ასეთ გაერთიანებებს მოჰყვა, მისიონერულმა საქმიანობამ თავის უმთავრეს მიზნად დაისახა სხვა ქრისტიანთა ინდივიდუალური თუ კოლექტიური მოქცევა, რათა ისინი საკუთარ ეკლესიაში იძულებით დაებრუნებინა. ამ ტენდენციის დასაკანონებლად კათოლიკურმა ეკლესიამ შეიმუშავა ღვთისმეტყველური თვალსაზრისი, რომლის თანახმად თავი წარმოადგინა ცხონების ერთადერთ მფლობელად. ამის პასუხად მართლმადიდებელმა ეკლესიამაც, თავის მხრივ განაცხადა, რომ ერთადერთს მას შეუძლია ცხონება.

„ცალკეულ ძმათა“ ცხონების უზრუნველსაყოფად, საქმე ქრისტიანთა გადანათვლამდეც და პიროვნების რელიგიური თავისუფლების უგულებელყოფამდეც კი მიდის. ეს ეპოქა ნათლობისა და გადანათვლის აქტისადმი სუსტად რეაგირებდა.

11. მეორე მხრივ, ზოგიერთი სამოქალაქო ხელისუფლება ცდილობდა, აღმოსავლეთის კათოლიკეები მამათა ეკლესიაში დაებრუნებინა. ამისათვის, თუკი შემთხვევა მიეცემოდათ, უყოყმანოდ მიმართავდნენ მიუღებელ ხერხებს.

12. იმის გამო, რომ კათოლიკეები და მართლმადიდებლები ეკლესიის საიდუმლოთა საკითხში ახლა ერთიმეორეს ახლებურად განიხილავენ და ერთიმეორეს ხელახლა აღმოაჩენენ ეკლესია-დების სახით, ზემოთ აღწერილი „მისიონერული აპოსტოლატის“ ფორმა, რომელმაც „უნიატობის“ სახელწოდება მიიღო, აღარ შეიძლება მივიღოთ, როგორც მეთოდი ან ნიმუში ჩვენს ეკლესიათა შორის საძიებელი ერთიანობისათვის.

13. როგორც ერთი, ისე მეორე მხარე აღიარებს, რომ ქრისტიემ თავის ეკლესიას ანდო სარწმუნოების მოციქულებრივი აღმსარებლობა, ერთსა და იმავე საიდუმლოებებში მონაწილეობა, განსაკუთრებით ერთიანი სამღვდელეობა, რომელიც ქრისტიესაღმი ერთიან მსხვერპლშეწირვას ატარებს, ეპისკოპოსთა მოციქულებრივი მემკვიდრეობითობა არ შეიძლება განვიხილოთ, როგორც ჩვენი ერთ-ერთი ეკლესიის საკუთრება. ასეთ კონტექსტში გამორიცხულია ყოველგვარი გადანათვლა.

14. აი, რატომ აღიარებენ კათოლიკური და მართლმადიდებელი ეკლესიები ერთიმეორეს, როგორც ეკლესია-დებს, რომლებიც ერთობლივად იცავენ ღმერთის ეკლესიას მისი ღვთაებრივი დანიშნულების ერთგულებით, განსაკუთრებით კი ერთიანობით. პაპ იოანე-პავლე II-ის სიტყვით აღმოსავლეთისა და დასავლეთის ეკლესია-დების დიალოგსა და ლოცვაზე დაფუძნებული ღონისძიებები მიმართულია სრულ და საყოველთაო ერთობისაკენ, რომელიც არ შეიძლება იყოს არც შთანთქმა, არც შერევა, მხოლოდ შეხვედრა ჭეშმარიტებასა და სიყვარულში.

16. აღმოსავლეთის კათოლიკურ ეკლესიებს, რომლებმაც მოინდომეს რომის ტახტთან სრული ერთობის აღდგენა და მისი ერთგულება, აქვთ იმ თემებთან დაკავშირებული უფლებები და მოვალეობები, რომელთა ნაწილსაც ისინი წარმოადგენენ. მართლმადიდებელ ეკლესიასთან ურთიერთობის დასარეგულირებლად მათ უნდა იხელმძღვანელონ იმით, რაც ვატიკანის II კრებაზე იყო მიღებული და, რასაც პაპები ცხოვრებაში ატარებდნენ. მათ თავიანთი პრაქტიკული დასკვნები დააზუსტეს სხვადასხვა დოკუმენტში, რომლებიც შემდეგ იქნა გამოქვეყნებული. ამიტომ საჭიროა ეს ეკლესიები ჩაერთონ როგორც ადგილობრივ, ისე საყოველთაო დონეზე სიყვარულის დიალოგში იმ პირობით, რომ ხელახლა მოიპოვონ ურთიერთპატივისცემა და ნდობა და მონაწილეობა მიიღონ საღვთისმეტყველო დიალოგში ყველა პრაქტიკული შედეგით.

20. ეს წესები ვერ გადაწყვეტს იმ პრობლემებს, რაც ჩვენ

გვაწუხებს, თუ თვითოეულ პარტიაში წინასწარ არ წარმოიქმნება სახარებაზე დაფუძნებული მიტევების უნარი; ასევე განახლებისაკენ მისწრაფებასთან ერთად მუდმივი მაცოცხლებელი სურვილი, მოიპოვონ ის სრული ერთობა, რაც ათას წელზე მეტი ხნის წინათ იყო ჩვენს ეკლესიებს შორის. სწორედ ასეთი უნდა იყოს სიყვარულის დიალოგის მიზანი, რაც მუდმივად განმაახლებელი ინტენსივობითა და დაჟინებით უნდა მიმდინარეობდეს. მხოლოდ მას შეუძლია გადალახოს ურთიერთგაუგებრობა და შექმნას საღვთისმეტყველო დიალოგში ჩაღრმავების აუცილებელი კლიმატი. მხოლოდ მას შეუძლია ერთიანობასთან მიგვიყვანოს.

23. მართლმადიდებელი ეკლესიისა და აღმოსავლეთის კათოლიკური ეკლესიების ისტორია ხასიათდება დევნითა და ტანჯვით. როგორც არ უნდა ყოფილიყო ეს ტანჯვა და რაც არ უნდა ყოფილიყო ამ ტანჯვის მიზეზები, ისინი არ ამართლებს არავითარ ტრიუმფალიზმს: ვერავინ იამაყებს და ვერავინ გამოიყენებს არგუმენტებად სხვა ეკლესიის გასამტყუნებლად და ჩირქის მოსაცხებად. მხოლოდ ერთმა ღმერთმა იცის თავისი ჭეშმარიტი მოწმეები; როგორც არ უნდა იყოს წარსული, ის ღვთის მოწყალებას უნდა მივანდოთ.

ეკლესიათა მთელი ძალ-ღონე მიმართული უნდა იყოს იმისკენ, რომ აწმყო და მყოფადი გახდეს ქრისტეს ნების შესატყვისი იმათ მიმართ, ვინც უფალს ეკუთვნის.

24. აგრეთვე საჭირო იქნება – როგორც ერთი, ისე მეორე მხრიდან, რომ ეპისკოპოსები და ყველა პასუხისმგებელი პირი მორწმუნეთა თავისუფლებას გულმოდგინედ ითვისებდეს. ამ უკანასკნელთ საშუალება უნდა ჰქონდეთ თავისუფლად გამოთქვან თავიანთი აზრი, როცა მათ ამის შესახებ ეკითხებიან – და, როდესაც ისინი ამ მიზნისათვის ირაზმებიან.

27. არაკეთილმოსურნეობა ადვილად გაქრებოდა, თუკი ორივე მხარე ძალადობას დაგმობდა იქ, სადაც ეკლესია-ღვთის თემობის წინააღმდეგ ზოგიერთნი ამას ახორციელებენ.

28. საეკლესიო საიდუმლოებათა რეალობის რწმენა გულისხმობს, რომ სხვა ეკლესიათა ლიტურგიული მიმდევრობა შეიწყნარება. ამ შეხედულებას ეწინააღმდეგება ღვთისმსახურების ადგილის დასაუფლებლად ძალის გამოყენება. პირიქით, საჭიროა სხვა ეკლესიებს ღვთისმსახურებაში დახმარება გაუწიონ, თავისი ეკლესია დაუთმონ მათ შეთანხმებით, რომ საშუალება მისცენ ღვთისმსახურება ჩაატარონ ერთსა და იმავე შენობაში სხვადასხვა დროს, რიგრიგობით. მით უფრო, რომ სახარებისეული ეთიკა მოითხოვს, უარი ვთქვათ კონფლიქტურ განცხადებებსა და მოქმედებებზე, რაც დიალოგს აძნელებს. განაპავლე მოციქული არ შეგვაგონებს ვიყთ სტუმართმოყვარენი ერთიმეორის მიმართ, როგორც ქრისტე ჩვენს მიმართ სადიდებლად ღვთისა (რომ. 15.7).

29. ამ კონტექსტში ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად და ეკლესიებს შორის ნდობის გასაღრმავებლად აუცილებელია ერთი და იმავე ტერიტორიის კათოლიკე და მართლმადიდებელი ეპისკოპოსები ერთიმეორეში თათბირობდნენ ისეთი კათოლიკური სამოძღვრო ღონისძიებების გატარების წინ, რომლებშიც ივარაუდება ტრადიციულად მართლმადიდებელი ეკლესიის იურისდიქციაში არსებულ რეგიონებში ახალი კათოლიკური სტრუქტურების შექმნა.

ეს აუცილებელია სამოძღვრო მოღვაწეობის დუბლირების თავიდან ასაცილებლად, რამაც შესაძლებელია კონკურენციისა და კონფლიქტის საშიშროებაც კი გამოიწვიოს.

30. ორივე ეკლესიის მომავალი ურთიერთობის მოსამზადებლად კათოლიკურ ეკლესიაში გამოცოცხლებული ეკლესიოლოგიური დაბრუნებისათვის განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მომავალი მღვდლების მომზადებას. აგრეთვე იმათ მომზადებას, ვინც რაიმე სახით მონაწილეობს მოციქულებრივ საქმიანობაში იმ ტერიტორიებზე, სადაც ტრადიციულად ფესვადგმულია სხვა ეკლესია. მათი განსწავლა უნდა იყოს ობიექტური და სხვა ეკლესიების მიმართ კეთილად განწყობილი. უპირ-

ველეს ყოვლისა, ყველასათვის ცნობილი უნდა იყოს სხვა ეკლესიაში მოციქულებრივი მემკვიდრეობის არსებობა და მისი ალთქმული წმინდა ცხოვრების ჭეშმარიტება. ამის გარდა, ყველასათვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს პატიოსანი და სრული ისტორია, რაც ორივე ეკლესიისათვის საერთო ან თუნდაც შეთანხმებული იქნება.

ამრიგად, შესაძლებელი იქნება ცრუ შეხედულებათა გაბათილებისათვის ხელის შეწყობა და პოლემიკური მიზნებისათვის ისტორიის გამოყენება. ეს ხელს შეუწყობს იმის გაგებას, რომ გაყოფის შეცდომები ორივე მხარეს ღრმა ჭრილობებს აყენებდა.

34. კათოლიკურ და მართლმადიდებელ ეკლესიებს შორის საერთაშორისო საღვთისმეტყველო შერეულმა კომისიამ თავის პლენარულ სხდომაზე ბალამანდში რეკომენდაცია წამოაყენა, რომ ჩვენი ეკლესიების საქმიანობაში მიღებულ იქნეს პრაქტიკული ზომები. მათ შორის, აღმოსავლეთის კათოლიკური ეკლესიების საქმიანობაში, რომლებიც მოწვეულნი იყვნენ ამ დიალოგში მონაწილეობისათვის; ეს დიალოგი უნდა გაგრძელდეს გულახდილობის ატმოსფეროში მანამ, სანამ არ მიიღწევა სრული ერთიანობა.

35. მომავალში პროზელიტიზმის ყოველგვარი გამოვლინებისა და მართლმადიდებელი ეკლესიისათვის საზიანო კათოლიკეთა ექსპანსიის გამოსარიცხავად კომისია იმედოვნებს, რომ მოახერხა იმ დაბრკოლებების თავიდან აცილება, რის გამოც ზოგიერთმა ავტოკეფალურმა ეკლესიამ იძულებით შეწყვიტა საღვთისმეტყველო დიალოგში მონაწილეობა და, რომ მართლმადიდებელი ეკლესია შეძლებს კვლავაც სრულად იყოს წარმოდგენილი საღვთისმეტყველო სამუშაოს გაგრძელებაში, რაც ასე წარმატებით დაიწყო.

დანართი II

არ შეიძლება არ ვთქვათ ერთი დიდი საფრთხის შესახებ, რომელიც ქართული საზოგადოების სულიერებას დაემუქრა. ცოტა ხნის წინ, 2003 წლის სექტემბერში, საქართველო დიდი პრობლემის წინაშე დადგა. საქართველოს ხელისუფლებამ საზოგადოება პირდაპირ ფაქტის წინაშე დააყენა: საქართველოსთან ხელშეკრულების გასაფორმებლად ვატიკანიდან ოფიციალური წარმომადგენლობა ჩამოვიდა. როგორც აღმოჩნდა, ინიციატივა ვატიკანიდან მოდიოდა. ხელშეკრულების პროექტზე მუშაობის პროცესი გასაიდუმლოებული იყო. ვატიკანის დელეგაციის ჩამოსვლა და შეთანხმების მცდელობა მასმედიამ გაახმაურა. მოსახლეობამ ყველაფერი, ფაქტობრივად, მოლაპარაკების დაწყებამდე სულ რამდენიმე დღით ადრე შეიტყო. ამას დიდი აჟიოტაჟი მოყვა. ღვთის შეწევნით, მოლაპარაკება ჩაიშალა. ქართულმა მხარემ განაცხადა, რომ ეს არ იყო რელიგიური ხასიათის ხელშეკრულება და შეთანხმება ორ სახელმწიფოს შორის უნდა მომხდარიყო.

საყურადღებოა, რომ ამ საკითხზე ინფორმირებული არ იყო არა მარტო მოსახლეობა, არამედ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიაც. ფაქტობრივად, ხელშეკრულებაზე ხელის მოწერას საზოგადოებასთან და მართლმადიდებელ ეკლესიასთან შეთანხმების გარეშე აპირებდნენ.

გთავაზობთ, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის პოზიციას. ასევე, თავად ხელშეკრულების პროექტს. დასკვნის გამოტანა მკითხველისათვის მიგვიზინდია: ეს ხელშეკრულება მართლა სახელმწიფოთა შორის მოლაპარაკების მცდელობა იყო, თუ რელიგიურ სფეროს მიკუთვნებოდა.

„როგორც უკვე ცნობილია, საქართველოში ვატიკანის ოფიციალური წარმომადგენლობის ინიციატივით მომზადდა საქართველოს სახელმწიფოსა და ვატიკანს შორის რელიგიური ურთიერთობის განმსაზღვრელი საერთაშორისო ხელშეკრულებ-

ბა. საქართველოს საპატრიარქოსათვის სრულიად გაუგებარია, რატომ ხდება აღნიშნული დოკუმენტის გასაიდუმლოება, მაშინ, როდესაც სახელმწიფოსა და მართლმადიდებელ ეკლესიას შორის დადებული კონსტიტუციური შეთანხმება საჯაროდ მუშავდებოდა წლების განმავლობაში და იგი არაერთგზის გახდა განხილვის საგანი როგორც საქართველოში, ისე უცხოეთში. მის განხილვაში ასევე აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ საქართველოში არსებული თითქმის ყველა რელიგიის წარმომადგენლები.

ჩვენ არაერთხელ დაგვიფიქსირებია მზადყოფნა, როგორც კათოლიკეების, ისე საქართველოში არსებული სხვა რელიგიების სამართლებრივი სტატუსის განხილვისა და მისი ერთობლივი გადაწყვეტის შესახებ. ამიტომაც ჩვენთვის სრულიად მოულოდნელი და ყოვლად მიუღებელია ვატიკანის მხრიდან ამ სახით და ამ რანგში ხელშეკრულების გაფორმების მცდელობა.

ვიმედოვნებთ, გაუგებრობისა და დაპირისპირებების თავიდან აცილების მიზნით ვატიკანი და ჩვენი ხელისუფლება ჩვენს საზოგადოებასთან და მართლმადიდებელ ეკლესიასთან შეთანხმების გარეშე ასეთი სერიოზული ნაბიჯის გადადგმისაგან თავს შეიკავებს“.

აღნიშვნა იმისა, თითქოს ეს არის ორ სახელმწიფოს შორის გაფორმებული ხელშეკრულება, რომელიც არანაირად არ ეხება რელიგიურ სფეროს, არ შეესაბამება სიმართლეს, რადგან ვატიკანი სახელმწიფო არის უმთავრესად რელიგიური ნიშნით. ამდენად, მის მიერ გაფორმებული კონკორდატებიც - საერთაშორისო ხელშეკრულებები, რელიგიური შინაარსის მატარებელია და განსაზღვრავს კათოლიკური ეკლესიის მდგომარეობას.

ამიტომაც ასეთი ხელშეკრულება გაფორმებული არა აქვთ არც ერთ მართლმადიდებელ ქვეყანასთან, გარდა რუმინეთისა. აღსანიშნავია, რომ რუმინეთის მოსახლეობის დიდი ნაწილი კათოლიკეა. ასეთი ხელშეკრულება არ არის დადებული არც ამე-

რიკის შეერთებულ შტატებთან, არც დიდ ბრიტანეთთან და არც სხვა არაკათოლიკური კულტურის ქვეყნებთან, რაც იმის მანიშნებელია, რომ ეს არ არის სახელმწიფოთა შორის ურთიერთობის განმსაზღვრელი საერთაშორისო აქტი.

არცერთ ქვეყანაში ასეთი რელიგიური ტიპის დოკუმენტის მიღებისას არ ხდება ტრადიციული ეკლესიის უგულებელყოფა და მისი პოზიციის გაუთვალისწინებლობა.

ვატიკანთან დადებული ამ ხელშეკრულებით არა თუ არ მოწესრიგდება კათოლიკურ ეკლესიასთან დაკავშირებული საკითხები, არამედ კიდევ უფრო გართულდება ისინი და სხვა პრობლემებსაც წამოჭრის და ბიძგს მისცემს სხვა კონფესიებთან დაკავშირებულ მრავალ ნეგატიურ პროცესს, რამაც ქვეყანას შეიძლება ახალი დიდი პრობლემები შეუქმნას.

პროექტი

შეთანხმება წმიდა საყდარსა და საქართველოს შორის პრეამბულა

წმიდა საყდარი და საქართველო:

- მიიჩნევენ რა, ერთმანეთს საერთაშორისო სამართლის დამოუკიდებელ და ავტონომიურ სუბიექტებად,

- წმიდა საყდარი, მოქმედებს რა ვატიკანის მეორე საბჭოს დოკუმენტებისა და საეკლესიო სამართლის ნორმების საფუძველზე საქართველო მოქმედებს რა საქართველოს კონსტიტუციისა და იმ საერთაშორისო კოვენციების დებულებების შესაბამისად, რომელთა მხარესაც ის წარმოადგენს,

- გამოთქვამენ რა სურვილს, მეგობრობის სულისკვეთებით გააძლიერონ და კიდევ უფრო განავითარონ მათ შორის უკვე არსებული ურთიერთობები,

- განზრახული აქვთ რა ურთიერთგაგების საფუძველზე გან-

საზღვრონ საქართველოში მოქმედი კათოლიკური ეკლესიის იურდიული სტატუსი, შეთანხმდნენ შემდეგზე:

მუხლი 1

საქართველო აღიარებს კათოლიკური ეკლესიის, როგორც იურდიული პირის სტატუსს. კერძოდ, საქართველო უზრუნველყოფს იურდიული პირების უფლებაუნარიანობის გავრცელებას საეკლესიო სამართლით გათვალისწინებული კათოლიკური ეკლესიის ისეთი ერთეულების მიმართ, როგორცაა: საეპისკოპოსოები, ეპარქიები ან საეგზარქოსები, სამოციქულო ადმინისტრაციები, სამრევლოები, რელიგიური საზოგადოებები, ასოციაციები, სემინარიები, კოლეჯები, სკოლები და საგანმანათლებლო ინსტიტუტები, სამედიცინო და საქველმოქმედო დაწესებულებები, კომპეტენტურ სამოქალაქო ორგანოებში მათი რეგისტრაციის შემდეგ.

მუხლი 2

1) საქართველო უზრუნველყოფს კათოლიკური აღმსარებლობისა და კათოლიკური რელიგიური წესების საჯაროდ აღსრულების თავისუფლებას.

2) საქართველოს კათოლიკრ ეკლესიას აქვს თვითორგანიზებისა და საჭირო საშუალებებით საკუთარი მისიის განხორციელების უფლება;

3) კომპეტენტური საეკლესიო ორგანო სარგებლობს უფლებით შექმნას ეკლესიასთან დაკავშირებული სტრუქტურები, კერძოდ, საეკლესიო სამართლის ნორმებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, დააარსოს და მოახდინოს საეკლესიო იურდიული პირების რეორგანიზება.

მუხლი 3

1) წმიდა საყდარს შეუძლია დაუბრკოლებლად შეარჩიოს სასულიერო პირი ეპისკოპოსის, ეგზარქოსის ან სამოციქულო აღ-

მინისტრატორის ფუნქციების შესრულების მიზნით. ეს პირი შეიძლება იყოს ეპისკოპოსი ზემოაღნიშნული დანიშვნების შესახებ ინფორმაციის გავრცელებამდე. წმიდა საყდარი, თავაზიანობისა და ნდობის პრინციპიდან გამომდინარე, ამის შესახებ წინასწარ აცნობებს სამოქალაქო ხელისუფლების ორგანოებს.

2) კომპეტენტური საეკლესიო ორგანო სარგებლობს უფლებით დაუბრკოლებლად დანიშნოს ნებისმიერი პირი, რომელიც ამავე დროს პასუხისმგებელი იქნება საქართველოში არსებულ სხვა საეკლესიო ერთეულებზე.

მუხლი 4

საქართველო, შეზღუდვების გარეშე, უზრუნველყოფს კათოლიკური ეკლესიის და მისი იურდიული და ფიზიკური პირების ურთიერთობებისა და კონტაქტების თავისუფლებას წმიდა საყდართან და საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ არსებულ, საეკლესიო სამართლით აღიარებულ სხვა საეკლესიო დაწესებულებებთან.

მუხლი 5

საქართველო აღიარებს კათოლიკური ეკლესიის უფლებას თავისუფლად გამოხატოს თავისი აზრი და პრინციპები, ასევე მის უფლებას ისარგებლოს მასობრივი კომუნიკაციის საშუალებით საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 6

1) თავისი პასტორალური მისიის განხორციელების მიზნით, ეპისკოპოსი, ეგ ზარქოსი, სამოციქულო ადმინისტრატორი, მღვდელი ან მათთან გათანაბრებული პირები სარგებლობენ უფლებით საქართველოში მოიწვიონ მღვდლები, რელიგიური სამწყსოს წარმომადგენლები და საერო პირები, რომლებსაც არ გააჩნიათ საქართველოს მოქალაქეობა.

2) საქართველოს ხელისუფლების ორგანოები გასცემენ საცხოვრებელ ნებართვას კათოლიკური ეკლესიის ზემოაღნიშნული მოწვეული წევრებისათვის, რომლებიც დანიშნულნი იქნებიან საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ შესაბამის ეკლესიებსა ან კათოლიკური ეკლესიის სხვა დაწესებულებებში მსახურების მიზნით. ნებართვები, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ძალაში იქნება მათი მუშაობის მთელი პერიოდის განმავლობაში.

მუხლი 7

1) კათოლიკური ეკლესია სარგებლობს უფლებით შეიძინოს, მართოს, გამოიყენოს და განკარგოს მოძრავი და უძრავი ქონება და ააშენოს ეკლესიები და სხვა შენობები საეკლესიო მიზნებისათვის.

2) ქონების შეძენა, ეკლესიებისა და საეკლესიო ნაგებობების მშენებლობა და მართვა განხორციელდება საეკლესიო სამართლის ნორმებისა და საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

3) საქართველო უზრუნველყოფს ღვთისმსახურების ადგილების ხელშეუხებლობას. კომპეტენტური საეკლესიო ორგანოების წინასწარი თანხმობის გარეშე, ღვთისმსახურების ადგილები არ შეიძლება გამოყენებულ იქნას იმ მიზნებისათვის, რაც არ არის გათვალისწინებული საეკლესიო სამართლით.

მუხლი 8

1) აღსარების საიდუმლოება ხელშეუხებელია. არავის არ შეუძლია კათოლიკე ეპისკოპოსის ან მღვდლის დაკითხვა ისეთ საკითხებზე, რომლებიც დაკავშირებულია აღსარების საიდუმლოსთან, იმ შემთხვევაშიც კი, თუ მღვდელი უნდა წარსდგეს როგორც მოწმე ან მხარე სამოქალაქო სასამართლოს წინაშე.

2) სასულიერო პირები არ არიან ვალდებული მიაწოდონ სამოქალაქო ხელისუფლებას ის ინფორმაცია პირებისა და სხვა

საკითხების შესახებ, რომელიც მათ მოიპოვეს თავისი მსახურების დროს.

მუხლი 9

1) კათოლიკურ ეკლესიას აქვს უფლება დააარსოს და მართოს თავისი სკოლები საეკლესიო სამართლისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

2) კათოლიკე მოსწავლეებს, როგორც სახელმწიფო, ასევე არასახელმწიფო სკოლებში ექნებათ თავიანთი რელიგიის შესწავლის გარანტირებული უფლება.

3) კათოლიკური რელიგიის სწავლება საგანმანათლებლო დაწესებულებებში მიზნად ისახავს ეკუმენისტური სულისკვეთების განმტკიცებას და სხვადასხვა აღმსარებლებს შორის ურთიერთპატივისცემის გაღრმავებას. რაც ამავე დროს გულისხმობს საქართველოს ისტორიასა და კულტურაში მართლმადიდებელი ეკლესიის როლის აღიარებას.

4) სწავლება ჩატარდება კათოლიკური ეკლესიის კომპეტენტური ხელისუფლების მიერ დამტკიცებული პროგრამის საფუძველზე და მხოლოდ იმ კვალიფიცირებული პედაგოგების მიერ, რომლებსაც გააჩნია ამ ხელისუფლების მიერ გაცემული სერთიფიკატი.

5) კათოლიკური ეკლესია და საქართველო აღიარებენ დიპლომებს, ხარისხებსა და სხვა აკადემიურ კვალიფიკაციებს განათლების ყველა დონეზე.

მუხლი 10

წმიდა საყდარი და საქართველო ადასტურებენ რა, ორმხრივ დაინტერესებას გააღრმავონ ურთიერთობები კულტურის სფეროში, ხელს შეუწყობენ კავშირების გამნტკიცებას საქართველოში არსებულ დაწესებულებებსა და მთელ მსოფლიოში არსებულ კათოლიკურ ინსტიტუტებს შორის. ისინი ასევე ხელს შეუწყობენ სტუდენტთა გაცვლას საეკლესიო საგანმანათლებ-

ლო დაწესებულებებსა და კვლევით ცენტრებს შორის, ორივე მხარის კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 11

1) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საეკლესიო ქორწინება მისი რელიგიური წესით დღესასწაულობის მომენტიდან, წარმოშობს იურდიულ შედეგებს სამოქალაქო ურთიერთობებში, იმ პირობით, რომ აღნიშნული არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონით გათვალისწინებულ დებულებებს.

2) სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის წიგნში საეკლესიო ქორწინების თარიღი და წესი განისაზღვრება საქართველოს კომპეტენტური ორგანოს მიერ, კათოლიკურ ეკლესიასთან კოორდინაციის გზით.

მუხლი 12

სემინარიის სტუდენტები და რელიგიური კონგრეგაციების მორჩილები თავისუფლდებიან სამხედრო სამსახურიდან საყოველთაო მობილიზაციის შემთხვევაში. ამ სტუდენტებსა და მორჩილებს დაევალებათ ისეთი ოპერაციების შესრულება, რომლებიც არ არის დაკავშირებული იარაღის გამოყენებასთან.

მუხლი 13

საქართველო აღიარებს და უზრუნველყოფს კათოლიკური ეკლესიის უფლებას შესთავაზოს სულიერი დახმარება იმ მორწმუნე კათოლიკებს, რომლებიც მსახურობენ ეროვნულ შეიარაღებულ ძალებში და პოლიციაში, იმყოფებიან სახელმწიფო ან კერძო სამედიცინო და გრძელვადიან დაწესებულებებში ან საპატიმროებში.

მუხლი 14

1) საქართველო გადასახადებისაგან გაათავისუფლებს იმ კათოლიკური დაწესებულებების მიერ შემოტანილ ჰუმანიტარულ

დახმარებას, რომლებიც საეკლესიო კანონმდებლობის შესაბამისად ოფიციალურად აღიარებულია კათოლიკური ეკლესიის მიერ და რეგისტრირებულია სამოქალაქო ორგანოების მიერ.

2) კათოლიკური ეკლესიის მოხმარებისათვის განკუთვნილი სხვა იმპორტირებული ნივთები ასევე თავისუფლდება გადასახადებისაგან.

მუხლი 15

იმ შემთხვევაში, თუ წარმოიშობა გაურკვეველი გადაუწყვეტელი და სადავო საკითხები ქონებრივ, ეკონომიკურ და ფისკალურ სფეროებში, რომლებიც შეეხება კათოლიკურ ეკლესიას ზოგადად, ან ცალკეულ კათოლიკურ თემებს, შენობებს ან დაწესებულებებს, კათოლიკური ეკლესია და საქართველოს კომპეტენტური ორგანო შექმნიან საგანგებო ერთობლივ კომისიას ორივე მხარისათვის მისაღები გადაწყვეტილების შემუშავების მიზნით.

მუხლი 16

1) წინამდებარე შეთანხმებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა დასაშვებია მხარეთა შეთანხმებით.

2) წმიდა საყდარი და საქართველო წინამდებარე დებულებების განმარტებასთან ან გამოყენებასთან დაკავშირებით წარმოშობილ სირთულეებს გადაწყვეტენ მეგობრული ურთიერთშეთანხმების გზით.

მუხლი 17

წინამდებარე შეთანხმება შესრულებულია ორ პირად, ინგლისურ და ქართულ ენებზე, ორივე ტექსტ თანაბარი ძალა აქვს. განსხვავების შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ინგლისურ ტექსტს.

წმიდა საყდრის
სახელით

საქართველოს
სახელით

მოკლე განმარტებითი ლექსიკონი

ამპარტავნება

მთავარი ვნება (სულის სნეულება), ადამიანის მწვალებლობაში ჩავარდნის მიზეზი. ამპარტავნებამ ანგელოზები ეშმაკებად აქცია. ამპარტავნება იყო ადამისა და ევას დაცემის მიზეზი.

ანგლიკანობა

პროტესტანტობის ნაირსახეობა, დასაბამს იღებს XVI საუკუნიდან. ანგლიკანები ეკლესიის მეთაურად მეფეს (ან დედოფალს) აღიარებენ. რამოდენიმე წლის წინ ანგლიკანებმა „სამღვდელოებაში“ ქალები დაუშვეს.

ანტიქრისტე

ზოგადად ყველა ის ადამიანი, ვინც ეწინააღმდეგება და ებრძვის იესო ქრისტეს სწავლებას, მის ეკლესიას. საღმრთო წერილისა და წმ. მამათა წინასწარმეტყველების თანახმად ქვეყნის აღსასრულის წინ გამოჩნდება ეშმაკის ძალით შემოსილი მზაკვარი ადამიანი — ანტიქრისტე, რომელიც ცბიერებითა და ცრუ სასწაულებით დაიპყრობს მსოფლიოს, და მოითხოვს, რომ ყველამ თაყვანი სცეს მას, როგორც ღმერთს. ანტიქრისტეს დროს იქნება მისდამი დაუმორჩილებელი მართლმადიდებელი ქრისტიანების უსასტიკესი დევნა. ანტიქრისტეს ბატონობა იესო ქრისტეს მოსვლამდე გაგრძელდება და სამწელიწადნახევარს გასტანს.

განკვეთა

1) ზოგიერთი ცოდვის გამო სასულიერო პირისთვის ყოველგვარი სამღვდლო უფლების სამუდამო ჩამორთმევა, რითაც ის ერისკაცის დონეზე დგება.

2) ადამიანის ან ადამიანთა კრებულის განკვეთა ეკლესიიდან, ანუ მონანიებადღე ყველა საეკლესიო უფლების ჩამორთმევა (ღვთისმსახურებაში მონაწილეობა, წირვაში მოხსენიება, ქრისტიანული დასაფლავება, საეკლესიო საიდუმლოებში მონაწილეობა).

დოგმატები

სარწმუნოების ჭეშმარიტებანი, ურყევი, უეჭველი სწავლებები.

ეკუმენიზმი

რელიგიური მოძრაობა, რომლის მიზანია მსოფლიოს (ეკუმენა-ს) რელიგიური გაერთიანება. მართლმადიდებლები იბრძვიან მსოფლიოს მართლმადიდებელ ეკლესიაში გასაერთიანებლად, ეკუმენისტები კი — ეკლესიათა მსოფლიო საბჭოში (ემს) გასაერთიანებლად. ეკუმენისტებს სწამთ, რომ ჭეშმარიტების მფლობელი მეტ-ნაკლებად ყველა რელიგიაა და ცხონება ყველგან არის შესაძლებელი. ეკუმენიზმის მრწამსი ეწინააღმდეგება მართლმადიდებელ სარწმუნოებას, რომლის თანახმად ჭეშმარიტების მფლობელი მხოლოდ სამოციქულო სწავლების უცვლელად დამცველი მართლმადიდებელი ეკლესიაა და ცხონება მხოლოდ მასშია შესაძლებელი.

ეკლესიათა მსოფლიო საბჭო (ემს)

ეკუმენისტური მოძრაობის მთავარი წარმმართველი ორგანიზაცია, რომელშიც თითქმის ყველა ე.წ. ქრისტიანული საკრებულოა გაერთიანებული. მართლმადიდებელი ეკლესიებიდან ემს დატოვეს საქართველოსა და ბულგარეთის ეკლესიებმა.

ვატიკანი

რომის პაპის რეზიდენცია, ქალაქ-სახელმწიფო. სახელწოდება წარმოდგება სიტყვიდან VATES - წინასწარ მთქმელი, რაც იმიტომ ეწოდა, რომ ტერიტორია, სადაც ვატიკანი მდებარეობს, ეტრუსკების სამკითხაო ადგილი იყო.

იეზუიტები

პაპისტური მონაზვნური ორდენის - „იესოს საზოგადოების“ წევრები. ორდენი დაარსდა 1539 წელს ეგნატე ლოიოლას მიერ. იეზუიტები პაპის უსიტყვო მორჩილების აღთქმას დებენ და მისი უერთგულესი მსახურები, მისი პოლიტიკის მთავარი გამტარებლები არიან. იეზუიტთა პრინციპია „მიზანი ამართლებს საშუალებას“.

ინდულგენია

კათოლიციზმში „ცოდვათა მიტევება“ რაიმე დამსახურების გამო. არსებობდა პაპების მიერ დამტკიცებული ნიხრები, თუ რომელი ცოდვის გამოსასყიდად რა რაოდენობის თანხა იყო საჭირო.

ინკვიზიცია

ინსტიტუტი კათოლიკურ ეკლესიაში,

რომელსაც ევალეობდა მწვალებლების, ჯადოქრების, პაპისა და კათოლიციზმის მტრების გამოვლენა, გასამართლება და დასჯა. მართლ ესპანეთში 1198 წლიდან (ინკვიზიციის დაარსებიდან) XX საუკუნის დასაწყისამდე 31912 ადამიანი ცოცხლად დაწვეს, 29145-ს კი სხვადასხვა მძიმე სასჯელი და სიკვდილი მიუსაჯეს.

კონგრეგაცია

კათოლიკური ეკლესიის საჭიროებისათვის შექმნილი სასულიერო პირთა კავშირები, საზოგადოებები.

ლუთერანობა

პროტესტანტიზმის ნაირსახეობა. ლუთერანობის ფუძემდებელია ყოფილი პაპის-ტი მონაზონი მარტინ ლუთერი (XVI ს.).

მსოფლიო კრება

მართლმადიდებლობაში მსოფლიო კრებებად იწოდება 7 კრება, რომლებსაც ესწრებოდნენ თითქმის ყველა ადგილობრივი ეკლესიების წარმომადგენლები და რომელთა დადგენილებები აღიარა და დაამტკიცა მთელმა მართლმადიდებლურმა სამყარომ. ეს კრებებია: ნიკეის (325 წ.), კონსტანტინოპოლის (381 წ.), ეფესოს (431 წ.), ქალკედონის (451 წ.), კონსტანტინეპოლის (553 წ.), კონსტანტინოპოლის (680 წ.), ნიკეის (787 წ.).

მწვალებელი (ერეტიკოსი)

ადამიანი, რომელიც ჯიუტად იცავს არასწორ სარწმუნოებრივ სწავლებას, ამა-

ხინჯებს ღვთივგამოცხადებულ ჭეშმარიტებას. მწვალებელია ყველა, ვინც არ არის მართლმადიდებელი.

პანეკუმენიზმი

ეკუმენისტური მოძრაობის საბოლოო ეტაპი - ე. წ. ქრისტიანების რელიგიური გაერთიანება არაქრისტიანებთან. პანეკუმენიზმის გამოვლინებებია ეკუმენისტების მიერ ქრისტე ღმერთის უარმყოფელ რელიგიურ გაერთიანებებში ცხონების შესაძლებლობის აღიარება და მათთან ერთად რელიგიურ რიტუალებში მონაილეობა.

პირველქმნილი ცოდვა

ადამისა და ევას მიერ ჩადენილი ცოდვა, ღვთის მცნების საწინააღმდეგოდ აკრძალული ნაყოფის ჭამა. ადამისგან და ევასგან ამ ცოდვის დამლუპველი შედეგი მთელ მათ შთამომავლობაზე გავრცელდა. ამ ცოდვის შედეგია სიკვდილი და ცოდვებისადმი მიდრეკილება. მაცხოვარმა საკუთარი ჯვარცმით ადამიანები პირველქმნილი ცოდვის დამლუპველი შედეგისაგან გაათავისუფლა და ჭეშმარიტ მორწმუნეებს მარადიული ნეტარება მიანიჭა.

პროზელიტიზმი

ერთი სარწმუნოების მიმდევრების მიერ სხვა სარწმუნოების ადამიანების მოქცევა, საკუთარ ეკლესიაში გადმოყვანა.

პროტესტანტები

საზოგადო სახელი პროტესტანტული მოძრაობის შედეგად პაპისტური ეკლესი-

იდან გამოყოფილი სხვადასხვა ერეტიკული გაერთიანებების წევრებისა (ლუთერანები, ანგლიკანები, კალვინისტები და სხვ.).

უნია

სარწმუნოებრივი კავშირი კათოლიკურ ეკლესიასა და პაპისტების მიერ ცდუნებულ სხვადასხვა ეკლესიის წარმომადგენლებს შორის. არსებობს ე. წ. უნიატური ეკლესიები, რომლებიც გარეგნულად მართლმადიდებლურ წესებს ინარჩუნებენ, მაგრამ აღიარებენ რომის პაპს და მის დაქვემდებარებაში იმყოფებიან. პაპისტებმა მართლმადიდებლების გარდა უნიაში მონოფიზიტებიც ჩაითრიეს (სომხები, სირიელები).

ფილიოკვე

„და ძისაგან“. მრწამში შეტანილი დამატება, რომელიც კათოლიკურმა ეკლესიამ დააკანონა, რითაც დაარღვია მსოფლიო კრებების დადგენილებები და დაამახინჯა მართლმადიდებელი სარწმუნოება.

შეჩვენება (ანათემა)

ეკლესიის მიერ გამოტანილი მსჯავრი, რომელიც მოწმობს, რომ შეჩვენებული ადამიანი ან ადამიანთა კრებული მოკვეთილია, განგდებულია ეკლესიიდან. შეჩვენება ძალაშია მანამ, სანამ შეჩვენებული პიროვნება არ მოინანიებს იმ ცდომილებებს, რისთვისაც ეს უმძიმესი სასჯელი დაედო.

წარმართები

ადამიანები, რომლებიც არ აღიარებენ

ჭეშმარიტ ღმერთს.

ხიბლი

არაჯანსაღი სულიერი მდგომარეობა. ხიბლში მყოფი ადამიანი ცდუნებულია ბოროტი სულისაგან, მისი გავლენის ქვეშ იმყოფება და მის მიერ შთაგონებულ აზრებსა თუ შეგრძნებებს საღვთო მაღლის მოქმედებას მიაწერს. ასეთ ადამიანს არასწორი წარმოდგენა აქვს თავის სულის მდგომარეობაზე და გამოცდილი ადამიანების რჩევას არ ისმენს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. კათოლიკეთა სამხილებელი მართლმადიდებლური კატეხიზმო. ოზურგეთი. 1992.
2. საქ.-ს ეკლ. კალენდარი 1987წ. დიდი სჯულისკანონი.
3. არქიმანდრიტი ლაზარე. აღსარების საიდუმლოსა და ცოდვებისათვის. თბ. გვ. 58.
4. იოანე ოქროპირი. იოანეს სახარების განმარტება. თბ. 1993.
5. გაზ. „ხარება“ 2002წ. #2, გვ. 11.
6. სიტყვა მართლისა სარწუნობისა. წიგ. II თბ. 1991.
7. ახალი აღთქემა უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესი“ თბ. 1995.
8. Ян Веруш Ковальский – Папы и папство М. 1991.
9. Ватикан. Натискнавесток. М. 1998.
10. Блаженного Феофилакта архиепископа болгарского. Евангелие от Иоанна. М. 2000.
11. პროფ. დიმ. ოგიცკი — რომაული კათოლიციზმი. პროფ. ვლად. ლოსკი — სულიწმიდის გამოძავლობა მართლმადიდ. სწავლებაში სამების შესახებ. თბ. 2000.
12. Протоиерей Митрофан ЗНОСКО-Боровский-Православие, Римо-католичество, Протестантизм и Сektантство. Изд. Свято-Троицкой сергиевой лавры. М. 1991.
13. აღ. პარადისისი — ბალთაზარ კოსა. პაპი იოანე XXIII. თბ. 1992.
14. Библия. М. Патриархия. 1988.
15. Толковая Библия. Под. ред. А. П. Лопухина СПб. 1904-1913.
16. Православный катехизис. Сост. свят. Филарет (Дроздов). М. 1998.
17. Православный противокатолический катехизис. Харьков. 1916.
18. Архиеп. Казанский Гермоген. Папство и Православная церковь. М. 1948.
19. Свящ. Максим Козлов. Сравнительное Богословие. «Правосл. беседа» 1994, № № 3-6. 1995, № № 1, 2.
20. Д. П. Огицкий. свящ. Максим Козлов. Православие и

западноехристианство. М. 1999.

21. Архим. Алипий, архим. Исая. Догматическое богословие. Свято-Троицкая Сергиева Лавра. 1994.

22. Св. прав. Иоан Кронштадский. Живой Колос. Выписки из Дневника за 1907-1908 гг. СПб. 1909.

23. Св. Игнатий (Брянчанинов). Соч. в 7-т. М. 1993. т. 1, 4, 5.

24. Папство и его борьба с православием. Сост. С. Носов: М. 1993.

25. Иеромон. Серафим Роуз. Святое Православие XX в. М. 1996.

26. Второй Ватиканский собор. Конституции, Декреты, Декларации. Tipografia Poliglotta Vaticana. 1966-1969. репр. Брюссель. 1996.

27. Папа Иоан Павел II. Переступить порог надежды. М. 1995.

28. Катехизис Католической церкви. М. 1996.

29. Коран. Перевод с арабского Г. Саблукова. Казань. 1895.

30. Г. Алексеев. Истинность религии. М. 1998.

31. О жизни и трудах Никодима Святогорца. «Душеполезное чтение». 1865. ч. 3. сент., ноябрь.

32. Н. Тальберг. История христианской церкви. М. 1991.

33. Г. Ф. Костельник. Римская церковь и единство Христовой церкви. М. 1948.

34. В. Петрушенко. Уния – ступень на пути латинизации. «Православная беседа». 1995. №3.

35. Н. Воейков. Правда о буниатстве. Свято-Пантелеймонов монастырь. 1992.

36. Г. Алексеев. Римо-католичество и экуменизм. М. 1996.

37. Пагубное единомыслие. СПб. 1997.

შინაარსი

წინათქმა	4
შესავალი	11
თავი I	15
ლათინთა უმნიშვნელოვანესი ახალსწავლებები ვატიკანის II კრებამდე	15
რომის პაპის პირველობის თაობაზე	15
დოგმატი პაპის უცდომელობის (შეუმცდარობის) თაობაზე	22
სწავლება სულიწმინდის გამომავლობის თაობაზე	31
სწავლება პირველქმნილ ცოდვაზე	37
წმინდანთა ზეჯეროვანი დამსახურებებისა და ინდულგენციების თაობაზე	38
დოგმატები ქალწული მარიამის უბიწო ჩასახვისა და მისი სხეულებრივი ამაღლების თაობაზე	42
წმიდა საიდუმლოთა აღსრულებაში გადახვევების თაობაზე	45
ხმიადის გამოყენება „წმიდა ზიარებისას“ კათოლიკურ ეკლესიაში	51
ორღანის თაობაზე	53
თავი II	55
მარლთმადიდებელი ეკლესიის წმიდა მამათა გამონათქვამები კათოლიციზმის თაობაზე	55
თავი III	64
ვატიკანის 1962-1965 წ.წ. II კრების მიერ მიღებული კათოლიკეთა ახალი დოგმატური სწავლება	64
ახალი დოგმატის არსი და მისი დასაბუთება	64
ქრისტიანებისა და იუდეველების	67
„სულიერი ნათესაობა“	67
ქრისტიანთა და მაჰმადიანთა	73
„სულიერი სიახლოვე“	73
ქრისტიანთა და წარმართთა „სულიერი სიახლოვე“	77
არაქრისტიანთა ცხონებისათვის	80
ვატიკანის II კრების ახალი წესები და ქრისტიანობასთან მათი წინააღ- მდეობანი	84
რომაული-კათოლიციზმი ვატიკანის II კრების შემდეგ	88
თავი IV	92
ცხონება და სულიერი ცხოვრება რომაულ კათოლიციზმში	92

თავი V	97
მართლმადიდებელ და კათოლიკურ ეკლესიათა შეერთების თაობაზე	97
უნები და უნიატობა.	97
ეკუმენიზმი	103
ბალამანდის შეთანხმება	106
დასკვნა	115
დანართი I	120
1. ვატიკანის II კრების ზოგიერთი მასალა	120
სხვადასხვა არაქრისტიანული რელიგიები	122
მაჰმადიანური რელიგია	123
ებრაული რელიგია	123
ბალამანდის შეთანხმების ზოგიერთი პუნქტი	124
დანართი II	130
შეთანხმება წმიდა საყდარსა და საქართველოს შორის	132
მოკლე განმარტებითი ლექსიკონი	139
გამოყენებული ლიტერატურა	146